ჩვენ ვართ სიმართლე

ჩვენ ვართ სიმართლე, ჩვენ ვართ მსხვეჩული სიყალბის, როცა
ვიგინდარები დაგვყურებენ ზემოდან ნიღბით,
სხეულში სული იტანჯება, ძაგძაგებს ხორცი
და ჩვენი ქვეყნის დაუნინებას გვიანლა მივხვდით.
ჩვენ ვართ ქართველნი, ჩვენ ვართ მრევლი ჩვენივე ღმერთის,
ჩვენში მოსული წმინდანების ლოცვა მარხია,
საროსკიპოებს გვიშენებენ სამების გვერდით,
მინაზე, სადაც ქართველობის პატრიარქია.
ალბათ, დაცემა საკუთარი, გახდა მარადი,
ვინ გაბედავდა თორემ ჩვენთვის შუბის ძგერებას?!
ვისინით, როცა გვსტუმრობს ხოლმე გლოვის ბარათი
და ვმღერით მაშინ, როცა სულაც არ გვემღერება.

გამოიღვიძეთ! ახლა დრო, წამოვდგეთ ფეხზე,
სისოსხლე გვინდა უნაპირო, სიკვდილო, გვეხსენ.

ზ. ქეფარ

ზვიად მეფარე

შავი ქარნავალი

ზვიად მეფარე

შავი ქარნავალი

ჩვენ ვართ სიმართლე

ჩვენ ვართ სიმართლე, ჩვენ ვართ მსხვეჩპლი სიყალბის, ოოცა
ვიგინდარები დაგვყეჩებენ ზემოდან ნილბით,
სხეულში სული იტანჯება, ძაგძაგებს ხოჩცი
და ჩვენი ქვეყნის დაკნინებას გვიანლა მივხვდით.
ჩვენ ვართ ქართველნი, ჩვენ ვართ მოეული ჩვენივე ლმერთის,
ჩვენში მოკლული წმინდანების ლოცვა მარხია,
საროსკიპოებს გვიშენებენ სამების გვერდით,
მინაზე, სადაც ქართველობის პატიარქია.
აღბათ, დაცემა საკუთარი, გახდა მარადი,
ვინ გაბედავდა თოოემ ჩვენთვის შების ძგერებას?!
ვიცინით, ოოცა გვსტუმრობს ხოლმე გლოვის ბარათი
და ვმღერით მაშინ, ოოცა სულაც არ გვემღერება.

გამოიღვიძეთ! ახლა დროა, წამოვდგეთ ფეხზე,
სიცოცხლე გვინდა უნაპირო, სიკვდილო, გვეხსენ.

ჩვენ ვართ სიმართლე

ჩვენ ვართ სიმართლე, ჩვენ ვართ მსხვეჩპლი სიყალბის, ოოცა
ვიგინდარები დაგვყეჩებენ ზემოდან ნილბით,
სხეულში სული იტანჯება, ძაგძაგებს ხოჩცი
და ჩვენი ქვეყნის დაკნინებას გვიანლა მივხვდით.
ჩვენ ვართ ქართველნი, ჩვენ ვართ მოეული ჩვენივე ლმერთის,
ჩვენში მოკლული წმინდანების ლოცვა მარხია,
საროსკიპოებს გვიშენებენ სამების გვერდით,
მინაზე, სადაც ქართველობის პატიარქია.
აღბათ, დაცემა საკუთარი, გახდა მარადი,
ვინ გაბედავდა თოოემ ჩვენთვის შების ძგერებას?!
ვიცინით, ოოცა გვსტუმრობს ხოლმე გლოვის ბარათი
და ვმღერით მაშინ, ოოცა სულაც არ გვემღერება.

გამოიღვიძეთ! ახლა დროა, წამოვდგეთ ფეხზე,
სიცოცხლე გვინდა უნაპირო, სიკვდილო, გვეხსენ.

ზ. ფეფარ

ზვიად ქეთარეი

შავი ყარნავალი

ქუთაისი, 2014

ავტორისაგან

ვითვლი ნაბიჯებს. ეს მესამეა. კვლავ არ ვამეორებ არცერთ ლექსს. ცხოვრება შავი კარნავალია, შავი ნიღბების შავი კარნავალი. ბავშვებო და სუსტი გულის ქალბატონებო, რომელი ლექსიც გთრგუნავთ, გაიარეთ და გადადით შემდეგ ზე, ალბათ, ასეთი ბევრი არ იქნება.

ჩემი ბიოგრაფია არაშთამბეჭდავია და არ ვაპირებ საკუთარ თავზე რაღაცების მოყოლას. მე ლექსებში ვარ. მე მიყვარს ჩემი მკითხველი. კიდევ შევხვდებით.

რედაქტორი

და კორექტორი ზვიად მეფარე

მხატვარი ქრისტინე რობაქიძე

ოპერატორები ეთერ ქემხაძე, ნინო ქომეთიანი

ბუნების სიმღერა

14.08.2013.

ისევ მოდის განთიადი და სიმღერაც გაისმა,
ყურში რაღაც უჩურჩულა იას ედელვაისმა.

შემოიჭრა ფანჯარაში დაგრაგნილი გრიგალი,
დილის სხივი უცებ შუბლზე შეკრთა ნაინტრიგალი.

სიწმინდეა ბუნებაში, სხვაგან ვხედავ თეატრებს,
ვშიშობ, ჩვენში ეს ქალაქი ბევრ სიბილწეს შეათრევს.

ყურს არ უნდა შენობების ღრიანცელის გაგება,
თვალსაც მხოლოდ მთიანი ტყის ხედი ესადაგება.

წვეთად დავემატებოდი ღელეებს და წყაროებს,
სილამაზე ჩემში მხოლოდ ცისქვეშ ისამყაროებს!

სულის თამაში

17.06.2013.

ღამდება და ისევ მოდის ღამის შავი სინაზე,
სულში მოცეკვავე ლანდზე ვფიქრობ, პაწაწინაზე.
დაწკაპუნობს სახურავზე წვიმა, დაქრის სიო და
წუხელ ისე დათვრა ქარი, ფეხზე ვერ დადიოდა.
არ თოვს, მაგრამ მათოვლისფრებს სულში თოვლის თამაში,
თრთის თითების ლაბირინთი ფიქრის თეთრ აკლდამაში.
არ ეძინათ მწუხრში ლანდებს, ქეიფობდნენ ალები,
თენდება და თეთრ ჰორიზონტს ვეღარ დავემალები.
მეც მზეს ვეძებ სანთლით ხელში, მზეა ჩემი გადია,
ვხედავ, ველზე ანგელოზი პაწიები დადიან.
ამობრწყინდა მზე ტატნობზე, ვით წითელი ტიტები,
ღამის წასვლას ისევ დილის ფუნჯით შევეჭიდები!

კატალოგები

18.10.2013.

ვახელ თვალებს და მაწვალებს ხილვა გრილი,
ვშლი სიძველით დაობებულ კატალოგებს,
სანთლის ნაცვლად მაგიდაზე დგას აჩრდილი,
ღამე ყინვამ და ბურუსმა გადალოკეს.

რეკავს ზარი, მგალობელი გალობს უხვად,
ვწევარ, მიდის ჩემი სულის პარაკლისი,
რაზე ვწუხდი, დამავიწყდა, აღარ ვწუხვარ,
სიჩუმეა მარად ჩემი დანაკლისი.

ვარ ხატებთან. ტალღად მივლის მათი მუხტი,
უცნობები დაიდგამენ ახლა მიტრებს,
ვღებავ ბურანს და მადლობას მზერით ვუხდი
იმ ლაბირინთს, სიღრმეში რომ უფრო მითრევს.

იქ ვსეირნობ, სადაც ღამეს თოვლი ადევს
და მარადი სინათლეა ტახტზე ლილეს,
სახრით დავდევ ფანტასტიურ გოლიათებს,
ვანგრევ ქვესკნელს და გრიგალი შუბლს მიგრილებს.

სულს სიმშვიდეს უძველესი სტიქარი ფენს,
ვხევ მოსასხამს, ვებრძვი გრძელი ცელით მხეცებს,
ვარ თაგვივით მწირი, ვუმღერ სიღარიბეს,
ვკარგავ ყოველს და სიფხიზლე ისევ მეძებს.

ვიყურები ირგვლივ მჟავე გაოცებით,
მთები დგანან სიამაყის გვირგვინებად,
განიქარნენ ქარები და ქაოსები,
თბილა, აღარც ღამის ყინვა იკბინება.

ნაპირებზე ზღვათა ტალღებს, ქაფიან და
ცბიერ ტალღებს, ნიჟარები მოაქვთ ძვირი,
ჩემი ნატვრაც სტრიქონებში აფრთიანდა,
ვდგავარ კლდეზე, ველი დილის მზეს და... ვყვირი.

ოცნების პირამიდა *14.08.2013.*

კიბე ჩადის მიწის დაბლა. მოჩანს ქვემოთ
უბოლოოდ გრძელი გზები, ცრუ და მრუში,
წყვდიადი და შავი კვამლი დგას გარშემო,
ღმუის წარღვნა ლუციფერის პირის ღრუში.

კედლებიდან მოთქვამს შიშის შადრევანი,
ახლა მალე უფრო დაბლა ჩავა ჭერი,
მიმზერს გველი, უსახო და შავგვრემანი,
ჩემს ოცნებებს კიდურები დავაჭერი.

მე მიყვარდა მაღლა ყოფნა... დაბლა ვიტან
ახლა თრევას შემზარავი სიზმრის მიერ,
ხმა დამბღავის მიწისქვეშა საფლავიდან,
ტალღასავით ვყვები ბღავილს, ცხელს და ცბიერს.

შემომხედავს სამომავლო აისიდან
უძველესი წიგნის შავი გარეკანი,
მობრძანდება ჩემს სახეზე მაისი და
თვალებიდან ღამეც წავა გარეგანი.

ავალ მაღლა, ავალ მაღლა! ნაბიჯები
ირევიან, ემართებათ არითმია,
ჭერს ავამტვრევ თრთოლვითა და გაგიჟებით,
ეს ქვესკნელი გველებისთვის დამითმია!

ჭაობიდან რაც ტალახი მიხაპია,
ვნანობ, მაინც ვერ წავართვი ჭაობს სახე,
ირგვლივ ქვეყნის სიყალბე და ნიღაბია,
მაღლა ვეძებ და ვიპოვი, რაც ვერ ვნახე.

მე ამოვალ მიწისქვეშა გვირაბიდან,
აღმოვჩნდები მწვერვალებზე მე ზეციერ,
ავაშენე ოცნებების პირამიდა,
ღმერთო, შენით მამყოფე და შემეწიე!

მარტოობის სავანე

13-16. 06. 2013.

ვწევარ ველზე, ვუსმენ წყაროს რაკრაკს გვერდით,
მსერავს სერი, სველი სიოს ვუსმენ სისინს,
ჩემს მინდორზე სასოებას თესავს ღმერთი,
ვწერ სტრიქონებს და შრიალებს კიპარისი,

ვკოცნი ფოთლებს და ტიტების თრთიან ფრთები,
ვუმზერ შორეთს, ვხატავ სივრცეს და ვმძაფრდები.

ცა ტყვიისფრობს... დაფრინავენ დაბლა-დაბლა
ფოთლებივით ტყის მერცხლები, მოყავთ წვიმა,
აჩრდილივით მეხუტება სულის დამბლა
და ფოთლებიც ცრემლებივით დაბლა ცვივა...

უკრავს ვალსი და ცეკვავენ მძიმე წყალზე
ტყის ნიმფები... მე ვუსმენდი წვიმის ვალსებს.

ველარაფერს ვერ ვუხერხებ თვალთან მომდგარ
და ვერცხლივით მოკიაფე წვეთებს, ვერა...
მომასკდება და წამლეკავს ახლა მოთქმა
და გამყინავს ყორნის ბოლო სიტყვის ჟღერა.

მე კარს ვუღებ ამ წყევლას და ვედავები,
გულს მირევენ ირგვლივ სულით მეძავები.

წყვდიადია, ცას აკვრია შავი ჭერი,
ჩემი სული აღარც გლოვას არ იშლიდა,
ალბათ, უკვე ჯოჯოხეთში ჩავიჭერი,
თორემ რატომ მოდის ცეცხლი ქარიშხლიდან?

ისევ მოდის თვალებიდან ღაპაღუპით
ნიაღვარი, წმინდა, მაგრამ დასაღუპი.

ჰა, ნათდება უცებ ზეცის თავანი და
მზე ამოდის უსწრაფესად მთების იქით,
აღარ გავრბი მარტოობის სავანიდან,
ჩემს წინაშე ტირიფების დადგა რიგი.

ჩემთან ისევ სიცოცხლეა... ქარაშოტებს
არ მოვუსმენ, არ მოვუსმენ არასოდეს.

უფსკრული *03. 03. 2013.*

ვარ გაკრული პოეზიის ჯვარზე მარად,
მოთქრიალებს მუზა, როგორც წარღვნა ძველი,
მე ვარ ჩემი დაკარგული მიწის მცველი,
ვარ უმწყემსოდ დაკარგული ფიქრის ფარა,

ველი დილას, მაგრამ ღამეს აღარ ველი,
მზეა ჩემი სამფლობელო და მფარველი.

ვეხეტები ყველგან, სადაც ფიქრით ვწვდები,
მძინავს, ირგვლივ ანგელოზებს ვხედავ ფრთიანს,
ვებრძვი ჩემი არსებობის უღრმეს წყვდიადს,
მიყურებენ უძველესი წიგნის ყდები,

თითქოს ღამით ვცოცხლდები და დილით ვკვდები, 7
რომ დავწერო ღრუბლებიდან სხვა ნოტები.

მე ფიქრებით მოვიარე მიწა ხარბი,
ყველგან ვიყავ, ვნახე ქვეყნის ყველა კიდე,
ამ ცხოვრების ყველა მძიმე ჯვარი ვზიდე,
არ ჩერდები ფიქრო არსად, მუდამ გარბი,

თავს დამატყდა მე ჩანჩქერი, ცივი, ჭარბი
და ლექსების ღრმა უფსკრულში გადავვარდი.

თოვლის სხივებს *06.03.2012.*

ათოვს მთებს და ათოვს ქალაქს, მეც ავყვები ამ თოვას,
ფანტელების სიქათქათემ თუ სიზმარში დამტოვა.
ათოვს თმებს და ათოვს თვალებს, სულიც თოვლით ივსება,
მხოლოდ თოვლში მოჩანს ახლა ცივი ზამთრის ღირსება.
ახლა გულიც სამიზნეა თოვლის თეთრი ისრისა
და ავიტან, თოვლის ყინვამ გული თუ გამისრისა.
თითქოს ზეცის ხემ მოისხა თოვლის თეთრი რტოები,
მიყვარს, ვკოცნი თოვლის სხივებს და ბნელს ვემარტოები!

კელაპტრები *25.12. 2012.*

ერთხელ მოვკვდი. ასვენია ჩემი ნეშტი
თეთრ კუბოში. ქარი უსტვენს ავი, კუშტი,
ბატის ფრთებით თოვლის ველზე ავთარეშდი,
ბნელ დერეფნებს შევეზილე, გავპირქუშდი,

გვირაბიდან გაქრა შუქი. მედებიან
აჩრდილები, გარშემო კი მტრედებია.

არ არსებობს, რასაც ვეძებ... მინდა ღამე,
მაგრამ დღეა, არ ღამდება! ვანთებ სანთელს,
ჩემი წლები ყინვით სავსე თასებს სვამენ,
დაე, მარად საკუთარი ცრემლი მბანდეს,

თუ დავტოვო მუზები და მზის სადავე,
თოვლის გზა და ჩემი სულის სისადავე.

გავიღიმებ, როცა თოვლი შევა თმაშიც,
(ვწერ და დროშიც მემართება არითმია)
როცა წავალ, მშვიდად წავალ ვიცი, მაშინ,
ჩემი ხსოვნა ლექსებისთვის დამითმია,

გმადლობთ, თუკი თქვენც დამინთეთ კელაპტრები,
თუკი ისევ გიყვარვართ და გენატრებით.

ჩანჩქერები *27. 12. 2010.*

ველი იყო გიშრისფერი, მძიმე, ხისტი,
ბილიკებზე მივათრევდი სხეულს, დაღლილს,
ბილიკებზე მივათრევდი სხეულს ძაღლი,
კუჭი ყმუის, მე არაფერს არ განვიცდი,

საკუთარ შუბლს მარტოობის მზეს დავახლი
და დაუკრავს სულში ვინმე პიანისტი.

ავტირდები, ავტირდები, როგორც ბავშვი,
გავიფიქრებ: „მომეფერეთ“... ვარ პატარა,
გავიფიქრებ, რომ ამ ფიქრმა გამატარა
ბეწვის ხიდზე და არ მომცა ბაღის საშვი,

ამ ცხოვრებამ ვერ გამზარდა, ვარ პატარა,
სურს, გამგზავნოს მეფე ლირის აკლდამაში.

ვარ საფლავზე, მინდა ვნახო შავი კუბო,
მილურჯდება სახის კანზე ძველი თოში,
მილურჯდება მკვდარი მზერა შავ კუბოში,
მინდა, ტბებში ჩანჩქერები ჩავიგუბო,

ვეძებ ჩემს თავს, არ ვარ მკვდართა საუფლოში,
ვყვირი, არ მსურს პირში წყალი ჩავიგუბო.

მაგრამ არ ვარ არც ცოცხალი, არ მაქვს სული
და დავათრევ უსულო ტანს დარდით სავსე,
მე დავათრევ უსულო ტანს ჩემს საფლავზე,
მე მაწამებს გარიყვა და მზერა მტრული,

ჩემი სული ბნელ უფსკრულში მოვათავსე,
ბოლოს მელის დავიწყება და უფსკრული.

პოეზიის ელდორადო

29. 02. 2012.

ღამე, ყინვა. მე მღვიმესთან ვდგავარ ერთი,
მეუფლება აუხსნელი ილუზია,
ჩემი ფიქრი ზურმუხტი და ფირუზია;
ფერიებმა დამიმშვენეს ახლა გვერდი,
გაიშალნენ წალკოტები, ვით მოლბერტი.

რა ვქნა, ფიქრმა თუ ეს ღამე არ ათია,
ან მიზანი რუბიკონში თუ იფლობა,
რატომ მებრძვის პოეტს ნეტავ უიღბლობა,
ჩემთან ისევ ნესტიანი ბარათია,
ნეტავ, ხმები ცამდე როგორ არ ადიან...

ვყვირი, ვყვირი! ვიღუპები, გავრბი მთაში
განდეგილი ამა დროის, ვებრძვი ლანდებს,
უხილავში მინდა, ჩემი სული ჩანდეს,
თუ არ ვჩანდი, სიყვარული მაკლდა მაშინ,
როგორც ცხედარს მივიწყებულ აკლდამაში.

ახლა ჩემში მარტოობის ბინდებია,
ველი წვიმებს, კიდე კოცონს, კიდე ალებს,
ახლა ვეტრფი განდეგილის იდეალებს,
მხოლოდ მღვიმის ყინულები მინდებიან,
სადღაც მშვიდი, სადღაც ყრუ ამინდებია.

ღმერთო, ნეტავ, რაღას ვიზამ, თუკი მენდო

დავიწყება? ან ვმარტოობ, ნეტავ, რატომ?
მარად მელის პოეზიის ელდორადო,
შორს, ჩემგან შორს, განდეგილო, გველო, კენტო
და აჩხავლდი ყრუ ყორნების გიშრის ბენდო.

ᲘᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ

06.07.2010.

მიმღეროდნენ მძიმე სევდის ნაპირები.
იყო ცისკრის ჩაშავების ჩუმი ბგერა,
იყო სული, დაჩხვლეტილი, ნატირები,
ხარხარებდა სადღაც ქარი, ვით ჰეტერა.
მე მეჯერა: ცრემლდებოდნენ ნადირები
– ეს თვალები – ჩემი ჩუმი ბედისწერა.

მე დამიგო სიცივეში სითბომ მახე,
დავეძებდი ოცნებებში იერს ძლიერს,
გნახე ია მე ზამთარში – სითბო ვნახე
და ზაფხულში შევნატროდი მზეს შენმიერს,
იყოს ჩემი თანამგზავრი შენი სახე,
ნუ დამტოვებს მარტოს ქვეყნის დასალიერს.

უთენია მე წამოვალ შენსკენ ია,
უნდა დაჭკნეს ეკლის ჯიღა ამაყ თავზე,
შეგალიე ჩემი სევდის პოეზია,
დავინახე იმედებში მაგრამ სხვა მზე,
უშენობით სულს ეკლები მოესია
და წყვდიადი, ტკივილით და გლოვით სავსე.

გამაქროლებს ყვავილისკენ ჩემი რაში,
გააქროლე, გააქროლე რაშო, მიდი,
გაკივიან იმედები ახლა ცაში,
უფსკრულებზე სიყვარულის მოჩანს ხიდი,
მო, დავუკრათ იის სითბოს ისევ ტაში,
ისევ ვიყოთ ბედნიერი... ლაღი, მშვიდი.

11

ავგაროზები

14. 02. 2012 .

აღარ არის წერილები შავ თაროზე...
აღარ ველი სველ წერილებს, აღარ ველი,
აღარ ველი გიშრისთმიან ავგაროზებს,
გაზაფხულდა, დადნა თოვლის საფარველი...
ვხედავ, ვხედავ მთვარეს დღისით და მდელოზე
სისხლის გუბეს და დახოცილ ანგელოზებს.

სულ ღამეა... გიშრისფერი მოჩანს ღამე,
მინდა ერთხელ თოვლისფერი ვნახო დილა,
პოეზიის ჯვრის ეკლებით დავიშხამე,
ამ ჯვრით ჩემი რიჟრაჟებიც დახოცილან...
მთვარე მეფობს, მზეს ტალახში უტოპია...
რაც მიყვარდა, არის მხოლოდ უტოპია.

მაგრამ სადმე ახლოს იყოს მზე ეგება...
ხელზე მხოლოდ ხაფი ხაოს ხუნდებია,
რძისფერ ღამეს შავი დილა შეეგება,
დღეს მტრედები სახლშიც ვეღარ ბრუნდებიან...
ჩემი ხვედრი არის მხოლოდ ღამის ელდა
და ღაწვები ცხელი ცრემლით დამისველდა.

ცეცხლი

01. 06. 2009.

ღამეა და ვდგავარ, ვუმზერ გამოქვაბულს,
ვდგავარ ცისქვეშ და ვუყურებ, როგორც ლანდი,
მე უფრთობის გამო უფრო ავფრთიანდი,
ვუერთგულე უგულობის გამო სხვა გულს,

ვინც მიყვარდა და ვინც მიმცა შავ სამარეს
და ფიქრებმა ის კამარა აკამარეს,

არ გააჩნდა რასაც ცეცხლი და არც ფრთები,
არ გააჩნდა არც ღვთიური ენა ცეცხლის,
მე ვარ მქონე თმების, თეთრად შენავერცხლის,
ახალგაზრდა ჩემს ბიჭობას ვუსაფრდები,

ჩემს ბიჭობას ვუსაფრდები, ვით დრაკულა,
ვარ ცოცხალი და მოკლული ვერაგულად.

ვუმზერ ყვავილს... არც ყვავილი ასე ნორჩი
არ მიხარებს უგულობის გამო სხვა გულს,
ვემკვიდრები მარტოობის გამოქვაბულს,
რა მაცოცხლებს?! ჩემს სიცოცხლეს უკვე მოვრჩი...

მზეო – დედავ, ვარსკვლავებო – ჩემო დებო,
ვსუნთქავ მკვდარი, ვარ ცოცხალი და უფრთებო.

მზე შავია, სულს სიმძიმე აწევს ლოდის,
ღამეები – მარად თეთრი ნიავქარის,
არ განვიცდი უქარობას იალქანის,
მე მივქრი და ცის სიღრმიდან წარღვნა მოდის

და გულს მიხრავს უარსობის ძველი არსი,
ვხუჭავ თვალებს... შავ ცას ეკვრის თეთრი გარსი.

კლავიშების გოდოლი *06. 09. 2013.*

უკრავს ჩუმ დარბაზებში გაოფლილი ვივალდი,
გრძელ თითებქვეშ ტკაცუნობს "წელიწადის დროები,"
ყველა ოქროს მარაო ხევში გადამივარდა,
სულში გრილი ნოტების თრთიან საღამოები.
ისევ ცაში აიჭრა მოლივლივე ფოთოლი,
ტყეთა ოკეანემდე მხოლოდ კლდეა ფრიალო,
აისვეტა ღრუბლამდე კლავიშების გოდოლი,
რომ დაბმული დუმილი ცაში ავაღრიალო!
გულს წვიმების მუსიკა საუკუნოდ დაქონდა,
ახლა დროა, აკივლდეს, ვიდრე დილა ანათებს,
მოთქრიალე ცრემლები მახრჩობს, ვით ანაკონდა,
ახლა ვიწვევ დუელში გველთა სიმუხანათეს!
ჭრილობაზე ირბენენ ისევ ქალის ფრჩხილები,
თანახმა ვარ, მდუმარეს ეს იარაც მტკიოდეს,
დარდი მღრღნის და საკუთარ სიცილს ვებორკილები:
ისევ შეცვლის ვიღაცა წითურ ისკარიოტელს.

უცნაური კოლაჟი *31. 08. 2013.*

ჰორიზონტის ბოლოში, წითელ მზეში დილა ზის,
მეწეოდნენ მიწისკენ კოშმარები, ლურჯები,
უბრძოლველად დავნებდი, მსხვერპლი გავხდი მირაჟის,
ბინძურ ხილვებს ამჯერად ვეღარ გადავურჩები.

ქვესკნელებმა ჩამავლეს სისხლიანი კლანჭები,
ჩემი თავი მიუგდეს ლუციფერის ჯაშუშებს,
ახლა ჯოჯოხეთური ცეცხლით დავიტანჯები
და ვერასდროს ვერავინ ტკივილს ვერ მოაშუშებს!

მიდიოდა ჩემს თვალწინ უცნაური კოლაჟი,
არაამქვეყნიურ ხმებს მოყავთ ქარიშხალები,
თავს ვგრძნობ, როგორც მოწაფე ჯადოქრობის სკოლაში,
ბოროტების სამსალით აღარ დავიშხამები!

შემაფრინდა თვალებში უცებ ზღვა პოეზია,
გადამწყვეტი ლახვარი მიწას უცებ ვაგემე,
კიდობანი გამირბის, უკვე სხვა ნოესია,
ჩემს ნაპირზე ავაგებ ახლა სხვა კართაგენებს!

მეც გავრბოდი, არ ვიცი, საით, ანდა, საიდან,
მივალ, სადაც განგება და უფალი ინებებს,
აქ არ ველი, არ ველი სხივებს მე, ვინაიდან
დავუყარე ფარ-ხმალი უცხო განზომილებებს!

შავ-თეთრი სურათები

26. 08. 2013.

საფრანგეთი, პარიზი. შუქი ეცა სასახლეს,
წერდა შუქზე ჩირაღდნის, "მონტე-კრისტოს" დიუმა,
ჯურღმულებში ლანდები ფრთებმა გადაასახლეს,
სიმაგრეში უცნობმა ჯანღმა იმედიუმა.

მშიერი და უძილო, დგას ქუჩაში ბალზაკი,
სენის ხიდი ზანზარებს, ქვით და რკინით ნაგები,
ბნელ შუკებში ვერლენი დაძრწის, ვით ავაზაკი,
თვლემენ ცივი ქოხები, როგორც სარკოფაგები.

გიშრისფერო კალამო, მძიმე კადრებს მოუტან
მატიანეს ბოდლერის – მუდამ თრობის საათებს,
ბევრი დაიწერება ლუვრის მეგაშოუდან,
ცეცხლი წლებსაც ალოკავს და ბორკილებს დაადებს.

სული, ალში ნაწრთობი, აღარასდროს იგემებს
ჟანა დ'არკის ყიჟინას, ბრძოლის ველებს წინანდელს,
აქ; გოგენი ტაიტზე ხატავს აბორიგენებს,
დრო წავიდა, მახვილით ვატერლოო გმინავდეს!

უკვე ძმობენ ერთმანეთს მშვიდობა და ვერსალი,
ეიფელის ჭაღებიც მხოლოდ სტუმრებს ელიან,
ასწლიანი ომების გაქრა ნაანდერძალი,
ელისეის მინდვრებიც მზეთა სარეცელია!

დაისი *18.08.2013.*

მზე ჩავიდა სადღაც შორს... დღის სინათლე მომაკლდა,
ჩამოკიდა წყვდიადმა მთვარეს შავი კოლიე,
ჰორიზონტი გარუხდა, დაემსგავსა მომაკვდავს,
ცისარტყელაც ცეკვაში ვეღარ ავიყოლიე.
ღამემ ცაზე თავისი გაიტანა ნატურა,
წამწამები დააჭრა ზეცას შავმა სპირიტმა,
რა ვქნა, წვიმამ ხელი თუ ტვინში ააფათურა,
განთიადიც ყორანის ხორხში თუ გაირითმა?...
იწურება ყოველღამ გაჟღენთილი ბალიში,
ვარსკვლავებზე დახტიან უცხო დრამის ჯოხები,
შემახვედრეთ ლუციფერს! მასთან მაქვს ანგარიში,
ძველ მეგობარს ახალი დაშნით ვეამბოხები!
ვერ ვუხერხებ ვერაფერს გრიალა და თავხედ ქარს,
წვიმამ ჯიბის ცოდვებზე ჩაატარა შტურმი და
ახლა გადააბრუნებს და ურმის თვლებს დახეთქავს
ლოდი, შემოტყორცნილი ბოროტების ურმიდან!
იქნებ, წერას მოვეშვა, დავეწაფო მთის რუებს,
ანდა, განდეგილივით უდაბნოში ნუგეში
ვპოვო ლოცვით, წარსული ვიდრე კიდევ იცრუებს
მომავალთან, სევდიან სულის სიმსუბუქეში?

პოეტების ავკარგი *30. 06. 2013*

კიდეებზე ღრუბლების, მოქანაობს ლოტოსი,
(ჩია დედამიწიდან მოჩანს მთვარე ვეება)
მღვრიე თვალებს მილოკავს ცეცხლი უბოროტესი,
ალბათ, ჩემი ცხოვრებაც ეშმაკისას შეება!

უჯრედებმა დაწერეს უმძიმესი ლირიკა,
(შენც როდი ხარ მსუბუქი პოეტების ავკარგო!)
რაც დავკარგე, ნაპირზე მუზამ გამომირიყა
და მასთან ვარ, ნაპოვნი თუნდაც ისევ დავკარგო!

ოთახში ვარ. მეფინა ტახტზე ვარდის საბანი,
ჩემს გარშემო ცეკვავენ ჩემი ძილის მხევლები,
ამ ცხოვრების ცრემლისგან თვითონ ვარ დასაბანი
და ცხოვრების ჭაობებს ტალღად გადავევლები!

წინ გავხედე ჰორიზონტს, წარსულს აღარ ვემდური,
ახლა უკვე მომავლის გრძელ საცეცებს შევები,
ჩავაბარე ძველ კალამს ჩემი ყოფა დენდური
და ფსკერამდე დავაშრე ცრემლის წყალსატევები!

გალვიძება

02. 06. 2013

დანგრეული შენობა, იდუმალი, ბნელი და
მგლოვიარე... შევდივარ, შემაქვს უცხო სინათლე,
შემყავს სული დაღლილი შემეცნების ველიდან,
მაგრამ ბოროტებისგან დაკბენილ ტანს მივათრევ.

არ ეშვება კოშმარებს მხოლოდ შავი წუთები,
(ღმერთო ჩემო, რამდენი უიღბლობა მიძმია)
ვეცემი და შეცდომით ეშმაკს მე ვეხუტები,
დაცემულის მმართველიც მხოლოდ პესიმიზმია!...

მესევიან წყვდიადში მარტოობის გველები,
მათ ხორხებში ფეხმძიმე დედამიწის ზიზღია,
სამარეზე (საკუთარ!) თრობას ველარ ველევი
და სუფრაზე, ჭიქაში, ქვეყნის შხამი მისხია.

დაკბენილი სხეული მტკიოდა და მზარავდა,
(ვიცი, გარეთ შენობის, მელის ოქროს სასახლე...)
ალბათ, მოვკვდი ცოდვილი, უიღბლობის კარავთან,
სულიც ბორგავს, ტანიდან ველარ გადავასახლე!

მეღვიძება გაოფლილს, ქრება ყველა ნანგრევი,
წყვდიადს ხვდება გარშემო განთიადის წიხლები,
ცეცხლის ენებს მივეცი ახლა ტყავი შაგრენის;
მე ეშმაკთან ბრძოლაში არასოდეს ვიღლები!

მეწამული სხივები *10. 05. 2013.*

შავ კლდეებთან ვუყურე ეშმაკების კონცერტებს,
წიოდნენ და როკავდნენ. მეც ავყევი კინაღამ.
ნეტავ, ჩემი ქაოსი სრულ სიმშვიდეს მომცემდეს,
დარჩეს მუდამ გულშივე, რასაც გულში ვინახავ.
ბნელ დილეგში კბილებით დავღრღნი ვერცხლის გისოსებს,
იცეკვებენ ჩემს ტანზე ლურჯი ლურსმნის თითები,
ძველი განცდა ვერასდროს ვეღარ იტრაგიკოსებს,
მეწამული სხივებით ისევ დავიჩხვლიტები.
ქუჩა აახარხარებს ჩულქდახეულ მეძავებს,
ჩადგებიან თვალებში შავზე შავი ბინდები,
უმადური ბრბოები კალამს დამალეწავენ
და სიგიჟის ლოდინში ისევ გავირინდები.
ნათოვლისფრალ იალაღს ლოკავს ფერი მიმოზის,
(დღეს პოეტის დიდება დრომოჭმული ჭორია)
დამეხსენით ხილვებო, შუბლზე ზოლად მიმოდის
დირიჟორის ხელების რუხი ტრაექტორია!

დაისების ალმური *05-12. 04. 2013.*

გალაკტიონ, მიმიღე, გიკაკუნებ კარებზე,
რადგან კვლავ ვიბაასოთ, როგორც ძმებმა ლექსების,
მე შენამდე მოსვლისთვის ბევრ წიგნს ვეასპარეზე
და ერთად ვართ, ერთმანეთს ვერსად ვერ გავექცევით!
მაგრამ უმარტოესო (მარტო არ ხარ არადა...)
ჟამი წმინდა ემბაზის საიდუმლოს არ იცავს,
შენმა სიტყვამ საფლავზე ზოგი ახარხარა და
ზოგი ბრძოლით გაართო მაგიური მთვარისა!
შენ იყავი ეული და მეგობრის მოკეთე,
ნებივრობდი შეშლილი შემოდგომის სიოთი,
შენი სული მშფოთვარე, ტანში ვერ გამოკეტე,
ეცემოდი, დგებოდი და კვლავ წინ მიდიოდი!

შენ გინდოდა, პოეტის ყველა ნერვი გეზიდა,
ზიდე კიდეც... დაგდევდა ქარი მღვრიე ძახილით,
დაამსხვრიე წესები ერთი ოქროს წესიდან:
რომ ყველგან ქრის პოეტის ფიქრის ოქროს მარხილი!
შენი მემკვიდრეობა სამომავლოდ უხვია,
თუმცა, იყავ თაგვივით მწირი – მეფე ბოჰემის,
შენმა ეტლმა დოღიდან მთისკენ გადაუხვია,
რომ მწვერვალზე მიგეღო მარტოობის ტოტემი!
კვლავ ქვესკნელი გეძახის, თუმცა, აქ ხარ, არ ხარ იქ,
დაქრი მთების გადაღმა, ვით ღრუბლებში პეგასი,
ჭკუიდან გვშლის გრიგალის გამყინავი ხარხარი,
გკითხულობთ და თვალებს გვჭრის ტილოები დეგასი!
შენ ფურცლებზე აქუხე ტაში, ცეკვა „კალმური,“

სტრიქონების ღრეობა და ნოტების ქეიფი,
სულის ზარებს ადინე დაისების ალმური
და კისერზე დიდების მძიმე ლოდი შეიბი!
გაგირბოდნენ მიწიდან ნირვანაში ბაღები,
ვით გაურბის ნადავლი ღრუბლებში მყოფ შევარდენს,
ირგვლივ ქარი ღრიალებს და ბნელს ეღაღადები
ისე, ლამის ძარღვებში შავი სისხლი შევარდეს!
არ გაფრინდე ფანჯრიდან! ოღონდ, ახლა ეგ არა!
დილას რძისფერს გააცლი, ქვეშ წყვდიადებს შეუფენ,
შენი ჭიანურები მწუხრში საბნად მეფარა,
მარმარილოს სფინქსების და ოცნების მეუფევ!
ნეტა, ვისი ხვედრია მარად იმის შეგნება,
რომ ვიწყებით რითმებში და არასდროს ვმთავრდებით?
დავიწყება ხალხისგან მხოლოდ მაშინ გექნება,
როცა ჩამოეშვება ჩვენს თვალებში ფარდები!
დამყურებენ ცაცხვები დაფიქრებით ზემოდან,
მეშლებიან თეთრ ველზე მაგნოლიის კვირტები,
შენი სულის მუსიკას გავუსინჯე გემო და
ახლა ჩუმი პუბლიკის სუნთქვას დავაკვირდები.
სასახლიდან გამოდი, ტბის სიღრმეში შეცურე,
მაღლა ყოფნა გეყოფა, ახლა ჩვენთან ჩამოდი,
კვლავ დომინოს სამარე, კვლავ ნიღაბი მხეცური,
კვლავ თვალების წყვდიადი ვიგრძნო ამ საღამოთი!

კვამლი და ქაოსი *08. 04. 2013.*

უდიდესი ხმაური სიჩუმეა ცხოვრების...
დასვენება არ მახსოვს, არც მინდა და არც ველი,
რბიან წლები ეკლიან გზებზე შეუპოვრები,
ვერ წავართვი სიცოცხლეს თავხედობა მძარცველის.

მე ვწევარ და ვეწევი არარსებულ თრიაქებს,
მელანდება კვამლი და მხიარული მებაღე,
ახლა ველარაფერი ვერ ამაფორიაქებს,
თუნდაც შიშს და ტკივილებს ხევში გადავეძახე!

ანარეკლი *23. 03. 2013.*

შუადღეა, აპრილი. ატმის სუნი ყვიროდა,
(ტრიალებდა გარშემო მეფე ლირის ლირიკა)
ჩამოვდივარ ზღვისპირას ციდან, უაღვიროდან,
ზღვიდან ქვეყნის ხანძრები ქარმა გამომირიყა.

თოვლზე ვხატავ ბრაზიან ყურეებს და კუნძულებს,
მელეწება თვალებში უცნაური ფობია,
წინ და უკან ქარი ქრის და აჩრდილი ძუნძულებს:
ჩემი ილუზიები სისხლში ჩასახშობია!

მე და ჩემმა ბავშვობის ანარეკლმა ერთმანეთს
გავულიმეთ და სიკვდილს მივუშვირეთ მკერდები!
როდის უნდა დავბრძენდეთ ანარეკლო, ღმერთმანი,
თუმცა, რა დაგვაბრძენებს, ჩვენ აღარც კი ვბერდებით!

კერპი და ილუზია *16. 03. 2013.*

ზღაპარია ცხოვრება, ვტკბები მისი ყურებით,
ვანჯღრევ, მანჯღრევს იმედი, ჩემში მისი კერპია,
ავიარე ზეცამდე ტრფობის საფეხურები,
ჩემში ყველა უჟმური გრძნობა რომ დამერბია!

გაავებით მიყეფენ ირგვლივ გონჯი ძაღლები,
ილუზია ქალწულებს ხატავს თეთრკერტებიანს,
ჩემს ადრინდელ სიმღერებს ახლა ვესაძაგლები
და ახალი ჰანგები უკვე მეღმერთებიან!

შუბლში გაუგებარი მესობიან ბგერები,

ფეხებამდე თავიდან მწუწავს უცხო სუნამო,
ცოფიანი ძაღლივით ყელში დავეძგერები
სიკვდილს, ცივი თვალები ცრემლით რომ დავუნამო!

ახლა წავალ ტაძარში; გოლგოთამდე შორია.
(ფანტა ზიავ, ტალახში ფორთხავდი და კიოდი)
ნაჭუჭივით ემსხვრევა ნორჩი სახე დორიანს,
ახლა თვალწინ მენგრევა მთელი ისკარიოტი!

ახლა ლექსი ჯარივით ქალაქებში შევა და
ყველა ქუჩას დაიპყრობს ღამურების გუნდები,
არ გვასვენებს ცოდვები ადამი და ევადან,
სააქაოს ყოფნისას ბაღში ვეღარ ვრუნდებით!

მე ნაჯიჯგნი მუხლები მეწვის, გულიც ტიროდა,
კეტით გამოვენთები ქარში სხვა ქარაშოტებს,
დამშეული კალამი მინდა, ვანადირო და
არასოდეს ვისმინო ყორნის "აღარასოდეს!

გრძნობის კატალოგი

11. 03. 2013.

(სალომეს)

ყოველ დილით მინდვრიდან ჭრელ ყვავილებს მოგიტან,
შენს სიყვარულს ავარჩევ გრძნობის კატალოგიდან.

არ გიმღერებ, დაგიწერ სერენადის მოტივებს,
ლექსის დასრულებამდე ცრემლი დამანოტივებს.

ცრემლს და მელანს დავხარჯავ (მეტი ჩემი რა მიდის?)
გაგიშენებ ფურცლებზე ბაღებს სემირამიდის.

შევიჭრები ხილვებში, ვიდრე ხილვა მოვიდა,
შენ კი მოფარფატდები ნისლის მონაქსოვიდან.

ცეცხლად ამოვიფრქვევი სტრიქონების ლავიდან
და შენს სახელს ძვირფასო, ქალაქიდან გავიტან.

არ მაღელვებს, ჩემი ხმა დაბლა თუ ჩაიზიდა,
სხვა სამყაროს მოვივლით ძველი ქუთაისიდან!

მაგ თვალებმა იციან, საგულეში რა მიდევს,
რომ ლექსებში აგიგებ მარად სხვა პირამიდებს.

მე შენამდე ვიხილე მხოლოდ რუხი მხარე და
როცა შეგხვდი, ავაგე მზის და წვიმის კარეტა!

არწივების ირაო

31. 01. 2013.

(სალომეს)

ვცეკვავ მარტო დარბაზში, დამყურებენ ზემოდან
მარგალიტის ჭაღები, ძველი თვლები ბრწყინავენ,
ქვეყნად ყველა სიმაღლეს გავუსინჯე გემო და
მივხვდი, მიჯობს პატარას ყოფნა პაწაწინადვე.

ვიცი, ირგვლივ ცხვრის ქურქში გადაცმული მგლებია,
მეგობრებიც ხანდახან ვერცხლით მეწამლებიან.

მე ამაოდ მინდოდა, მყვარებოდა უბრალოდ,
ჩემი ჩუმი გრძნობისგან მუდამ კანკალს ველი და
მე არ ვყვირი, რომ მიყვარს, მხოლოდ ლექსით ვუგალობ,
რომ ეს ლექსი აფრინდეს სიყვარულის ველიდან!

მე მასთან ვარ, ვინც მიყვარს, მე არასდროს მინდოდა,
უღიმღამო გრძნობების მეგრძნო უამინდობა.

მიხურს შუბლი, დავკარგე ვიცი ჭკუის სადავე,
არწივებმა ზეცაში შეკრეს თითქოს ირაო,
ახლა ყველა მხატვრები გაგიჟებულს მხატავენ,
რომ სუფრიდან მსოფლიოს წვიმა ავაყირაო!

არ წახვიდე არასდროს! მუდამ გვერდით მეყოლე,
რომ შენ იყო პოეტის ცხელი გულის მედოლე!

რექვიემი

27. 01. 2013.

ალბათ, მოვა დრო, როცა მსხვერპლს ზარებთან მიიტან,
მღვრიე ცრემლებს აკივლებ, სულს კოცონო მოედო,
გეზი საით აიღეს შავი პოეზიიდან
კალამმა და გონებამ, იქნებ, მითხრა პოეტო?!

არ დავეძებ არაფერს... ჩემთან მხოლოდ მოდიან
რექვიემის ჰანგები, უხეში და ნოტიო,
აღარ მესმის გალობა, მხოლოდ ყრუ მელოდია,
მხოლოდ ქარის ზუზუნი, მუდამ უმელოდიო!

მესაჭე ვარ ხომალდის; დავძრწი უცხო მხარეში,
მის უსაზღვრო გუბეში შევაცურე გემი და...
სადაც არავინაა, იქაც მოვითარეშე
და ანდერძი დავწერე შავი რექვიემიდან!

დუმილის ანარქია

26. 02. 2013.

ერთხელ ხევში ჩავვარდი. (იდგა ჯანღი ლანდების)
მერე მთლად დალეწილი ამოვედი ხევიდან,
მე – ჯიუტი მელექსე, გზიდან გადავქანდები
და საკუთარ დუმილში ანარქიას შევიტან.
ჩემს ცხოვრებას ჩამოვგლეჯ მუქ მეწამულ ვუალებს,
შორს გრიგალი წამიღებს, მახინჯი და მელოტი,
ვიცი, სუნთქვა ნიავის, ჩემში ირიტუალებს,
მაგრამ ფრენას გრიგალში დიდი ხანი ველოდი!
ზვიად, სულის სიმშვიდეს ნეტავ, რატომ ვერ იტან,
რატომ ირჩევ ფრაგმენტებს უგემური ბინდების,
შფოთვა რატომ არ მიდის სულის მონასტერიდან,
ანდა, ფართხალს ქაოსის, რატომ არ უშინდები?
ნეტავ, რომელ ბილიკზე მიქრის შენი კარეტა,
რად მიყვები მეეტლეს შენს საკუთარ საფლავზე?
უმშვიდესი ძეგლივით, რად ხარ მხოლოდ გარედან,
შენი სული ღრუბლებში რატომ ვერ მოათავსე?
ალბათ, გაჩნდი ასეთი: მხოლოდ ყოფნის ფობია
განჯღრევს, როგორც ოდისევსს პოლიფემეს ღრიალი,
იცი?... შენი ასეთად ყოფნა შენთვის ჯობია,
რომ მიწაზე ანთხიო მიწის ორომტრიალი!...
ასე გაუჩენია უფალს შენი შვება და
შენც შენს თავზე მოირგე განაჩენი ასეთი:
ღეჭე სულის სავანე, რაც აქამდე გებადა
და კალამით მოაწყვე ირგვლივ საგანგაშეთი!
მხოლოდ ფიქრებს აყევი, ჯიუტებს და კაპასებს,
სულის სიმზე აჟღერე სტრიქონები ლორკასი,
მხოლოდ მათ მოეფერე, ვინც გისმენს და გაფასებს,
ცხვრებთან მშვიდი იყავი, ურჩხულებთან – ლომკაცი.
განერიდე სატანას, სხეულს გარს რომ უვლიდა,
როცა სააქაოში არ იყავი ფიქრებით,
ენდე ღმერთს და მის სიტყვას, გზავნილს ლურჯი ღრუბლიდან:
ის დარჩება, როდესაც ქვეყნად აღარ ვიქნებით!

თითების თეატრში

06. 02. 2013.

ირგვლივ სცენა ტრიალებს, ტყვე ვიყავი ნაღველის,
შემომეჭრა სხეულში მღვრიე ტაშის დინება,
საკუთარი აჩრდილი მიყურებს და აღრენილს
დასახრჩობად სპექტაკლის კვამლი მეპოტინება.

ჩუმად დააბოტებენ მსახიობთა ჩრდილები
და გარშემო საფლავის დალეწილი ქვებია...
მე ნერგი ვარ, სიცოცხლის აპრილს ვემორჩილები,
ახლა ჩემი თითები სიკვდილს ეცეკვებიან!

ღამის გუბე

11. 01. 2013.

ღამის ქუჩებს აღვიძებს მეძავების მატება,
გუბეში დგას პოეტი, სუიციდის ჩამდენი,
მთვრალი მთვარის ხმაური ქვესკნელს ეკამათება,
ღმერთო, ყველას ჩვენ-ჩვენი ქვესკნელი გვაქვს რამდენი...

მინდა, ცოდვის სასახლე გავიტაცო ახლავე,
მხიარული ქორწილი ჩავაშხამო დემონებს,
კალამს ვლესავ კბილებზე, ვხდები ბრმა მესაფლავე,
ჩემი ლანდი ძარღვიდან მელანს დააგემოვნებს.

დუღს თვალებში კუპრი და თავსაც ვეღარ ვიკავებ,
სუნთქვაც მიჭირს მე ახლა, ხარხარებენ ბინდები,
შემრჩა მხოლოდ სიგიჟე, ლექსთან მოფარიკავე...
მე ქუჩასთან ვმეგობრობ, მე წყვდიადით ვინთები!

ალაყაფის შიგნით

05. 12. 2012.

მუშტით ვაღებ ალაყაფს. ახლა ზევით ავყვები
კიბეს, ბნელ სასახლეში ზევით ადის რომელიც.
შეშლილ სპაზმებს მიმღვრევენ აჩრდილების ზრახვები,
ყორანივით დამჩხავის ვნება დაუცხრომელი.

ბნელი დარბაზებისკენ ვდგამ არითმულ ნაბიჯებს,
(ჩემო თავო, ნეტავი, თვალთან თითს თუ მიიტან?!...)
ხარხარებენ აფთრები და ჩემს სმენას აგიჟებს
ხმა, რომელიც შემოდის შავი პოეზიიდან!

ჩემი მზერის იქით ხომ მეწამული შუქია,
თეთრ თითებზე ტკაცანით გაქრა ყველა ბაჯაღლო.
რაც მინახავს, არც ღამეს, არც დღეს არ შეუქია
და კვლავ მინდა, წარსული ღრენით რომ გავაძაღლო!

არასოდეს გავხდები მკვიდრი შავი ორმოსი,
რაც ვისიზმრე, აღარ მსურს, არ მსურს თეთრი ბინდები,
დამპატიჟებს სუფრაზე საკუთარი ორმოცი,
მაგრამ მალე მტვერიდან ისევ ავღორძინდები!

მინდა, ვნახო ღრუბლებში როგორ დაქრის პეგასი,
აღარ მინდა, ვიხილო ბარათები წყლიანი,
თეთრ ფურცელზე თავიდან ვხატო ტილო დეგასი,
ვნახო, როგორ ხატავდა თვალებს მოდილიანი!

ბნელ დერეფნებში

21. 11. 2012.

დავქრი ბნელ დერეფნებში, დამაქვს მხრებით ნაღველი,
ვერაფერი ვერ ლეწავს მისტიციზმის გისოსებს.
ახლა ვხდები ცრემლების ტალღის თანამზრახველი,
ჩემს უბედურ ყოფაში ვერვინ ისკეპტიკოსებს.

ვარსკვლავებო, მძივებად კენწეროებს მოებით,
ვიღუპები, მშორდება კიდობანი ნოესი,
ბედნიერი ვიქნები მე იმ საღამოებით,
შედეგად რომ მაკოცებს დილა უსათნოესი.

მე მაჩუქეთ, მხოლოდ მე, მთელი ქვეყნის ეკლები,
მე ყველაფერს გავუძლებ, მე ყველაფერს ავიტან,
მაგრამ არდავიწყების ცაზე ავირეკლები;
ვერაფერი ჩამაგდებს ნოეს კიდობანიდან.

გრძნობის იერარქია

18. 11. 2012.

ამეწეწნენ ფიქრები, შუაღამეც მოვიდა,
მხოლოდ ლექსი დამიმსხვრევს მარტოობის მარწუხებს.
„საით მიდის პოეტი ნეტავ სიმარტოვიდან?“
– ამ კითხვაზე ვერასდროს ვერვინ ვერ მიპასუხებს...

იჩოქება ღამის ცა ტახტზე, როგორც მეძავი,
უმეგობრო ბურანში კვლავ დუმილი ღრიალებს.
ვერასოდეს გავხდები სევდის კედლის მლეწავი,
მაგრამ მუდამ ვაშენებ ლექსთა მემორიალებს.

ახლა აღარ მაღელვებს სტრიქონების ხარისხი,
მე ვგრძნობ, მაგრამ არ ვიცი, ამ შეგრძნებას რა ქვია,
ოკეანის წვიმები ხელისგულზე დავისხი,
რომ სხეულით მეთრია გრძნობის იერარქია!

ლექსების რეგატა *14. 11. 2012.*

ვეძებ ღამის ფორიაქს, ბნელა, შფოთვა იმატებს,
მთვარე გაეკიდება სახრით ბინძურ დემონებს,
ვერსად ველარ გავურბი ჭინკებს, ენაკვიმატებს,
ვარ ოტელო და ჩემთვის დილაც იდეზდემონებს.

ვერსად წახვალ სიბნელის აუხსნელო მირაჟო!
მზე ხარ ჩემში და შენგან არც ვარსკვლავებს არ ველი,
გალერეა შევქმენი შენში საერმიტაჟო,
რომ მე ვიყო სიგიჟის უძლეველი მფარველი!

ველარ ვიტან ცხოვრებას ქაოსების გარეშე,
დუმს და კივის მსოფლიო ერთდროულად ქალაში,
მივაღწიე ვერაფერს, წყვდიადს რომ ვეთარეშე,
მე მსურს მხოლოდ ვულკანი, ღრიალა და ხალასი!

მშვიდად ყოფნის მწვერვალებს ვესვრი კლდეთა ნატეხებს,
სადაც მთვარემ ღრუბლები დაბლა ჩამორეკა და
ჩემი რისხვა მოწყენას თავზე გადავატეხე,
რომ მეხილა ლექსების ფრეგატების რეგატა!

უკანასკნელი თხოვნა *27. 06. 2012.*

რადგან გამირბის თვითონ მგელიც კი,
რადგან ჩემს გზაზე ეშმაკი ყარდა,
მე აღვიმართე, ვით ობელისკი
ჩემი სამოთხის დაკეტილ კართან.
ვდევნიდი სიცილს, სიკვდილი ვაქე,
მეფერებოდა ქვესკნელი ვითომ,
მაგრამ, აღმოჩნდა, რომ იმის აქეთ
ოცნებად მექცა სიცილი თვითონ!
ეშმაკო, როცა შენით ნატყვიარს
წამათრევ, როგორც პირქუში გიდი,
აქ უკვე ტანჯვა შუბლზე მატყვია,
იქ მაინც მომე წყვდიადი მშვიდი!...

უდაბნოში

07.10. 2011.

უდაბნოში ვიხილე ერთხელ გოგო აზიზი,
ჩანდნენ მხოლოდ თვალები, თეთრი ჩადრი ებურა,
იმ თვალებში ვიხილე მაშინ ღრმა ოაზისი,
ვჩანდი, როგორც გლახაკი, იგი – ჩანდა მეფურად.

ცხენზე იჯდა ამაყად, იგი – ქალი-მხედარი,
მე კი, უძლურს, მართმევდა უკანასკნელ არაქათს,
„ჩქარა, წყალი!“ – ვესროლე სიტყვა ნათავხედარი,
ის კი ისე მიმზერდა, ვით ქალღმერთი არაკაცს.

ქამარიდან მოიხსნა შემდეგ ვერცხლის მათარა,
მწყურვალს უხმოდ მომიგდო, გააჭენა მხედრულად,
ამ ცხოვრებამ ეკლიან გზებზე სად არ მატარა,
მაგრამ მსგავსი ნაბიჯით სული ჯერ არ შეძრულა.

დავეწაფე მწყურვალი სითხეს, როგორც ცხოველი,
ქალი აღარც მახსოვდა, მხოლოდ წყალი მწყუროდა,
სოფლის წუთი ასეა: რაც გვსურს, იმას მოველით
და არასდროს გვაღელვებს სოფლის მედიდურობა.

უცხო ბილიკი

03.12.2012.

ვეჩეხები რიჟრაჟზე უცხო ბილიკს ბაღებთან,
მე არ ვიცი, საით მიდის ის...
ნეტავ, იმედს ეცოცხლა; ჩემით იამაყებდა...
ახლა სულში ცივი ქარი ქრის.
ტრიალს ჩემი ცხოვრების, უკვე აღარ ველოდი,
ახლა იგი ცახცახებს და თრთის,
მე მდიდარი ვიქნები უცხო ტყით და მდელოთი,
ტყვე გავხდები სხვა ცხოვრების ფრთის.
ცრემლი ცრემლს ზრდის, წვიმა ცრის, წყარო ერთვის წყაროებს,
ერწყმის თეთრიც წყვდიადს, ღამეს ცვლის,
საკუთარი სულის ცვლას კალმით ვესამყაროე,
გავიქეცი სასახლიდან ძვლის.

გავექცევი ცხოვრების დაუნდობელ გისოსებს,
ვებრძვი სიზმრებს, ვებრძვი, მაგრამ მღლის...
ჩემში ვეღარც წარსული ვეღარ იმუსიკოსებს,
ვერც გვირგვინი იბატონებს მგლის!

ფიქრის ფრეგატი

04. 03. 2013.

მოვიხედე, განვლილი წლები ძლიერ მებევრა,
(ნეტავ, რად უარვყავი ამ ცხოვრების ალერსი?)
ეკლიანი ბილიკი ჩავიფიქრე შედევრად,
ჩამჩურჩულებს გარიყულს ლოცვა უმხურვალესი.

ვხედავ, დახლზე დაჭრილი ქალაქები აწყვია,
ვღრიალებ და შეშლილი მუშტით ვლეწავ ტრიბუნებს,
მე თვალებში წარსულმა დამაჭედა რვა ტყვია,
მომავალიც დაკარგულს უკვე აღარ მიბრუნებს!

დამდევს ლანდი უჯიშო, მახინჯი და დრეკადი,
ალბათ, მოკალათება ჩემში უნდათ აჩრდილებს.
შუა ზღვაში მიცურავს ახლა ფიქრის ფრეგატი,
ვწერ და ისე ვცხელდები, მთვარეც ვეღარ მაგრილებს.

სტრიქონები დახტიან უქათქათეს მდელოზე,
გრძელი სტალაგმიტიდან მეცემიან წვეთები,
გავექეცი ჯოჯოხეთს, ედემს რომ დაველოცე,
მაგრამ ვგრძნობ, რომ სულ მალე ეშმაკს შევეფეთები!

ბაღში ადგილისათვის ზვიად, მალე შეუტევ
შენს ძველ ცოდვებს! დაწყვიტე სულის შავი თოკები!
შემიწყალე ცოდვილი, დედამიწის მეუფევ
და ყოველდღე შენს სახლში შენთვის დავიჩოქები!

ჯარის კაცური 03.11. 2013.

იყო ქართველი, ძნელია მეტად
და ქართველური დღენი გალიო,
თუ ეღირსება ოდესმე ნეტავ
მზე, საქართველოს შავ-თეთრ ალიონს?

როდის დავგმანავთ კედლებში ნახვრეტს?
ის სათოფეა, არ არის ღრიჭო!
იცოდე მტერო, ცხელ ტყვიას დახვრეპ,
ჩვენზე რაც უნდა კბილები კრიჭო!

შენ, ჯარისკაცო, კბილებში გაცრი
მტერს, მოკანკალეს, ყრუს და ამრეზილს,
ველზე გეძახის ცხოვრება მკაცრი,
მეტად კაცური და უმამრესი.

არ დაეცემა არწივის მართვე,
ჩვენ ვიქართველოთ ყოველთვის უნდა,
შესაბრალისი არ გვქონდეს ქართველთ
და ბრძოლის ველზე დავეცეთ თუნდაც!

აპოკალიფსი 11. 10. 2013.

მოკვდა ზამთარი! დილა მაგონებს
გამოქვაბულში ჩასახულ შანდალს,
აპოკალიფსი უდგათ მასონებს,
ახლა კოცონი სიბნელეს შანთავს.

თვალებს წაერთვათ ძილი საღათას,
ვყვირი, გამევსო პირი ქარით მე,
ახლა ჩემი ხმა კანკალს დახატავს,
კალამო, შენი სპაზმა გარითმე!

მე ვმეგობრობდი ველურ სულებთან
და ნათდებოდნენ შავი საკნები,

ღამე დაკლაკვნას მაიძულებდა,
მაგრამ არასდროს დავიკლაკნები!

მოკვდა, მოკვდა და მოკვდა ზამთარი!
გაქრა უდაბნო, ახლოა ჭამდე!
დღე ყველა გრძნობის არის გამტარი,
ახლა ძარღვებში ღრიალი ჩავდე!

კლდეების ნგრევა მელოდა ცხვირწინ,
უსახურ ტიტრებს ველარ ვითვლი და
ტიტველი ჭინკა ცეკვავდა ბილწი,
მაგრამ ტყე ჩანდა ამ სიტიტვლიდან!

შიშმა გულები დაბლა ჩაზიდა...
შემხვდი მეკარევ, პატივი დამდე!
მე შემიძლია, ერთი ხაზიდან
გრძელი ბილიკი გავჭიმო ცამდე!

დღე-ცხოვრება

05. 09. 2013.

იმიტომ მიყვარს ყოველი დღე, რომ
ჩემს ბავშვობას გავს ყოველი დილა
და ყოველ დილით მინდა, ვიმღერო,
როგორც ბავშვობამ მიმღერა თბილად.
იმიტომ მიყვარს ჩემი დღე კიდევ,
შუადღის სუნთქვას ისიც აბუქებს,
რომ ყველა საათს ფეხდაფეხ მივდევ,
რადგან შუადღე გავს სიჭაბუკეს.
მე ისიც მიყვარს, როცა საღამო
ფრთებს შლის და მთვარე დაისს იფერებს,
რადგან ბინდბუნდი დაუსაბამო
ასე ძალიან მოგავს სიბერეს.
როცა შემოვა პირქუში მწუხრი
და გიშრისფერი სივრცე მომელის,
ქედს წყვდიადების სიმკაცრეს ვუხრი
– სიკვდილი მოდის დაუნდობელი.

ედემი უდამოდ 21. 09. 2013.

ადამი ედემს უდამოდ ტოვებს
და მოიწყინა ბაღის წიაღმა.
ახლა დაიფრენს არწივი ყოვებს,
ზეცას სახეზე სხივი მიახმა.

ყველა ბილიკი ბრაზით ინთება,
მგელმა შველს შუბლი მუხლზე მიადო,
გზები გავწელე ლაბირინთებად,
(ირგვლივ დაისი დგას უწყვდიადო)

დუმილის მყიფე ხმაურს ვისმენდი,
ძილი მლოკავდა ჩუმს და თავმდაბალს.
სიჩუმეს ჩემი აპლოდისმენტი!
ყველა ხმაური ახლა ჯანდაბას!

ტოვებს ადამი ედემს უდამოდ
და მარტოობას ვუღებ სურათებს.
აღარ დაღამდეს! დე, სამუდამოდ
მზე განთიადის ნისლში ცურავდეს!

რომ დავბერდები 08. 08. 2013.

რომ დავბერდები და როცა მოვა
წლები, რომლებსაც დიდხანს ველოდი,
თავზე იმეფებს ფიფქების თოვა,
მოსილი უცხო, თეთრი მდელოთი.

მექნება ერთი ბაღი, სადარი
უფლის წალკოტის... მე ბაღში გავალ,
გავხდები ბაღის ბრმა ბინადარი,
თვალდახუჭული შევხედავ თავანს.

მოვუსმენ სახლში ბავშვების ლაღ და
დაუსრულებელ ტიტინს მხიარულ,

ვიგრძნობ, რომ ჩემი ოცნება ახდა
და დავინახავ მემორიალურ

დაფაზე ჩემს თავს, რომელიც არის
ხალხის სითბოთი ატეხილ გულში,
ვიგრძნობ ყოველთვის, მე – თუნდაც მკვდარი,
რა ბედნიერი ვყოფილვარ გუშინ.

სიცივის მთაზე *02. 08. 2011.*

ქარი გაკივის, ღელავს მდინარე,
ჩემი ბავშვობა გაზაფხულს გაყვა,
ახლა ნიმფები პირმოცინარე
და შენი ხატი მირწევენ აკვანს.

დაე, წაიღეთ სადმე ეს გული!
ომში მივდივარ... ჭიხვინებს რაში,
გზას მილოცავდა სახე ფრესკული,
სახე, ნაკვეთი გიშრის ფრესკაში.

ვიბრძვი, კალამი იარაღია,
შენი ლოცვა კი – ჩემი ფარია,
ახლა შენ – ჩემი იარა ღია
და მოგონება ერთად არიან!

ბედი მომე და წიხლებით შემდექ!
მამღვრევს სიცოცხლის მძაფრი მანია,
თუ ავმღერდები სიკვდილის შემდეგ,
ახლა დუმილიც ასატანია!

მზეც შუაღამის ტურ-აფთრებს მისევს,
სადღაც, სიცივის მთაზე მოვედი,
მე ისევ მოვალ, თქვენთან ვარ ისევ
ჩემი მარადი სიმარტოვეთი!

ლოცვა 09.12. 2012.

ღაწვებზე წვიმის წვეთებად ვჟღერდი,
შურისძიება ქროდა ქარებად,
ერთადერთია ამქვეყნად ღმერთი,
რომელსაც არსად არ ეჩქარება.

გალესილი გვაქვს მახვილი ერთობ,
ვატარებთ ჯვარს და იარაღს ერთად,
რა პატარები ვართ კაცნი, ღმერთო,
შურისძიება რომ გვინდა მტერთა.

აღარ მსურს გულის მონობა, ვგონებ,

მსურს, შემეყაროს მთვარის ციება,
ღმერთო, თავიდან გვაშორე მონებს
მონის მონებზე შურისძიება.

ტუჩების მიღმა 02.12. 2012.

ტუჩების მიღმა დაღვრილი გესლი
ახლა წვიმისფრად შეღებავს მთვარეს.
ბასრი დუმილით ეშმაკსაც შეშლი
ჩემი ცხოვრების მეორე მხარევ.

ცრემლების ნაცვლად ვებრძოდი სიცილს,
ღიმილის ნაცვლად ცრემლები ვღვარე,
მხიარული ხარ უზომოდ, ვიცი,
ჩემი ცხოვრების მეორე მხარევ.

ალბათ, ცხოვრების ასეა წესი,
თავი სიმძიმით მიწაზე ვხარე,
ვიცი, მუდმივად დუმხარ და კვნესი
ჩემი ცხოვრების მეორე მხარევ.

ლაბირინთები *24.07.2011.*

შავმა სვავებმა შეკრეს კამარა
და დაიფარა შარა ლანდებით,
ლანდები დარჩნენ ღამის ამარა,
მიმოზისფერი შარავანდედით.
შიშით წამერთვა პირში მე ენა,
თვალებში აღწევს ლურჯი ნათება,
ჯოჯოხეთური ღრენის გეენა
მალე წყვდიადში დაიხატება.
მე და ვოლანდი ვმღერით ბალადებს,
ვკრეფთ ნაცნობ მთაზე ვერცხლის მიმოზებს,
არც უცხო ჩრდილი არ გვიღალატებს
სხვა პოეზიის სანაპიროზე.
ურიჟრაჟობა კლავდა ბელურებს,
მე შუაღამის ალით ვინთები,
ჩემს ბაღში ვეღარ იუბედურებს
ყრუ განდეგილის ლაბირინთები.
გასაბრწყინებლად მოქროდა წვეთი
და თუ ის ღამის ღაწვებს მიედო,
ელფერს დაკარგავს, როგორც კოლხეთი,
უმედეო და უაიეტო.
მე ვტირი, მაგრამ განახებთ არვის!
ჩემს კალამს სწორედ ამისთვის ვღლიდი,
იქ მინდა გაშლა გულის და კარვის,
სადაც არ არის ბილწი და ფლიდი!
ხორხს მიკაწრავდა მაგრამ ღრიალი
– დაბმული ძაღლის მძაფრი გენია,
ვკბენ საკუთარ თავს, ვით მორიალი
და ვხედავ, მზისთვის რომ მიკბენია,
არ დაჟანგდება გვირგვინი ჩემი
(ფერს ვინ შეუცვლის ოქროს სტრიქონებს?!)
ჩვენ წილი ვყარეთ: ჩვენი ტანდემი
ათასწლეულში ირუბიკონებს.

ჩემი ბილიკი 17.03.2011.

გულს მირევს ქვეყნის ვრცელი ნაპირი
და რუტინული მისი ქილიკი,
ვეღარ გავურბი მთვარის ლაბირინთს,
აღარ მშორდება ეკლის ბილიკი,

აღარც წვალების ცელი მშორდება,
ვემეგობრები მხოლოდ ნარ-ეკალს,
ბლაგვი დანა ჩანს გმირთა გორდებად,
ზურმუხტს ვადარებ უკვე მდარე ქვას,

ვიცი, არ არის შველა ნიადაგ,
მზარავს ტურების ტორთა ფათური,
უკვე უმზადებს სიზმრებს ნიადაგს
პარანოია ფსიქოპათური!

რა მეშველება? მე დავწერ მხოლოდ
ღრმა ტკივილებით სავსე ბალადებს
და თუ ღამეა ჩემი სიმბოლო,
არც შავი ბედი არ მიღალატებს!

ბრძოლა 21.01.2011.

ისევ მიწვევენ შავი ბაღები!
ვიცი, იქ მივალ ფორთხვით ამაღამ,
უცხო ნაყოფით დავიდაღები,
გამანადგურებს შხამი ამაყად,

ბავშვი ვიყავ და დავრჩები ბავშვი,
ღრმა წარმოსახვა ისევ მაწუხებს,
რატომ ებრძვიან ჩემს ცხოვრებაში
შავი და თეთრი – ვინ მიპასუხებს?!

კბენენ ჩემს წარსულს სიზმრები ისევ,
ჩემს წინ იღება მძიმე კარები,

კოშმარი თავის გრძელ კლანჭებს მისევს,
მე ჩემს სამოთხეს ვეკოშმარები,

მე მინდა ვიყო იქ, სადაც ჭამენ
ერთმანეთს შურით, ღვარძლით, სიავით
დილის ნისლი და უძირო ღამე
და მიგრილებდეს შუბლს ზღვის ნიავი,

მღერის საფლავზე ის ძველი ნოტი,
ჭირისუფლებში მოთქვამს ობლობას...
მე და უფალი ერთად ვებრძოდით
მტრობას, მკვლელობას და უნდობლობას.

სიბნელე... შუქი! *22. 05. 2010.*

სიბნელე... შუქი! ფერი მეცხრე ცის,
უხეში ძალის ჩაკლული ჟინი,
დაბლა დახრილი თვალები მხეცის,
ზართა გალობის ტკბილი სტრიქნინი,

მე მინდა, ხეებს ფოთლებად ესხას
წვიმის ჩურჩული და ტყის შრიალი,
ერეკებოდეს შორიდან მერცხალს
გაზაფხულების ორომტრიალი,

მინდა ღრუბლებში ვხატავდე ნოტებს,
დე, ღრიალებდეს დაბლა ხეობა,
რომ იავნანად ძილში მესმოდეს
ედემის გველთა უსახეობა,

სიცოცხლე, სიკვდილს რომ ვერ ესწრება
და მუდმივობის ფსკერში ეფლობა,
ჭიქის წკრიალის გაორკესტრება
და სიმღერების უბერებლობა!

ათინათი

31. 01. 2013.

ჩემს ბნელ ოთახში ჩანს ათინათი,
მე მაგონდება ცხოვრება ჩემი,
მოსილი სხივით, პაწაწინათი,
მე ვდგები, ვუსმენ ცხარე ტაშს და ისევ ვეცემი.

სადამდე მივალ ბოლოს მე, ანდა
საით წამიყვანს ბოლოს მე გემი,
თუ ჩემი გზები გაოკეანდა,
თუ აითქვიფა შორ წყვდიადში ჩემი ედემი?

ხმაურით დაქრის ქარი ჩემს ყელში,
ჩუმად ცურავენ ტბაზე გედები,
მე სიყვარულის ვიქნები ელჩი,
ვეცემი, ვდგები და არყოფნის კედლებს ვედები.

აკაკის

23.12.2010.

ოთახში ეგდო ჩონგური ერთი,
მისი სიმები ყველგან ეყარა,
საქართველოსთვის „სულიკოს“ წერდი
და სულს ღაფავდა მთელი ქვეყანა.

„ზოსიმეს სიტყვას ღმერთი არ აჩენს“
– მხრებზე გვაწევდა სიმძიმე ლოდის...
ჩვენ – მოკვდავები, უფლის განაჩენს
და უკვდავებას ჩავწვდებით როდის?!

ლოდების ანარქია

18. 11. 2013.

მე უკვე აღარ გავსინჯავდი ეშმაკის კერძებს,
ცეცხლი ანთია დაღლილ მხრებზე, დავათრევ ლოდებს,
დამკარგა ყველა ანარქიამ, სიმშვიდე მეძებს,
ვჩანვარ უგრძნობი ბიუსტივით და შიგნით ვგოდებ,
მე უკვე აღარ გავსინჯავდი ეშმაკის კერძებს.

ღმუოდა ქარი გამყინავი, მღეროდა მთვარე,
იისფერ ტბაში დაცურავდა სული ნატიფი,
ცა გადაემხო, ვარსკვლავებმა ცრემლები ღვარეს,
ღამის ცხოველმა გაიხადა შავი ქათიბი,
ღმუოდა ქარი გამყინავი, მღეროდა მთვარე.

ახლა ბინდბუნდში აიკლებენ ბარაბნებს ყურის
ვერცხლის სიმები, იცეკვებენ ხარები ტყეში,
კვლავ ააყალყებს დავარცხნილ თმებს კივილი ტურის,
დაძაბულ ტანზე ითქრიალებს თითების თქეში,
ახლა ბინდბუნდში აიკლებენ ბარაბნებს ყურის.

ბრბოვ, დაისვენე! არ მაღელვებს ჯუჯების ტაში!
ამოეთრიე ქარქაშიდან ხმალო დევების,
ქროდა მკერდიდან ამომსკდარი ღრიალი ცაში
და სტრიქონებში ტიტანების ხროვას შევები!
ბრბოვ, დაისვენე! არ მაღელვებს ჯუჯების ტაში.

ამოისროლა ჯურღმულიდან ვულკანმა ლავა
და ტვინშიკაქტუსგარჭობილი ბღაოდა მიწა,
აქ, ამ დარბაზში, ცრუ პოეტიც მოვა და წავა,
მაგრამ იქნება ამავე დროს პოეტთა ძიძა!
ამოისროლა ჯურღმულიდან ვულკანმა ლავა.

არაკაცები

12. 10. 2013.

ჭერიდან წვეთავს, მღვრიე წვიმით ივსება სათლი
და ტიტველ ტერფებს სიღატაკის ამტვრევს კომბალი,
ოდესმე ღმერთის ბასრი ცული კეტებად დათლის
უსამართლობას და შიმშილი ძირგამომპალი
ჩაიჩეხება ხევში, სადაც მზე ძლივსღა იქნევს
სხივებს და ხრავენ კუნძს ჭიები და გდია ჩონჩხი,
მაგრამ ბოროტი ამოვიცნოთ იმ ძვლებში იქნებ,
უფსკრულში, სადაც მოსაწყენი იშლება კონცხი.
მაგრამ, რა გითხრათ არაკაცნო, ასე არიფებს,
იძვრის მიწა და აფთრებივით ქირქილებთ როცა,
თქვენთან დგომა და თქვენთან სუნთქვაც კი მაღარიბებს
და ჩემს სახეზე უარყოფა სურვილებს ხოცავს.
გადმოგარწყიეს ეშმაკებმა შობისას ალბათ,
ღორიშვილებო, დაგიდიათ ჭიპზე ღიპები!
თქვენს საფლავებში იკანკალებთ სულებით დამპალ,
რადგან ჩემს კალამს იქ მოგნებაც ხელეწიფების!...

ადამიანო

17. 05. 2013.

ადამიანო, რას გავს ქვეყნად შენი არსება,
გა-ვარდ-ცისფერდი, ამაზრზენი ქართველი გქვია,
ვაი მას, ვინც ჩვენს მამა-პაპას ვერ ემსგავსება,
ვაი, ვის ღმერთშიც ზიზღიანი გაივლის ტყვია.

საკუთარ სულში ჯოჯოს არწყევ, გველებს ალაღებ,
შენი ბინძური ტვინით აფსამ ჩოხას და მანდილს,
კაცის ლეჩაქით ქართველობას ესვრი ტალახებს
და დაგხარხარებს მახინჯი და უჯიშო ლანდი.

შენი სახიდან ღამურების მზერა იღვრება
– საცოდავი და გარიყული შენი ფობია,
სარკიდან გიმზერს საკუთარი გასაზიზღრება
და ქვეყნად შენი არსებობაც დასამხობია!...

ქროდნენ წამები

19. 05. 2006.

უშავეს ჰიმნში აღრეული ქროდნენ წამები.
ქსელი გააბა აალებულ წყვდიადში ჯადომ.
გამხეცებული სიყვარულით ვარ ნაწამები
და ვერასოდეს ვერ მივხვდები, მიყვარდი რატომ.

გაათასკეცდა უბოლოოდ ზმანება ღამის
და ისევ ცხელი კოშმარების ფეხთით დავეცი,
მაგრამ უკრავენ ყინულები თეთრი აკლდამის
– დაე, მბორკავდეს სიყვარული უუკვდავესი.

ქროდნენ წამები, აღრეული ჰიმნში უშავეს,
ჯადომ წყვდიადში აალებულ, გააბა ქსელი.
სხვა გრძნობისათვის ჩემი გული ვერ იმუშავებს...
მე კვლავ იმავე ყინულისთვის სასწაულს ველი.

მუსიკა ბაღში

20. 02. 2013.

ღამის ტაატით მე მივყვები ქუჩებს ბაღამდე.
ბაღში მშიერი უპოვრების დასი ხაოდა.
მინდა, ვჩეხავდე მათ ტკივილებს, მინდა, ვდაღავდე,
რომ გველთა მოდგმა გადავრეკო სააქაოდან.

თქვენ, ოცნებებო, აუხდენელ სიზმრებს მიებით?!...
ახ, ეს მუტანტი სურათებიც უჯრედებს ხრავენ!
მინდა, გავაქრო ეს უჯიშო რეპტილიები,
გადავივიწყო ყოველი და ვუსმინო რაველს.

ჩამოძონძილი მათხოვრების დამყვება დასი,
ერთ პურს და ღვინოს ვეძებ მათთვის... სასწაულს ველი.
ვუყურებ ზეცას... სულ ამაოდ. ღამეა ნაზი,
ბაღის ბოლოში ვდგავართ ჩვენ და უკრავს რაველი.

ვრცელი მორევი

30. 05. 2006.

ტბები მიაგავს ადუღებულ, ტყვიისფერ მორევს,
ჰაერი ჩქარობს, რადგან მალე დაერქვას ქარი,
ქარი გრიგალობს, წვიმა წივის, ღრუბლებს აზმორებს,
მიწას წალეკვით ემუქრება ცრემლების ღვარი.

ჩანს ჩრდილოეთით, ცის კაბადონს ერევა დუჟი,
ირგვლივ შავდება ჰორიზონტი, მიელავს მეხი,
მზეთა უკუნმა ააკივლა ღამე პირქუში,
თითქოს მიწაზე თვით ავდარმა ჩამოდგა ფეხი.

მეგრაგნებოდა დაშხამული პირში მე ენა,
შიშხინებს შიში, თავსხმის თალხმა შეშალა ზეცა,
მითხოვდა სიტყვით დასეტყვილი შავი გეენა
და ჯოჯოხეთი ცოფიანი ძაღლივით მეცა.

გულს მირევს გუბის მყრალი სუნი უფრო და უფრო,
იწვის ღაწვები, უწმინდესი, როგორც ჩანჩქერი,
სულს ღაფავს ცაში ატყორცნილი სათნო საუფლო
და წითელთვალებგაყინული გუბეს დავცქერი!

მე მითრევს ტბების ტყვიისფერი, ვრცელი მორევი,
ბრწყინავს ბურუსი, თითქოს მთებში თეთრი ბროლია,
ყრუ და მივარდნილ სამარეში გავიზმორები,
დამჯიჯგნის მჟავე, უფერული მელანქოლია.

ცოცხლდება დილა, ციალებდი გაცრეცილ ცაზე,
მე კვლავ ვკანკალებ სიყვარულით, გელი და ვმღერი,
შორს კიაფობდა გაუმქრალი სიზმრის სინაზე,
გამჭვირვალე და უწმინდესი, როგორც ჩანჩქერი!

შეშლილის სიმღერა *15. 02. 2013.*

ვარ და ისე ვარ, თითქოს არც ვარ. თითქოს მოზიდა
ვიღაც სასტიკმა ყველა ჭირი და ჩადო ჩემში,
ერთხელ ამოვალ დაცემული ანგელოზიდან
და დღემდე ჭკვიანს, ავი ხალხის დაცინვა შემშლის.

სიმშვიდე მხოლოდ მოთმინებით მსურდა, მენთხია,
მაგრამ არა და არ ისურვეთ! გამასწრებთ როდის?!
ახლა კი თქვენი უცხოობა ჩემი კვერთხია,
სიკვდილი მზეა, ეს ცხოვრება – სიმძიმე ლოდის!

მე დავღეჭ ჩემს სულს, არ მაღელვებს, შიგნით რა ყრია,
ისედაც თქვენგან მე მუდამ ვდგამ უგრძეს ნაბიჯებს,
იქნებ, მიმიხვდეთ: ჩემი ყოფნა მწარე სახრეა
და ცოცხლად ყოფნის უბოლოო სევდა მაგიჟებს!...

შუაღამის ანაბეჭდები *18.01.2013.*

ღრმა ქვესკნელიდან გამყინავი ქარი ბღაოდა.
მე – ცოდვილი და უგუნური, ღმერთში ვეჭვდები.
წყვდიადს მიკაწრავს ჯოჯოხეთის ბილწი ხაო და
თვალებში ქრიან შუაღამის ანაბეჭდები.

მთვარის პაემანს მზესთან სული ისე ელოდა!
ცეცხლს ვეძებ, ომში სიმღერისას გულში რომ გვენთო,
ხელები ცისკენ აღიმართნენ სადღეგრძელოდან:
„ჩემი სამშობლო დაიფარე მტრისაგან ღმერთო!“

პირამიდაში

11. 11. 2011.

კარი ღიაა პირამიდის. შიგნით შედიან
ფიქრთა ჯარები და სიზმარი ვერცხლში ეფლობა,
ირგვლივ უდაბნო, სამუმი და ჯოჯოხეთია,
შიგნით – სიმყრალე და სიცოცხლის შეუძლებლობა.

ავი თვალებით მიყურებდა ციდან ბინდი და
ფრთები დავუშვი და სიბნელის ქსელში გავები,
გრძელ დერეფნებში მარგალიტის ლაბირინთიდან
ოქროს ლომები მიყურებდნენ, ვით უკვდავები.

მაგრამ მომინდა გამოქცევა. იქ ხომ მკვდრეთია.
სიკვდილმა იცის, ვინ აცოცხლოს, სიცოცხლემ – არა.
სიხარბეს სურდა, მუმიებთან ღამე მეთია,
მაგრამ გონება ჩამძახოდა: – "სიხარბე კმარა!"

ასე ბრიყვები ვეწირებით სიბრმავის წუთებს
და გავიძახით: – "რისთვის ღმერთო, რატომ ვარ ასე?!"
ბოლოს სიკვდილი, როგორც ბავშვებს, გულში გვიხუტებს
და გაგვიყენებს შავი ქვეყნის უგრძეს შარაზე.

საწამლავი

26. 07. 2012.

ახლა დრო არის დანის ლესვის! დავლიე უკვე
სიყვარულის და შურისგების გადანაზავი,
მინდა ღრიალი და თეთრ ფურცლებს მინდა, მოვუყვე,
საკუთარ ტვინში რომ დავძვრები სატანასავით.

მძულს ნესტიანი სიყვარული! დამატყდა ადრე
მისი ცრემლჩქერი... კვლავ მის განცდას რა თავში ვიხლი,
ღმერთს სამოთხეში როცა გველის ურჩობა ვკადრე
და მოღრიალე უღმერთობის ვიგრძენი წიხლი?!

არჩევანი *15.08.2011.*

სადღაც, ტალახში ჩაჩოქილი, ბრმა კაცი ტირის,
სადღაც, სალაროს, ობიანი ფული ამძიმებს.
დაეხეტება სადღაც ბავშვი, ხვლიკივით მწირი,
სადღაც ჩაიცლის ლოტოს კოჭი ვერცხლის ბარძიმებს.

უნაყოფოა ეს სოფელი... ტყვე არის სეტყვის...
თუ მოგვეცემა არჩევანი ცოდვის ბინადრებს,
თუ მკითხავს ღმერთი: „რომელი გსურს?“ მაშინვე ვეტყვი:
„გუბის ბინადრის, მტირალი ბრმის ადგილს ვინატრებ.“

რეინკარნაცია *03. 08. 2011.*

ღამის ტყე. ყინავს. ხროვა-ხროვად დაძრწიან მგლები,
მძიმედ მივყვები ტალახიან ბილიკს ტაატით.
დამბღავის ელვა, მე ვჩერდები ტყეში, ვიღლები,
მარადიული მარტოობის რეკავს საათი.

მე გავექცევი ამ სამყაროს, მყრალს და საზარელს,
თავს მივცემ მხარეს, სადაც ფიქრი თავს ვერ იკავებს,
ქრის როგორც ქარი ყოვლისშემძლე, კლდეს აზანზარებს
და ყურადღებით უსმენს გლოვით სავსე იგავებს.

მაგრამ არასდროს დამცალდება ნატვრის მოსწრება,
მე მეღვიძება ოფლის ტბაში და ვიძირები,
ჩემი ხილვები გადამექცნენ ღამის მონსტრებად,
უღვთოდ მითხოვენ ჯოჯოხეთის შავი ძირები!...

ვებრძოდი სულის გარდასახვას, ცეცხლში ალესილს
და ახლა ვიცი, რომ სიცოცხლე, ყრუ და ღრენია,
მე აღარასდროს მომინდება მიწის ალერსით
და დამივიწყებს სააქაოს ბილწი გენია.

ეტლები

29. 07. 2011.

მთის წყარო, შავი ჩანჩქერები, რთული ეპოქა.
არ ეღირსებათ ჩემი გვამი არც უფსკრულს, არც ხევს.
იქ პოეზიის სხვა ფიქრს სისხლის გზა გაეპოხა
და ასე ნერვებდალეწილი ჯოჯოხეთს არწყევს.

მე შევყურებდი ცის კამარას ჩემს სავალ გზაზე,
ვხედავდი, ქროდნენ ეკლის გზებზე ჩემი ეტლები,
ტვინი ღრეობდა აუხსნელი ფიქრებით სავსე
და მე ვიგრძენი თეთრ ხილვებში უცხო ბეთლემი!

დე, ბინად მქონდეს დაფლეთილი ძონძების გროვა

და მოციქულთა ნასუფრალებს ვედგე დარაჯად,
ოღონდ, ვიცოდე, რომ ტკივილმა სული დატოვა
და უმდიდრესი შევიქნები, ვით მაჰარაჯა!

ცაზე ლილეა. გალილეა ელის მაცხოვარს,
ვიცი, ჩააქრობს ჩემს კელაპტარს ჩანჩქერი მუქი,
ჩემს ღაწვებს მარტმა ცოლად წვიმა თუ მიათხოვა
და ჩემს საფლავში აენთება რიჟრაჟის შუქი.

ზღვა

25. 03. 2011.

ზღვაში ვარ. ირგვლივ უსაზღვრობის ნაპირი მოჩანს.
თუნდაც უაზროს, მინდა, მაინც ზეცას ვუყურო,
ვებღაუჭები ოკეანეს, ვირივით ოჩანს
და ფსკერზე უცხო ჯოჯოხეთის მოჩანს ფუღურო.

მაგრამ არასდროს არ ვიშორებ თოლიის კივილს;
მიწა ახლოა! და ზღვის ტალღა, ზანტი და მდორე,
ვერ მაიძულებს, უკუვაგდო ღიმილის სხივი
და ჯოჯოხეთში გავეკიდო სიკვდილის მორევს.

ბოლოსიტყვა 10. 01 .2011.

მე მაპატიეთ, რომ მივდივარ... მე შეგპირდებით,
არ დაგივიწყებთ, გესტუმრებით ხანდახან ღამით,
შუბლს გამინათებს მზე და ზეცის სხვა შეგირდები
და შემიკედლებს თქვენი ხსოვნის უძირო ხრამი.

ვხედავ გალავანს... თან მომდევენ ლექსთა გუნდებიც...
მე ვემსგავსები უაილდის ჭაბუკ დორიანს
და როცა წავალ, მაშინ მაინც ხომ დარწმუნდებით,
რომ ჩემი მკვლელი მარტოობა და იგნორია.

ამპარტავანი დედოფალი 03. 01. 2011.

ველურ გნიასში ათქვეფილი შუბლი თავხედი,
ნისლის ტალღებში გაუნძრევლად იდგა ძეგლივით.
ნეტავ, სად არის შენი გული? მე მას დავხევდი,
რათა მწვეოდა განცდა მძაფრი და ღვთაებრივი.
რა ლამაზი ხარ! აანთებდი ყველა სასახლეს
და იქნებოდი ცივი, წმინდა, როგორც ტიმეა,
ახლა კი ამ გულს მარტოობა კვლავ ასაძაგლებს
და ირგვლივ აღარც სიყვარულის სიექიმეა.
შეგისრულებდნენ ცივ ქალბატონს ბრძანებას სხვები,
შენ კი ამრეზით დახედავდი კუდის ქიცინებს,
დიდხანს კისკისებ ყინულივით, ცინიზმით ძღები
და გზარავს, ლექსი დემონურად თუ გაიცინებს.
მაგრამ დრო მოვა, მომიგონებ... წვიმაში, ქარში,
როგორ ვძერწავდი გარიყული შენთვის სტრიქონებს,
ჩამქრალ თვალებში ითამაშებს ფიქრების მარში
და გონებიდან ჩემი წასვლაც არ გაგიგონებს.
დაგეღარება დედოფლური შუბლი და სახე
და ატირდები გაცრეცილი ფოტოს წინაშე,
წუთით გაირბენს ჩემი ჩრდილი, ხმელი და მკვახე
და ნახავ: ლექსს ვწერ დედოფალზე, პაწაწინაზე.

ჩემი სარკე

13. 11. 2010.

მე სტრიქონებში დავეძებდი მახინჯ იადონს,
დილის ტირილი ისმის ჩემში, ღამის გალობა,
მე ისევ მინდა, რომ წყვდიადი მეგანთიადოს,
მე ისევ მწარედ დამაღონებს უსკანდალობა.

ჩემი სიმშვიდე ქაოსშია, ჩემი ქაოსი
– სარეცელია სააქაო და მკოცნის ისევ,
მარტოობაა მარად ჩემი იოლაოსი
და ჭრილობებზე ჩემს აღრენილ სტრიქონებს ვისევ.

სპირიტს დავიფლეთ და მივაღწევ სპირიტის ზენიტს,
შავი ქვა მუდამ ბრწყინავს ჩემში, როგორც ბაჯაღლო,
ჩემს გიშრის სარკეს ისევ სულის კოცონი შვენის,
ქვეყნის სიყალბე ქვეყნის თვალში რომ გავაძაღლო!

მაშ, გაუმარჯოს დავიწყებას – ზღვას დედამიწის!
ქვები მესროლეთ, არ განვიცდი ლოდი არაფერს!
რადგან უდედო შვილის სენი სხვა დედამ იცის,
ჩემს სულს მეც ბინად მოვუპოვებ ტიტველ ქარაფებს!

თეთრი ფურცელი

13. 06. 2010.

ბავშვის ღაწვებზე მოფარფატე სიკვდილის ფერი
ლურჯია, როგორც პოეზიის სიცოცხლის არსი,
არსებობაში მოჯირითე, კუბოში ვმღერი,
უარსობაში რომ გავტეხო კალამით გარსი,

რომ აღვდგე, როგორც ძველ მიწაზე ფენიქსის მტვერი
და დავივიწყო ხორციელი არსების ფარსი.

თეთრი ფურცელი უმწიკვლოა – ის დუმს და ელის,
ის ოვაციას, ანდა წყევლას მომავალს ანდობს,
მასში სტვენაა ბულბულის, ან სისინი გველის,
მას შელახავენ, ან მიიღებს პოეტის ამბორს,

იგი იძლევა ზღვა მოსავალს ცრემლის, ან რთველის,
იგი მარად დუმს და დუმილით ყველაფერს ამბობს.

არც მე არ მინდა არაფერი... ვიქნები მხოლოდ,
ეგებ, ვიხილო დანახულის მიღმა გონებით,
წერით შევიცნო ცოდვის მიწის თავი და ბოლო,
დასახლებული ღვთის შვილებით და დემონებით,

თეთრმა ფურცელმა მეცხრე ცაში რომ აისროლოს
იგი, რასაც ჩვენ განკითხვისას დავემონებით.

რუხი აურა

30. 08. 2010.

I
იდგა საღამო. შემოდგომის რუხი აურა.
სოფლის ბოლოში გაძარცული მონასტრის ეზო.
მე ეკლესიის მიტოვება მეუცნაურა.

საღამო. იდგა შემოდგომის რუხი აურა.
მისი სიჩუმე მე მესმოდა მძიმე ხმაურად,
ავმღერდი – ვიყო მომღერალი მე უმიზეზო!

საღამო. დაძრწის შემოდგომის რუხი აურა.
მე შენგან ჩემი მიტოვება მეუცნაურა.

II
იქვე დაძრწოდა მაწანწალა ძაღლების ხროვა.
ვიდექი ჩუმად და ვუსმენდი ღრენას დაღლილი;
რას ვიზამ, შიათ. მე სიცოცხლის რწმენამ დამტოვა,

არა იმიტომ, რომ დაძრწოდა ძაღლების ხროვა
– ვარ მონასტერში, მაგრამ ჩემი მესმოდა გლოვა
და უმონასტროდ მაწამებდა ღრენა ძაღლივით.

იქვე დაძრწოდა მაწანწალა ძაღლების ხროვა,
ვიდექი ჩუმად, მაწამებდა რწმენა დაღლილი.

როგორც ღვთის ნაყოფი *06.12. 2011.*

(სალომეს)

შენი სიყვარული ღმერთმა მომისაჯა,
ვფიცავ, ამ სიყვარულს ვიცავდე,
დღეა ნისლიანი შემოდგომისა და
ბინდიც არ ეშვება მიწამდე.

დაღამდა, ზეცაში აინთო მნათობი,
ბინდმა შუბლი ღრუბლებს მიადო,
შენს თავზე ციმციმებს ვარსკვლავი ათობით,
თეთრ ფურცლებს დანებდი, წყვდიადო!

მთელი დედამიწა ახლა წითელია,
უკვე ველარ ვხედავ სხვა ტონებს,
უფლის წალკოტებში ცოდვილს ვით ელიან,
ისე ველი ახლა ბატონებს.

ახლა შენს თვალებში ყვავის ბროწეული,
შენს სულში ყვავიან იები,
როგორც ღვთის ნაყოფი, ადრე მოწეული,
მარად ჩემს სტრიქონებს მიები.

ნავში *10. 02. 2013.*

ნავში ვარ, ეს ნავი თვითონ ნოესია,
ზღვაში გადავხტები ნავიდან,
სული უწმინდესი, როგორც პოეზია,
სულ მაღლა, ღრუბლებში ავიდა.
მუხლებით უცნობი მხარე მოვიარე,
ნათელი აღარსად ანთია...
მე მუდამ დავრჩები ასე მგლოვიარე,
სხეული წყვდიადის ლანდია.
ვარ უცხო, ობოლი სულის ნათესავი,
გულმაც ლოცვით ღამე გალია,
ზარს ვრეკავ მონასტრის მუნჯი მნათესავით
და ტყდება იმედის გალია!

ფიქრი და ფრენა

12. 03. 2013.

მე ვიდექი ჭიუხებში, მკაცრი, ცივი
და კამარა რომ შემეკრა, მინდოდა,
მაღლა, ცაში, ლივლივებდა მთის არწივი
ციდან ცრიდა ქვეყნის უამინდობა.

აქ შეუკრავთ თითქოს ღრუბლებს შუბლები და
მზესაც ცრემლით უპეები აევსო,
თითქოს, მიწა დაიტბორა ღრუბლებიდან...
შეგვიწყალე ღმერთო, უზენაესო!

ვერ შევკრავდი გრძელ კამარას კლდიდან განა,
მაგრამ ფრენა მე არ ვიცი არწივის...
ვიცი მხოლოდ სიტყვით ფრენის იავნანა
და ოცნება მეოცნებე კაცივით.

თეთრი არემარე

14. 11. 2012.

ძველ საყდარში, სადაც რეკავს ძველი ზარი,
სადაც ისმის ლოცვა ძველი მნათესი,
შევდიოდი, როგორც რწმენის მაძებარი,
რომ მეპოვა შვება უქათქათესი.

აღარ ვუსმენ უკანასკნელ ჰანგებს გედის,
აღარ მახსოვს დაყვლეფილი მუხლები,
აღარ მახსოვს, კუპრის ტბაში რომ ჩავედი,
ახლა მხოლოდ ლოცვის ცრემლს ვეუღლები.

ეს მუხლები ეცემიან დაბლა ისევ,
ისევ ცაზე მიქრის ფიქრის კარეტა,
ისევ მწვავდა ანგელოზის სიფაქიზე,
მონარნარე თეთრი არემარედან.

დუმილის სიტყვა 09. 07. 2010.

სადაც უცხო საზღვრებია დედამიწის,
იქ წყვდიადის რკინის ჯაჭვებს მივები,
მზე დედაა, შვილის სენი მხოლოდ დედამ იცის,
გაუგზავნე შენს შვილს მზეო სხივები.
იქ ქარების ქარავნები ქროდნენ წვიმის გამო,
იქ ხომ წვიმა დაა ძველი ქარიშხლის,
მეწეოდა ღრუბლებისკენ ლტოლვა სამუდამო
(იქ ხომ სული ცაში ლივლივს არ იშლის)
მხოლოდ მე ვარ ჩემი ხილვის უგვირგვინო მეფე,
მაგრამ რაა დაცემული ბინდები?...
მხოლოდ ძილი მაძლევს ნებას, ვიყო მეოცნებე
და თუ ვდუმვარ, ძილში ავღიღინდები.
მორფეუსის სამყაროში ფრთებს ოცნება გაშლის,
უკვე ჩემი ამინდებიც მოდიან,
მე არ მინდა, მიზეზი რომ ვიყო შავი თავშლის
და თუ ვდუმვარ, ეს დუმილი როდია.

აპატიე სიკვდილს 24. 08. 2011.

ბნელა. გოგო დაიკარგა ტყეში, კივის,
აღარ არის სახლი, სადაც იცინებს,
სიბნელეში, სადღაც, გველი სისინებს.

აღარ მოჩანს არც პატარა რამე სხივი,
არც რწმენა და არც იმედი პატარა,
შიშმა ეკლის ბილიკებზე ატარა.

შედგა, მღვიმე დაინახა, ასხამს წვიმა,
შესასვლელში ეშმა სხეულს იტყავებს,
მოუხმობდა სარკეს, კერპებს, მკითხავებს.

ყველაფერი, რაც ცოცხლობდა, დაბლა ცვივა
და შეკრავენ ახლა ქვები კამარებს,
ეს კი ბოლო იმედს დაასამარებს.

ის ეცემა, ისევ დგება, ისევ გარბის,
ის კანკალებს ახლა თავის დაღუპვით,
თეთრ ღაწვებზე სწრაფად და ღაპაღუპით

მოდის ცრემლი, ავი, შავი, ხარბი, ჭარბი,
არც ცრემლები არ არიან, ჩანჩქერია,
წამწამიდან მიწას ბრაზით დასცქერიან.

ახლა გოგოს ხევის ფსკერზე უნდა წოლა,
ეჩვენება მიწა მღვრიე საფლავად,
სიკვდილს ნატრობს, კივის: „სიკვდილს ვახლავარ!“

მაგრამ ერთიც სიცოცხლისკენ გაიბრძოლა
და გაექცა ის სიკვდილის მარწუხებს,
იგრძნო შვება, მაგრამ რაღაც აწუხებს.

სიკვდილს ხელი დაუქნია მან: „adios!“
ახლა ისევ ლაღია და იცინის,
აღარ ესმის წყეულების სისინი.

ის დაფიქრდა: „სიკვდილს ვიღა აპატიოს?
მე მტრობაში ისევ სიკვდილს ვხედავ და“...
ჩაიმუხლა მან სიკვდილის ცხედართან.

მოწყენილობა

19. 08. 2012.

მენატრება შენთან ყოფნა უფალო!
ჩემს სულს ლოცვა აამაღლებს, განა ვნებს,
მაგრამ მიდუმს ბაგე უალუბალო
და ვაწყდები სამოთხესთან გალავნებს.

მწვერვალს აღწევს ჩემი სულის გადაღლა,
სიყვარულის ეკლის ბაგეს ვედები,
რაც მიყვარდა, იმას მიესაძაგლა
ჩემი სუნთქვა, რწმენა და იმედები!
\

ცხოვრება

07. 08. 2008.

ცხოვრება მიაგავს უიღბლო თამაშს,
თეთრს, წითელს, ან შავს, წალკოტს, ან იფს,
ხან ნაღდ კვაზიმოდოს დაარქმევს ლამაზს,
ხანაც ლამაზ სხეულს გაუჩენს ტიფს.
ზოგი საუბრისას გაისვრის სიბრძნეს,
ზოგი კი უაზრო სპექტაკლებს დგამს,
ვინ სიკვდილის შემდეგ მზესავით იგრძნეს,
ვიღაც კი წააგავს უცოცხლეს გვამს!
ზოგი პატარაა, ადრიან ტიტანს,
ზოგი დიდია და მაინც არ ჩანს,
ზოგი დიდკაცობას ვერაფრით იტანს,
ჰოდა, ვიწრო შუბლზე ისქელებს კანს.
ვისთვის დღე ღამეა, ღამე კი დილა,
შიგნით ცივია და გარედან დუღს,
ქალაში უყრია ნეხვი და სილა,
ჰოდა, ლაყაფის დროს აყენებს ბუღს.
ამ ამბის მოსმენა ხვალ არის გვიან,
სპექტაკლის ყურება მოგვიწევს დღეს:
ჩასაყუდებლები ტახტებზე ზიან,
ლომების ადგილი უჭირავთ თხებს!
აქ ბრწყინავს ანტი და იწვიან ჯვრები,
მათი ნაპერწკლები აყენებს ბუღს,
დემონო, ქართველის სულში რომ ძვრები,
ვერ ხედავ, მის მკერდში რა გული დუღს?!...
მაგრამ, ეს დროებით ხდება და ვიცი:
ალბათ ყველაფერი იპოვის თავს,
ჩემი მე, შენი შენ, დემონს კი მისი,
თეთრს თეთრს დაარქმევენ, წყვდიადს კი – შავს!
დრო მოვა, არწივი აიწევს მაღლა,
დრო მოდის, გველებმა იხოხონ ძირს,
რომ ბოლოს დაეტყოს ჯოჯოხეთს დაღლა,
ლომი ლომს ეწოდოს, ვირი კი – ვირს!

ხუნდების ბალადა

31. 07. 2013.

შემოვუვლი წრეს დანგრეულ მონასტერს,
მომიყვება მზე უძველეს არაკებს,
გაღვიძებას დილის ნისლი მომასწრებს,
მთების მიღმა ბინდი ილაპარაკებს.
გავაყოლებ მზერას ველურ ტაიჭებს,
გუმბათების გადაღმა რომ მიქრიან,
სხვა სიზმარში ფიქრი სხვა ფიქრს დაიჭერს,
ეს ცხოვრება ახლა მხოლოდ ფიქრია.
ცაზე დავწერ უქათქათეს ბალადებს,
მე დავიდგი თავზე მთვარე ნამგალა,
მე არასდროს მუზა არ მიღალატებს,
მაგრამ ნეტავ, დამტოვებდეს: დამღალა.
მოვისმინე სადღაც მთვარის სონატა,
ადრე, როცა ცა ქარიშხლებს წონიდა,
ენამ სიტყვა გულში ამინონა და
ჩამოვედი წვიმად კაბადონიდან.
გაისმოდა შემოდგომის ჰანგები,
თამაშობდა ყურში ტკბილი ნანინა,
ალბათ, რაღაც პოეტური განგებით
ღამემ ლექსად სულში იპაგანინა.
უკრავს ღრუბლის ხეივნებში მოცარტი,
წვიმდა ისევ... გაიდარე ამინდო,
წვიმის წკაპუნს ვუსმენდი და ვლოცავდი,
თეთრი ფრთების სიქათქათემ დამინდო.
პოეზია ხელებს ხუნდებს დაადებს,
რა ტკბილია უცხოობის ხუნდები...
ახლა ვეტრფი მარტოობის საათებს
და ზღვა ხალხში მარტოობას ვუნდები.
შემოდგომა ვიდრე სათქმელს იტყოდა,
მე ვუსმენდი მოცარტსა და პაგანინს,
ახლა ლოცვა უნდა წავიკითხო და
კვლავ გავხდები მეც ერთი თქვენთაგანი.

ზეციურ ველებზე

09. 06. 2013.

შუაღამე. ბზას ხშირ ტოტებს მოვაჭრი,
გავუყვები ნაზარეთის შარაზე,
არ გავხდები ძველი ვერცხლით მოვაჭრე,
მშია, მწყურია და მაინც ვარ ასე.

ძონძებიდან ჩანს შიშველი კანჭები,
მხრებზე ყრია დასაბანი, ხშირი თმა,
ამ ცხოვრებით აღარ დავიქანცები:
შემიკედლა ცაში წმინდა სპირიტმა!

თვალწინ მიდგას ვარსკვლავების მაგიდა,
ახლა ვსუფრობ თვით ზეციურ ველებზე,
მე აღვდექი მტვერის სარკოფაგიდან
– ვიღაც მცირე და უღირსი მელექსე!

მე იმქვეყნად მოვიარე წალკოტი,
თურმე, ვერცხლმა ჩვენი ყოფა შენიღბა,
მიწაზე დგას თუმცა ალიაქოთი,
მაინც აღწევს ღმერთო ჩვენში შენი ხმა!

ჩემი ამალა

10. 02. 2012.

მთვარეს ახლავს ვარსკვლავების ამალა,
მე კი მახლავს სიზმრის შავი ჯგუფები,
ყველაფერი ირგვლივ დგას ყირამალა:
სიყვარულით მხოლოდ დავიღუპები!
აღარ მოჩანს ჩემს ეზოში სასახლე,
აღარ მოჩანს ჩემს ნაპირზე თოლია,
ყვავილები სულში ვერ დავასახლე,
სულსაც მხოლოდ სევდა შემოწოლია...
კუპრის ტბები მესიზმრება ავადმყოფს,
ანდერძია ეს – ლექსი, თუ კაფია:
ეს სიგიჟე დღეებს დაღად დამატყობს,
ეს იქნება ჩემი ეპიტაფია!

ბავშვობაში

02. 07. 2013.

ცას არწივი ამშვენებდა ლივლივით,
წითელი მზე სადღაც დაბლა წავიდა,
მე მძინარეც თეთრ ღრუბლებში ვივლი, ვით
ივლის ლექსი ჩემი კალმის ლავიდან.

ვუმზერ მტრედებს და მეც მინდა მტრედობა,
თუნდაც შავი, ჭრელი, ანდა ნაცარა,
ჩემმა ფიქრმა ბავშვობაში შეტოპა,
მომაგონდა, რაც იყო და რაც არა.

მინდა, მგელმა პაწია შველს აკოცოს,
(არ ახდება, მაგრამ იყოს ოცნება)
მე დავანთებ სხვა მწვერვალზე სხვა კოცონს
და ოცნება მზისგან დაიკოცნება.

მთებს დავადგი საუკუნის ჯიდაო,
ყვითელ წიგნებს ავახიე ხავსები,
ეშმაკებთან მუდამ უნდა ვიდაო,
თორემ ბოლოს სულ მათ დავემსგავსები.

წითელი საყურე

04. 05. 2011.

დილით აელვარდა წითელი საყურე,
მე არ დავიღლები ცის თაღის ყურებით.
შავი ხასიათი ვეღარ ვიმსახურე,
მე და ის ღიმილის გავხდით მსახურები.

სიცოცხლის ბადეში თავიდან გავები,
მესმოდა ჰანგები... ალბათ, შოპენია,
აღარც მე დამდევენ ცელით მთიბავები,
ახლა ყვავილები სულსაც მოფენია!

პეიზაჟი

14. 06. 2013.

წითელი მზე დაეშვება მკლავებზე,
სივრცე მაღლა ლურჯ ნაკვერჩხლებს ისროდა.
კვლავ მინდოდა, რომ სიყვარულს ავევსე,
კვლავ დაქროდა ცაში მარადისობა.

ახლა მთები იფარებენ პარიკებს,
მალე სულში დამკაწრავენ ლანდები.
დავფრინავ და ღამის რიტმი მარიგებს
და სიზმრებად დილით შემოვბრძანდები.

დამახია მთვარემ ვერცხლის ტიარა,
გრიგალები მიყვებოდნენ იგავებს.
მუსიკაა ჩემი სულის იარა
და დუმილთან ლექსი იფარიკავებს.

თეთრ ღრუბლებზე წვიმის ხშირი თმებია,
მოსაწყენად ფიქრიც აღარ მიმეტებს,
სტრიქონები ვიდრე ირითმებიან,
თქვენს თვალებში დავარიგებ იმედებს.

ვატერლოოდან

14. 04. 2013.

დღე აღდგება დილით, როგორც ლაზარე,
მზე ინთება უკანასკნელ ნერვამდე.
ღრმა კოშმარებს თავი ვერ შევაზარე,
შავ-თეთრ სიზმრებს ჩემი ძილი ვერ ვანდე.

ახლა თვალწინ მეხატება სურათი:
ლაბირინთი... მზეო, შიგნით ინათე!
ილუზიის ჯურღმულებში ვცურავდი,
მოდიოდა სხივი საათინათე.

ეს ცხოვრება ბრუნავს, როგორც სათითე,
აღიმართა თვალწინ უცხო კათედრა,
ჩემი ფიქრის ხეივნები ვადიდე,
მაგრამ ჩემმა ფიქრმა სულ გამათეთრა.

დღე მოვიდა დილით ასე თბილი და
გაზაფხულმაც დაამთავრა რტოობა
და როგორც ეს დღე აღდგება დილიდან,
ისე ვდგები ჩემი ვატერლოოდან.

შავი კეტები *27.12.2010.*

რამდენი სიბილწე! ჩაშავდნენ თვალები,
რამდენი ინტრიგა, რამდენი ღალატი!
ძველი ევას ხლართებს ვერსად ვემალები,
ვგრძნობ, უკვე მაგიჟებს ქათქათა ხალათიც!

ჰა, ჩემი უარი ნდობაზე მსოფლიოს!
მე მარად დამდევენ ყრუ, შავი კეტები,
თვალების გუგებში წითელი ოფლია,
საკუთარ ნაჭუჭში მარად ვიკეტები!

თქვენი ხმა არ მესმის! არც მინდა გაგება,
ჩემთვის ყველა სიტყვა უდროოდ მკვდარია,
სული მეჩხვლიტება, გული მედაგება,
ჩვენს შორის უფსკრულის კედლები არიან!

ჩემში ხარხარებენ დღეები ზამთრისა,
მე ვყვირი, დავხოხავ, ვკანკალებ, ვიშლები,
დამპალმა ცხოვრებამ უდროოდ გამსრისა
და ყეფენ სივრცეში შავ-თეთრი ნისლები!

ჭაობის მსოფლიოვ! მე მინდა მოგმართო:
ხარ მკვდარი უდაბნო, ჭაობი ხასხასა,
დამტოვე სრულიად მარტო, მარტოდმარტო,
დაე, უნთხევიხარ ეშმაკის ხახასაც!

შავი კარნავალი *04.10. 2013.*

ნათელი ოთახი. მიყურებს ფანჯრიდან
უმზეო წალკოტი. ცამდე ტიხარია.
უღმერთო სიცივე კბილებში მაცრიდა
და აღარც სიცოცხლე აღარ მიხარია.

ჩუმი ნაბიჯებით გავდივარ ხვავრიელ
ბაღებში. ფართხალებს ჩემს ფეხთქვეშ იმედი,
ფიქრებიც ავრიე, ამინდიც ავრიე,
გრიგალი მამძიმებს სულ სხვა სიმძიმეთი.

ალბათ, უფრო ვგავარ ახლა მძინარეს და
ვკეტავ ჩემს გარშემო სამყაროს მარტო მე,
ვჩერდები უსაზღვრო სევდის მდინარესთან
და უცხო სიგიჟის შხეფები მართობენ.

ვხედავ ოქროს ტალღებს, ოქროსთევზებიანს
(აი, აქ სრულდება სიმშვიდის ეპოქა)
ბრიალა თვალებიც ცრემლით მევსებიან,
იმ ცრემლით, რომლითაც გზა უნდა მეპოხა,

გზა უკაცრიელი, გზა, ჩემი სავალი,
წრეს ვურტყამ, ვბრუნდები ადგილზე იმავე,
სადაც დამჩხაოდა შავი კარნავალი,
სადაც ცისარტყელას თავზე მაჭიმავენ

ლექსებად ფიქრები და ფიქრებს ვანიჭებ
მხოლოდ მდუმარებას, დილამდე ღამიდან...
ახლა გაიხსნება მტრედების კარიბჭე
(მტრედებმა ააგეს ფრთებით პირამიდა)

ალბათ, ამის მსგავსი უხილავს არავის,
არვის განუცდია ალბათ, ეს წუთები...
ფურცელზე გავშალე ზღაპრული კარავი
და ლოცვით დაღლილი კალამს ვეყუდები.

ომს ვიწყებ!

12. 05. 2013.

ომს ვიწყებ! დაკარით ბუკი და ნაღარა!
ახლავე ავ სიკვდილს გრძელ ხელებს დავაჭრი,
ლექსი მოღრიალებს, როგორც ნიაგარა,
წკრიალებს იუდას ბინძური ნავაჭრი!
რა ხდება?! თვალები ცაში ვინ აზიდა?
მე ვეტრფი ბრძოლის ველს! ამ ველზე სისხლია,
კანუდოსს ვაშენებ ცრემლის სინაზიდან
და ყველგან აღსასრულს ვეძებ ქარიშხლიანს.
კლდეები რატომღაც ვამსგავსე ნიჟარებს,
დავლეწე ჩემს შუბლზე შეშლილმა ყველანი,
დღეებს და ღამეებს ვკოცნი ნაგიჟარებს,
დე, ჩქეფდეს ძარღვიდან ზღვისფერი მელანი!
კრახი და ტრიუმფი! რა ახლოს არიან...
ვერცხლის მაჯანჯღარებს ხანდახან გინება,
ჩემი ალიონი მხოლოდ სიზმარია,
ისევ ის წყეული ღამე იკბინება!

ობოლი ობობა

10. 02. 2008.

ობოლი ობობა სტრიქონებს იგონებს,
რითმავს არითმულად და შიგნით აზიდებს,
ცეცხლი რომ დაუშროს ახალ რუბიკონებს,
სახეზე უსახავს წითელ პარაზიტებს.
სისხლისფერ ჯვრებსა და შავ ძარღვებს I see,
ჰანგი და ხაფანგი! იქმნება განგაში,
ტკივილი არ არის არც ლურჯი აისი,
არც მტკვარში, ჭოროხში, ნილოსში, განგაში,
ტკივილი წითლდება ფსოუში არამედ,
წლები მენატრება – ტალღების თამაში,
აისი, რომელიც ჩვენ გავაწკვარამეთ,
არ მსურს, საოცნებო რამ იყოს ამაში,
ვიგონებ იმ ტალღებს, რომ ლოკავს ნაპირებს,
მე მგრძნობს ოქროსფერი ტალღების თამაში
და ზეცას ვუყურებ, ტირილს რომ აპირებს.

ზამთარი, ბურუსი 27. 01. 2008.

ზამთრი, ბურუსი მოდის ჯაშუშივით,
იწვიან ყინვისგან დამზრალი ტუჩები,
ვიცი, მყინვარებო, ჩემში რას უჩივით:
რომ ცაში ლტოლვილი სიკვდილს ვეურჩები.

ლექსის გატახტება მინდოდა მე მაშინ,
გვირგვინად კი მედგა ღრუბლები რძისფერი,
მე უკვე ვიცხოვრე ტანჯვში, გვემაში
და მარად მდევნიდა შავი ლუციფერი.

ნიავი სამარის სიჩუმით მოქროდა,
ვიდექი, ვუსმენდი... ეს ალბათ, ბედია.
მე მჯერა, რომ ფეთქავს შენს მკერდში ოქრო და
დუმილი, რომელიც სიტყვებზე მეტია.

ჩრდილის დევნა 16. 09. 2013.

დაინთებიან კოცონები მწვანე მდელოზე,
ვიპარავ მნათობს ღამის მზერიდან,
სიზმრების მილმა ედემია საანგელოზე,
ისევ ღრუბლებში ავიჭერი და

რას ვხედავ... ტალღებს სილუეტი მიაპობს მხოლოდ,
უცხო არსების კონტური რაღაც,
იგი ნისლიდან რეალიზმში მინდა, ვისროლო,
მინდა, წავართვა ბურანის ხახას.

მაგრამ ის ჩემი ცხოვრებაა... ჩემი შხამი და
ჩემი წამალი... იგი მწამლავს, იგი მომელის,
თავს ვეღარასდროს ვერ დავაღწევ თეთრი ღამიდან;
იგი ახლოა და მზესავით მიწვდომელი.

ვალსი და ფიქრი *25. 06. 2013.*

(სალომეს)

ჩემი ოცნების დიადემა სადღაც შორს არი,
მწვანე ფოთლები ცურავენ წყალზე,
დავედევნები სიკვდილს, როგორც შავი კორსარი,
რომ მასთან ერთად ვიცეკვო ვალსი.
ნეტავ, გარშემო შრიალია მაგ თმების, თუ ეს
კვლავ მოწყენილი ქარები ქრიან?
მე შენს სიშორეს გავუმართავ სისხლიან დუელს
და კვლავ მოვუსმენ მაგ თმების შრიალს.
გნატრობ და გხატავ თეთრ ფიქრებში, რბიან წუთები,
შენი გოგენი გხატავ ტაიტელს,
მოვდივარ შენსკენ, მალე ისევ ჩაგეხუტები,
გული სიხარულს ვეღარ დაიტევს.

ზღვარი *19. 06. 2013.*

რაც გადის ხანი, ჩემს ყოფაზე დავფიქრდი ჩუმზე,
წიხლს საიქიოს სიცივე მაჭერს,
თუ მიტევს ეშმა, ჩემს ანარეკლს სარკეში ვუმზერ
– ქრისტე მაჩვენებს დახვრეტილ მაჯებს.
აქამდე ქვეყნის უვიცობა მახალისებდა,
ახლა ღიმილი გამიქრა პირზე,
უმძიმეს ტვირთად მაწევს მხრებზე მაღალი სევდა,
ღმერთო, მარადი სევდისგან მიხსენ.
მე მატერია მეჩვენება ახლა ჭაობად,
რაც "მსუბუქია", მე ის მამძიმებს,
გაზრდა აღარ მსურს, ახლა მინდა პატარაობა,
რომ ძილში შევწვდე ოქროს ბარძიმებს.
აღარ მშორდება სიზმარეთში უგრძესი ზვრები,
სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი დავზვერე,
მე, რაც მოკვდავებს არ აღელვებთ, იმ ფიქრში ვძვრები:
– ახლა ეს არის ჩემი საზვერე.

ცხოვრება ხეა

28. 04. 2013.

ცხოვრება ხეა. მიწაშია მისი ფესვები.
სიკვდილი წამლავს მიწას და ჰაერს.
მე მხოლოდ სულის არსებობას ვეალერსები,
ხორცი მიწაში ჩავიდეს, დაე.

ვარ ნირვანაში; არ დავდივარ, დავფრინავ მაღლა,
რომ ჩავაზილო სიავეს წიხლი,
მე მხოლოდ სულის არსებობა მჭირდება ახლა,
აბა, ხორცს და ძვალს რა თავში ვიხლი?!

სულის ფრენაა ჩემი მეფე და ჩემი კრედო,
საფლავზე აღარ ვდევარ ქვასავით,
მინდა, სიკვდილთან შესახვედრად მახვილი ვჭედო,
ვარ უგუნური ღვინონასვამი!

ჰაერიდან

17. 09. 2012.

ყინულისფერი მარტოობის ღარიბ ქოხში ვარ,
გავდივარ დილით ქუჩაში მარტო.
მესმის შიშინი. სინანულის ვსუნთქავ ოხშივარს.
მსურს, ჩემი სულის ხვედრზე ვიდარდო.
ხელებაწვდილი ცივი მზისკენ ვიდექი გარეთ
და ჩამესმოდა ლოცვის ჩურჩული,
ყურს არ ვუგდებდი ხალხის ტალღას. დნებოდა მთვარე.
ვარ გატეხილი და დაკრუნჩხული.
მე მაპატიეთ! ვერ გავუძლებ სიმძიმეს ამდენს...
მე ვაკაკუნებ ყრუ კაცის კარზე,
მე სუდარაში გამახვიეს, კუბოში ჩამდეს,
მე ამ ცხოვრებამ მთარსა და ვთარსე,
მე ისევ ვდგავარ ჩემს საფლავზე, სველზე და შავზე,
მე ვარ, ვინც მზეთა მტვერს აერიდა,
მე ვარ, ვინც დარჩა სამუდამოდ დუმილით სავსე
და ვინც დაგცქერით დღეს ჰაერიდან.

ერთხელ, ზღვისპირას *21. 08. 2012.*

ერთხელ, ზღვისპირას, როცა ღამის დუმილს ვისმენდი,
როცა ზღვის ღმუილს ტალღებით ვბანდი,
ჩემს ილბალს ძალით გამოვგლიჯე აპლოდისმენტი,
დაბლა დავამხე სატანის ლანდი.

გამექცა ჩრდილი! დავედევნე. შორს ვერ წავიდა.
(თვალები გავდნენ მაშინ ნაპერწკალს)
ქალმა წამართვა ნეკნი თიხის ნაძერწავიდან
და ჩემი გულიც ერგო ნაძერწ ქალს.

მაგრამ არაფერს არ დავეძებ... დავძრწი შარაზე,
მე მარტოობას ვეძებ და ვიტან... **65**
მაგრამ უფალო, უგულობის კარი დარაზე,
მოკლული რომ არ დავბრუნდე ზღვიდან.

შენი სილუეტი *06.05. 2012.*

(სალომეს)

ძილში ვუყურებ შენს სილუეტს. ისიც მიყურებს
– ტანი-ტირიფი, დახატული თითქოს მანესი,
შენ ინტერესით მაპყრობ წყვილ ტბას, ფანტასტიკურებს,
მაოცებს შუბლი უჭკვიანესი.

მე ისევ შენსკენ გამიტაცა სევდამ შორითმა,
გვერდით მყავხარ და მაინც შენზე ხილვა მაგიჟებს,
ეგ წამწამები ყორნისფერი, გრძელი, სწორი თმა,
მუდამ მირღვევენ რიტმულ ნაბიჯებს.

შარაგზა. ცხელა, სადღაც ისმის სულის სისინი.
ყველა გაქრა და შენ გამოჩნდი. ირგვლივ ბუღია.
თუკი შენ არ ხარ, არ დადიხარ და არ იცინი,
ირგვლივ ყოველი წყალს წაუღია!

ცნობიერების ცდომილი

10. 09. 2013.

ვუახლოვდები ნელა ცნობიერების ცდომილს,
ჩემსკენ მოიწევს ყველა წვიმის წვეთების ტომი.
შუბლზე მეცემა დისკო, ღრენა ასკდებათ თვალებს,
მთვარე დაწვრილდა, თითქოს ფანქრის სათლელით თალეს.
ცა უღრანს ხდიდა კაბას, ისე მციოდა ტანში...
კლდეს, მიუვალს და კაპასს, ეფერებოდა ბავშვი.
წვეთავდა ცრემლი მჟავე, ორად სკდებოდა ჭორი,
აფრთიანებულ სვავებს სივრცე უხმობდა შორი.
ხეებს ვუხმობდი უხეშს, კლდეზე ვდგავარ და ვტირი,
სადაც გოლიათ მუხებს გამოეთხარათ ძირი.
ამაწრიალა ბრაზმა, თითი მიქნია ჯადომ,
კრიჭას მიკრავდა სპაზმა, მაგრამ არ ვიცი, რატომ!
ქროდა ტიტების თოვა, გრიგალმა ციდან ყარა
ბოროტი ცხვრების ხროვა და ეშმაკების ფარა.
ზვიად, გაიგე ველარ! დიდხანს იდგები კართან?
ილუზიების ტყვე ხარ, თუ რეალობას მართავ?!
მკოცნის სიმართლის კულტი და სამარე ვარ სულთა;
მე ბოროტებას ვძულდი, მე – ბოროტება მძულდა!

ყვითელი წიგნი

13. 07. 2011.

მე, სიკვდილი და ღამე, ყველა ერთ ტანში ვდნებით,
გულები გულებს სვამენ ტკივილიანი ვნებით.
უცებ დაირღვა დარი – ჩემი სიცოცხლის დოგმა,
სადღაც, ღრუბლებში, მკვდარი მნახა მხეცების ჯოგმა.
მეხება აფთრის დრუნჩი, მჭამს, ხარხარებს და კივის,
მე მიგრძნობს გლოვა მუნჯი, მე ველარ ვიგრძნობ ტკივილს!
სიცოცხლევ, როგორ მსურდი! ფეხზე ვდგებოდი მაშინ,
მაგრამ დარბოდა ქურდი ტვინში, ყრუში და ბრმაში,
აღარ არსებობს რამე! ხელი გავუშვი იმედს,
ხილვები ისევ ჭამენ დღეებს, უძლურს და მძიმეს,
სუნთქვა მეკვროდა! იქნებ (თავში ფიქრები ქრიან)
ბინა მოვთხოვო წიგნებს, ძვირფასს, ყვითელს და მტვრიანს?!

ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘ ᲦᲐᲛᲘᲗ

19. 08. 2013.

შემოაღამდა ქუჩას, თვალებს ერევათ რული,
მღვიმეს აზღუდი უჩანს, ყეფს აგონია სრული,

მსხვილდება ჯაჭვი ჩემი, ვდგავარ დაბმული ტრიალ
მინდორზე, სადაც გემი ცურავდა ღამით, გვიან.

მშია... თვალები ჭამენ მას, რაც აკლია სტომაქს,
მაიძულებდა ღამე სიმწრით ადგილზე ხტომას,

იწელებოდა წუთი, ვიყავ ისეთი მშვიდი,
ღამით, მუნჯით და ყრუთი, რომ საუკუნეს ვთვლიდი.

მე ვმეგობრობდი შხამთან, ვეძმადნაფიცე სარკეს,
სადაც ნაღველი მჭამდა და უიღბლობა დავრგე,

ვკრეფდი დაბნეულ დაბლა შავი ყაყაჩოს ფურცლებს,
არც მეტყობოდა დაღლა, ერთი დანახვით, უცებ.

რასაც ვეძებდი, არ ჩანს (ვენდობი კანკალს ხელთა)
ვკოცნი სიკვდილის მარჯანს, რომ დავიუფლო ელდა,

ქრება და ჩნდება პური, უკვე რწყევამდე მშია,
მზერა გამიხდა მგლური, ბნელდება, აღარც მზეა!

შავი გალავნის დარაჯს დასთამაშებდა შიში,
ვმაღლდები, როგორც შხარა, მე – მშიერი და გიჟი!

მე მენატრება ხორცი, დანაპირები ღმერთის,
ის დრო უფალო, როცა კაცთა გულებში ძგერდი!

კონტრასტი *26.07.2013.*

ტყეში ჩამოწვა ნისლი, მსგავსი კოცონის წვიმის,
კარტს შავი კატა მიშლის, ცაში ყორანი წივის,

მე ვთხრი ხილულის საფლავს, ახლა უხილავს ვჩივი,
ვეძებდი ტკივილს დაბლა, სადღაც გარბოდა სხივი.

ახლა მათხოვარს ვგავარ იმედის, რწმენის, ლოცვის,
ჩემი ცხოვრების მთავარ ეტაპზე შხამი მოვსვი,

შხამი სიმწრის და ისრის, მე ვწევარ ტახტზე მორთულ,
ქარი უფსკრულში მისვრის, სიკვდილი მავლებს ხორთუმს.

ვიტანდი ტკივილს ძლიერ, შუბლზე ვითვლიდი ღარებს,
ყველა განსაცდელს ვძლიე და თუმცა, ცრემლი ვღვარე,

ჩაკვდა სხეულში ეშმა, ისევ რიჟრაჟი ბღავის,
იკივლა ღამის ლეშმა, მოცურდა ღმერთის ნავი.

მგზავრი გავხდები მისი, მზე თავზე სხივებს მახვევს,
გვერდით კვლავ რწმენა მიზის, კვლავ დავამარცხებ ნაღველს!

სხივი *29. 05. 2013.*

(სალომეს)

მე გვირაბში შევდივარ. მოჩანს თეთრი წერტილი,
მოჩანს სადღაც, ბოლოდან მომავალი სხივი,
ჩემს ფეხებთან ფართხალებს გველი თავმოკვეთილი,
ვუსმენ შავი ქარიშხლის მუსიკალურ კივილს.

ღიმილს დიდხანს ვსწავლობდი, ვულიმოდი სარკეში
ჩემს ანარეკლს, ვამსხვრევდი ჩემს სახეზე გიშერს,
ცივ ბაგეზე მეკვროდა ცეცხლი უცხო ბაგესი
და ნაცნობი შეხება არსად აღარ მიშვებს.

მელანდება ფერია გამჭვირვალე გეტრებით,
ალბათ, სულ მას ვეძებდი და სულ მასზე ვწერდი,
შევაღწიე სიღრმეში ლოცვით, ცრემლით, ვედრებით,
მარტოობის სავანეს მივუშვირე მკერდი.

ის ფერია ნეტავი, მუდამ გვერდში მყოლოდა,
მუდამ მისთვის მეცქირა, მყვარებოდა ისე,
როგორც მიყვარს ის სხივი, მოკიაფე ბოლოდან,
ანდა, როგორც ოცნება მიუღწეველ სხივზე.

ის ქათქათა წერტილი ნეტავ, ადრე მენახა,
რამდენს გადავრჩებოდი ლაბირინთის ბილიკს,
გადავაქცევ სიბნელეს აყვავებულ ვენახად,
რადგან ჩემთან ულევი სინათლეა დილის.

ნათდება და იმ სხივით მეწამულად ვინთები,
ხელისგულებს მისველებს სიხარულის ნამი,
ახლა უკან იხევენ ბნელი ლაბირინთები
და მუხლებზე ეცემა სიწყვდიადე ღამის!

სავანესთან

16.05.2012.

(სალომეს)

ზვიად, მიდი, შეხედე, შენს დაღლილ მხრებს ვინ აზის,
ეს ხომ სერაფიმია, ექვსფრთიანი მგონი,
მშვიდობისთვის მებრძოლი და მფრქვეველი სინაზის,
სავანესთან მიგიყვანს – ნაპოვნია ფონი.
მის შუბლს, მის გულს, მის თვალებს შენი სული ეხება,
წყაროსავით ტიტინებს, გესვრის ძილის შხეფებს,
შენი სალოცავია, შენი შველისფეხება,
შენი გვირგვინოსანი, შენც მის გვერდით – მეფე.
ნეტავ, ნეტავ ძვირფასო, რა თილისმა შეგეხო,
ან დაუმჭკნარ შენს სულში რა სიმდიდრე ჩადო?
ჩემო სვეტიცხოველო, სამებავ და მეტეხო,
დამაფრქვიე ზეციდან მაგ თვალების ჯადო!

ხვამლი და ტკივილი *21.04.2013.*

(ჟორა ასათიანის ხსოვნას)

ბილიკებზე ღრუბლების მიგვიძღვიან რაშები,
გვაგონდება ბავშვობა, გვენატრება ხვამლი,
მამაპაპურ ტყეებს და ველებს ვეთამაშებით,
თვალს იტაცებს ქოხიდან ამოსული კვამლი.

გვეშლებიან მზისაგან ნაფერები მინდვრები,
ვკოცნით ირგვლივ თვალებით ვენახებს და ყანებს,
თითქოს მიწის სურნელით ვმაღლდებით და ვმდიდრდებით,
გვიყურებენ მაღლიდან თითქოს ზვრები მწვანე.

ყველაფერი კარგია, მაგრამ არა... და ისევ
თითქოს რაღაც გვაკლია, ტკივილია გულში,
გვტკივა, რადგან ვაკლივართ ჩვენი ყრმობის დაისებს,
გაქრა იგი, უფლისგან ნაჩუქარი გუშინ.

ირგვლივ, სასაფლაოზე, გვეხებიან სულები,
ირეკება ახალი ეკლესიის ზარი...
გაზაფხულის ნიავში ფოთლებს ვეჩურჩულებით,
თავს გვატყდება უცნობი სინანულის ჯარი.

რაღაც დიდი დავკარგეთ, თვით სიცოცხლის მშობელი,
აღარ არის ბაბუა, აღარ არის მამა...
ახლა ჯოხით მიმოდის თითქოს მთელი სოფელი,
გათამაშდა სიკვდილის და სიცოცხლის დრამა.

ღმერთო, ოღონდ, გვაკმარე, ცრემლი გლოვას შეფერის
და იგლოვოს, ამ გულმა რაც ობლობა ნახა...
მომავალში დაგვხვდება ისევ ხვამლი ბებერი,
მაგრამ აღარ დაგვხვდება მამა ჯოხით, აღარ!...

ნადიმის შარავანდედი

28. 10. 2013.

მთელ ჰორიზონტს გავირბენ ერთად სიზმრის რაშებთან,
ოღონდ, სივრცე ვიხილო, დახატული მწვანედ;
(ბავშვობაში უცნობი აზრი მათამაშებდა,
ვსტუმრებოდი ბატის ფრთით რადგან რძისფერ ყანებს)

უმდიდრესი იღბალის ყველა მხარეს დავკოცნი,
მჯიღით შევებრძოლები უიღბლობის მჯიღებს,
შარავანდედს დავიდგამ ოქროს ელვანატყორცნი,
თეთრი ღრუბლის მეკარე კარებს სადაც მიღებს.

კიდევ მრავალს ვასწავლი ჩვენი დროის შეგირდებს,
სასახლეებს ავუგებ სამომავლო რითმებს,
ჩლუნგ უჯრედებს ბრინჯაოს სახრით გამოვეკიდე,
(რადგან ვეღარ ვჩერდები, გულიც აღარ მითმენს)

გავაჭენებ ბედაურს ხელში მხოლოდ ქაოსით,
საგზლად ესეც მეყოფა, რაღა მინდა მეტი?
მესაფლავე ვიქნები თვითონ სასაფლაოსი,
თუ მომწყურდა შეშლილი პოეზიის წვეთი!

ავაცეკვებ თითებქვეშ მთვრალი მუზის კლავიშებს,
ტყვე გავხდები სიცოცხლის აუხსნელი სეტყვის,
უფსკრულისკენ უფალი არა და არ გამიშვებს,
გადარჩენის სტრიქონებს რწმენა ყურში მეტყვის.

ოკეანის კალაპოტს დავაშრობ და ნადიმებს
უბოლოოდ გავმართავ ილუზიის ჭიქით,
ორსულ ფიქრის პლანეტებს ლექსებს დავაბადინებ
და ვიცხოვრებ უჯიშო დედამიწის იქით!

საკუთარ თავზე ნადირობა *29. 07. 2013.*

ულრანი ტყე. მონადირე ხელში თოფით, მძიმეთი,
ახლა თვალებს გააგიჟებს ნადირობის ჟინი,
კაცს ატარებს სისხლის სუნი და ნადავლის იმედი,
ის მთვრალია და დაღლილი, ყარს ოფლით და ღვინით.

ჩქამი ახლოს, შედგა კაცი. ღამეა და ანათებს
მხეცის მზერა, ვით ვარსკვლავი გიშრისფერი ციდან,
არ მორჩილებს მონადირე ღამის სიმუხანათეს
და ცხოველურ ამტანობას თოფთან ერთად ზიდავს.

ქარიშხალი მოხარხარებს და კაცს ესმის ხმა რაღაც,
შედგა, თოფი შეაყენა, გაუსწორა თვალი
მხეცს... ვერაფერს ვერ უხერხებს თავისნაირ არაკაც
სისხლის წყურვილს, სადაც ქრება ღვთისნიერის კვალი.

მხეცს არ ქონდა სახე, ქარიც შიშისაგან ჩადგა და
დრო მიეცა მსროლელს, ცხოველს რომ ესროლოს ტყვია,
თვალში უყრის თვალს წყვდიადში, ღამეც ხდება ქათქათა
და კაცს ჯერა, რომ ამ წუთებს სასწაული ქვია!

ისმის სროლა, ტყვია ეცა ჰაერს, ისმის კაცის ხმა,
თვით იცლება სისხლისაგან, თუმცა, ესვრის ცხოველს,
ღეჭავს ლულას სიმწრისაგან, აიტანა სხვა ზიზღმა
და მუხლებიც დაყვლეფილი, შესვენებას თხოვენ.

მიზნის იქით აღარ მიდის მონადირის შეგნება,
სხვისი ტკივა აღარავის... ბრმა ვერავის ხედავს...
განკითხვის დღე ცხოვრებაში ნეტავ, როდის ექნება
სხვათა ბედში ნაფათურებ, ტვინწაბილწულ ცხედარს?!...

სინანულის ნიშნად

04. 11. 2013.

შუბლს დავადებ დედამიწას სინანულის ნიშნად,
ჰე, უფალო, ჩემთვის დღითი დღე უფრო მეტს ნიშნავ,
ვიდრე თავი საკუთარი, ანუ კაცი ვიღაც.

მჯერა, მომზელ და ჩამიდგამ სულს შენმიერ თიხას,
არ ვარ, თავი ვინც მეგონა, ვინც შექმენი, ვარ ის,
მე მზიდველი უნდა ვიყო კაცად ყოფნის ჯვარის.

ის ვიქნები, ვინც გენებოს, მე ცოდვილი ვარ და
ჩამოეშვას ჩემს სურვილებს შორის შავი ფარდა,
ისე მინდა, მწამდეს შენი, როგორც იობს, თითქმის.

ვიცი, ჩემზე მარად მცირე რწმენის კაცი ითქმის,
ისე მინდა, შენს წინაშე დავიჩოქო დაბლა,
რომ გირწმუნო, ან სიკვდილის რომ დამეცეს დამბლა.

გამიმთელე დაყვლეფილი ეს მუხლები, ღმერთო,
შენთან მინდა, შენთან მინდა, შენთან მინდა, ერთობ,
რომ აქამდე დაცემული, ღრუბლებიდან ვჩანდე.

სულში შვებად ჩაუსახლდი მწუხრში ტანჯულ ლანდებს,
იტრიუმფე შეპყრობილი ცოდვილების მკერდში,
გამოგ ზავნე სიბნელეში განთიადის ელჩი!

აგვისტოს წვიმა

27. 08. 2010.

აგვისტოა, ქარია, მზე, არ მშორდება წამით
ფიქრი ქალწულ მარიამზე და ნაღველის შხამი.

ახლა მინდა ზამთრის თოში, ან გოლგოთის წვიმა,
მაგრამ წვიმა უდაბნოში ჩემს ღაწვებზე ცვივა...

ალბათ, სადმე ახლოს არის წყარო წმინდა, ცივი...
სიბნელეში შუქი მთვარის და სიცოცხლის სხივი.

სიტყვის მუსიკოსი *26. 07. 2012.*

ცაში გყავდა აყვანილი სილამაზის კულტი,
შენ უყვარდი თვით სიცოცხლეს, მხოლოდ სიკვდილს ძულდი.

შენ კი სიტყვის მუსიკოსი და პოეტი გახდი,
ჭეშმარიტად დაიკავე პოეზიის ტახტი.

ცხოვრებაზე უფრო მეტად გაწამებდა რითმა,
თეთრ ფურცლებში შეგიფარა სიტყვამ ჭეშმარიტმა.

დავიწყება ვერ გპოულობს, ვეღარ გაგნებს ბინდი,
აღორძინდი გალაკტიონ, ისევ აღორძინდი.

გისმენდი და ვგრძნობდი მაშინ – სულს სიტყვებით ბანდი,
თოვლის ველზე ახლაც დადის, დადის შენი ლანდი.

დადიოდი, ლომურ ფაფარს ატარებდი სულ თან,
შენ გიყვარდა თვით სიცოცხლე, შენ სიკვდილი გძულდა!

ანგელოზის სოლო *02. 12. 2013.*

მიწას თხრიდა ფლოქვებით ყორნისფერი კვიცი.
გაისმოდა ზეციდან ანგელოზის სოლო.
მე და ჩემი ნაღველი ერთად წავალთ, ვიცი,
ცაში, რადგან იქ არის ჩვენი სახლი ბოლო.

წამოგვყვება, გაგვიკვლევს გზას უცნობი გიდი,
კაპიშონი ახურავს, ვერ ვიცანი კუშტი,
მზეს სიზმრებში ვხატავდი და ტახტივით ვშლიდი:
ახლა ღამეც მოვიდა და ქარიშხალს ვუცდი.

მაგრამ ირგვლივ ნათდება სანთლით ლურჯი არე
(ვერთობოდი ყოველთვის სინამდვილით, ყრუთი)
თვალებიდან ჯიუტი ნაპერწკლები ვყარე
და გადავწვი საფლავის მართკუთხედი ყუთი!

მკვდრის სიცოცხლე *20. 03. 2012.*

ცას ვუყურებ. თვალს მიყრის თვალში მარტის ღამე...
უცებ სუნთქვა მეკვრება – ლამაზია იგი!
ვარსკვლავების ყვითელი შიშით დავიშხამე
და წავედი ღრიალა ქარიშხლების იქით.

ვერას მიზამს სიკვდილი, თუ არ ახლდა შიში,
არც სიცოცხლე არ მიღირს, მკვდარმა თუ არ ვნახე
სტრიქონებში სიცოცხლე, უსაზღვრო და გიჟი
და მიქელგაბრიელის შერყეული სახე!

ილუზიის ჩრდილში *01.10. 2013.*

მე ვარ ის კაცი, იხედება ვინაც სარკეში
და ხედავს მხოლოდ უმეტყველო კონტურებს შიგნით,
ვინც ცხოვრობს მხოლოდ ილუზიით უსპეტაკესი
და მდიდარია მძიმე ფიქრით და შავი წიგნით.
მე ის კაცი ვარ, ის პოეტი და ის ლტოლვილი,
ვინაც გაურბის ამქვეყნიურს, ღამის დევნილი,
ხან მუქი, როგორც გუბე, ხანაც თეთრი თოვლივით,
ხან კი ფერადი, ჯოჯოხეთის შადრევნებივით.
ის ვარ, ვინც მუდამ თავს იტანჯავს მუზებით მკვლელი,
დაბადებიდან ვისაც დასდევს ბილწი სიბერე,
ეს მე ვარ, ვინც კი შიმშილის ჟამს განცხრომას ველი
და ვინც საერთო ზეიმის დროს ვისევდისფერე.
ვკოცნი ლაბირინთს, სადაც შევალ... ისე, რომ უკან
ვერ გამოვიდე, რომ მიპოვოს სიბნელის მხეცმა,
ვსულდგმულობ მხოლოდ დუმილით და თვითგვემით მსუქან
და წავალ ისე, ჩემი თავის მომიწევს შეჭმა.

ჩემს ნაკვალევზე გაირბენენ შავი კატები,
მომიგონებენ და თავიდან დავიბადები.

ღაწვების წვიმა 02. 04. 2013.

(სალომეს)

ახლა ქალაქში ღამე არის, თბილი, დაღლილი.
ჩემს სტრიქონებშიც გააპრილდა. მოდი მაისო!
ღაწვებზე წვიმა დაწანწალებს ქუჩის ძაღლივით,
ცისკენ აწვდილი ეს პეშვებიც წვიმით აივსო...
დავეხეტები უნაპირო დუმილის ღრეში,
საკუთარ თავზე განვიცადე ყინვის მეფობა,
მე მაძაგძაგებს მღვრიე ქარი, მასველებს თქეში,
ნერვებდაჭიმულს ახლა გულიც ორად მეპობა!
მე გავანათე გაუვალი თმების კაბარე,
შევედი ბნელში, რომ სანთელი ისევ ამენთო,
სულს უალუბლოს ვერც ვარსკვლავი ვერ შევაპარე,
ბაღში ადგილიც ვერ ვიპოვე საორნამენტო!...

მე მხოლოდ შენში მოვიპოვებ სიმშვიდის ლივლივს,
შენთვის ვიცოცხლებ და ამქვეყნად სულ შენთვის ვივლი.

ემიგრანტი ქალის ტირილი 11. 11. 2013.

მე მენატრება მიწა, სადაც სული არ წივის
ღრმა მონატრებით და ვმუშაობ სადაც ხალისით...
მე უცხოეთში დამელეწნენ ფრთები არწივის,
რადგან ვათრიო ტვირთი დედის, ტვირთი ქალისა.
სველ ბალიშს ვანდობ საიდუმლოს, მაგრამ არავის
არ ესმის ჩემი და შორიდან ამაოდ ვკივი,
რომ ჩემი ყოფა, უსამშობლო და შემზარავი
განათდეს, როცა სხვა ზეციდან მეცემა სხივი.
წელებზე ვიდგამ ფეხს და ცრემლიც მშორდება აღარ,
მე მენატრება ჩემი ქმარი, ჩემი ქალ-ვაჟი,
ცრემლებს ვყლაპავ და ყველა ტკივილს გულში ვინახავ,
ვკრძალავ სიხარულს და სიკვდილს ვგრძნობ ამ აკრძალვაში.

ვეღარ ვძლებ ჩემი ოჯახის და ქვეყნის გარეშე,
შორს სამშობლოდან, ვარ უცხო და ვარ სიმწარეში.

LACRIMOSA *11. 09. 2013.*

ღამით, ხის ტოტზე სევდიანი მღეროდა ჩიტი;
ოთახში "ცრემლებს" ავადმყოფი წერდა მოცარტი.
სამყაროვ, მისი მოსმენისას გასაოცარდი
და სიკვდილიდან მუსიკამდე გაიდო ხიდი.
სცენაზე გდია მოსასხამი, შავი, უმეფო.
რძისფერ პარიკთა ზღვაში ახლა დუმილი გოდებს.
ის ბოდავს, ყვირის და კანკალით აკვდება ნოტებს,
რომ დროშის ტარზე გაიჭიმოთ აბრეშუმებო!
მე მას ვუსმენდი, საკუთარ თავს ჭკუიდან ვშლიდი,
მესმოდა, გლოვის გამწარებით რეკდნენ ზარები,
მე ზღვა მახრჩობდა, სიგიჟესთან ნაზიარები
და ღამით, ტოტზე სევდიანი მღეროდა ჩიტი.

ხანდახან ირგვლივ მოღიმარი ვამპირებია
და მზის სხივებიც თითქოს სიკვდილს დამპირებიან.

ილუზიის ჯურღმულებში *01. 09. 2013.*

ტვინის უჯრედებს მიძარცვავენ ძილში ქურდები.
ცა ღრუბლებიდან მოტყვიისფრო ჩანჩქერებს ღვრიდა.
როგორც მათხოვარს, მივიწყებენ და ვნადგურდები,
მე კი ვამზადებ მოგონებებს მკვლელთა ლახვრიდან.
დავათრევ სტომაქს. კუჭის ფსკერზე სველი ვერცხლია,
დაუსრულებელ ღრეობაში მინდა, გავება,
მაგრამ თენდება და ერთმანეთს ველარ შეცვლიან
ჭაობის ლოცვა და წყაროთა გამეძავება.
ძილში ქურდები მიძარცვავენ უჯრედებს ტვინის,
ცამ ღრუბლებიდან გადმოღვარა მელნის ჩანჩქერი,
ვით ყველა ცოდვილს, მეც მესტუმრა მოხვეჭის ჟინი,
ვდგავარ გუბეში და ანარეკლს ზიზღით დავცქერი.

მაგრამ არასდროს დამტოვებენ სიზმრის ჯგუფები
და ილუზიის ჯურღმულებში დავიღუპები.

შემოდგომის სონეტი *25. 08. 2013.*

(სალომეს)

შემომახსენდა შემოდგომით შეცნობა შენი,
მშვიდი ნოემბრის ფოთოლცვენა, შორიდან განცდა
ანდამატური სიახლოვის, თრთოლვის და ფრენის,
როცა შეხება ყოველგვარი, მიწიერს გასცდა.
მაშინ ერთმანეთს ვუყვებოდით ყვითელი ფოთლის
თბილ და სევდიან ისტორიას და შენს ბაგეზე
რამდენი სევდა იღვრებოდა, ვერავინ მოთვლის...
და ვერ გაიგებს, უკვე ნაპოვნს რატომ დაგეძებ.
იხატებოდა თეთრ სიზმრებში შენი გრაცია,
მე, გაოფლილი, ვეღარ ვგრძნობდი, როგორ გალექსე
თითებისა და კლავიშების კომბინაცია
და სიკვდილამდე ამამღერე მე შენს თვალებზე.

შენ გარინდული მიყურებდი, მისმენდი მშვიდი
და სიყვარულის მოზიდული გეჭირა მშვილდი.

შენ და პეიზაჟი *17. 12. 2012.*

(სალომეს)

ბუნების ხელი გხატავს დილის მომწვანო ფუნჯით
და სიჩუმეში იკვეთება ტილო მანესი.
სადღაც შორეთში გაგიტაცებს ფიქრები ლურჯი
და სიყვარული გეტმასნება უწმინდანესი.
ჩვენ შეგვანჯღრია შუაღამემ, გრძელმა და რუხმა,
მე კი შეშლილი თვალებიდან გადმომსკდა თქეში.
გრძელ ლაბირინთში ნაღვლიანი დამათრევს ყრუ ხმა,
დავხეტიალობ კულულების უსიერ ტყეში.
მე შენს თვალებში, შენს ტუჩებზე გავირითმები,
შენს თეთრ ღაწვებზე გაიშლება ყვავილი ვაშლის.
ხელს დაგვიქნევენ უშორესი ლაბირინთები,
თეთრი ხომალდი შორს, ღრუბლებში, იალქნებს გაშლის.

მაგ ტბების მიღმა სხვა მიწა და სხვა ცა მელიან,
მაგრამ ვერ წავალ – უშენობა საშინელია.

შევალ ტაძარში *19. 07. 2013.*

შევალ ტაძარში და ვისუნთქებ უტკბეს საკმეველს,
იქ ხატების წინ ფეხაკრეფით ივლის მრევლი და
სანთლის ალები როცა სახელს გადამარქმევენ,
მეც გამოვჩნდები მარმარილოს საკურთხევლიდან.
სულს მიძინებულს მოლივლივე ლოცვა ჩაესმა,
(კარებთან ჩვენი ბებიების თავსაფრებია)
მე გამახსენდა, ვით დაგვბადა უზენაესმა,
თუმცა, თვალებში ურწმუნობა ჩამსაფრებია.
მაგრამ ჯიუტად ვებრძვი ეშმაკს და მხვდება სილა,
მე მუშტს ვუღერებ მას, მაგრამ ის არა და არ ჩანს,
ბოლოს ჩემს სახლშიც მობრძანდება ნანატრი დილა,
რომ ჩამახუტოს უხილავი სიცოცხლის მარჯანს.

მივყავართ ყვითელ ფურცლებამდე ყველაფერს და ხმა
ჩაგვესმის, ისევ რომ მიგვიღოს სამოთხის ბაღმა.

სამება და შვიდი კუბო *09. 06. 2013.*

ჩოხოსნებს მოაქვთ შვიდი კუბო. იდგა სამება
და ყოვლისმომცველ სიჩუმეში ზარი რეკავდა.
წუთიერ დუმილს ჩვენი ლოცვა ესაბამება
(ლოცვა რომ არა, ქედს ვერარა მოგვიდრეკავდა)
თქვენ, ვაჟკაცებო, სად იბრძოდით... ალბათ, ოცნებით
არ გშორდებოდათ თქვენი კერა, ოჯახი თქვენი,
ახლა თქვენს სულებს უგალობენ სტიქაროსნები
და გეღებიან სასუფევლის ციური ბჭენი.
შორს სამშობლოდან, თქვენ სამშობლოს სიმშვიდეს იცავთ,
(მტერსა და დუშმანს გვაშორებდეს ღმერთი ნეტავი)
კვლავ დაგვიზრდიდეს თქვენნაირებს სამშობლოს მიწა,
ძარღვებშიც თქვენი სისხლი ჩქეფდეს დაუშრეტავი!...

წახვედით, მაგრამ სულ ჩვენთან ხართ. მსხვერპლი კმაროდეს,
მეომრის კუბო არ გვეხილოს ადრე აროდეს

ვიდეოკამერა

04.06.2013.

ჩვენ ვცხოვრობთ დროში, სადაც დაქრის ქარად სიშავე,
გისოსებს მიღმა სადაც ხვრეტენ სნეულ ტუსაღებს,
სადაც მიტინგ ზე თავში დროშის ტარს გვათხლიშავენ
და მუდამ შიშის ზარი გვდევნის, ყრუ და უსახო.
მკვდრები აწყვია სახურავ ზე, მიდის აღლუმი,
ჩვილებს შიმშილით გვიხოცავენ, აძღობენ გვამებს,
არსობის პურის ნაცვლად მოგვცეს პური ძაღლური
და ვამპირები სისხლს გვწოვენ და ნელნელა გვჭამენ.
მამაოები ჭინჭრით ხელში მისდევენ გეებს,
(თავი დაიხსნა ლუციფერმა, ცისქვეშ სეირობს)
ჩვენ მარად ძირძველ ქართველებად დავრჩებით დეე,
ჩვენს საფლავებ ზე თვით სიკვდილმაც რომ ი ზეიმოს.

სულმა იფრინოს, ხორცს ბოლოჟამს მიწა გალახავს,
ჩვენც ვაჟასავით ხარებს ვგავდეთ, ნაიალაღარს.

მეძავის მონოლოგი

19. 02. 2013.

მე ყველა ღამე გადამექცა მდევარ ლანდებად.
ვეპატარძლები გაუმაძღარ კაცთა ბრძანებებს.
ჩემს გვერდ ზე ყველა წესიერი დონჟუანდება
და ვიდრე ცეცხლი მიკიდია, თავს არ მანებებს.
ყოველდღე ვყავარ ატანილი კანკალს და ქოშინს,
მე მაქვს ქორწილი, დალორწილი ბოღმით და ხვნეშით,
ვარ დედოფალი მარტოხელა კაცების ბრბოში,
თუმცა, გავხდები დრო ზე ადრე ცოცხალი ლეში.
ყველა მთათხავს და განმიკითხავს, მაგრამ ვბერდები
ჩემი ხელობის სამსახურში ჩემივე ნებით,
ხშირად უღმერთო ჯაჯგურისგან მტკივა გვერდები,
ან მოღრიალე შუაღამეს ვსუნთქავ და ვდნები.

ხელიდან ხელში გადავდივარ ასე ადრევე
და სული მტკივა, რომ მჯიჯგნიან და დამათრევენ.

დარბაზში

05. 01. 2013.

შევალ დარბაზში, სადაც შუქი აკლიათ ჭაღებს,
სადაც ღრენით და ოვაციით მხვდება დარბაზი,
სადაც სიკვდილის კარისკაცი ალაყაფს აღებს...
ბნელა და ჩუმი აჩრდილების მოჩანს ბარბაცი.
გავიპარები ნირვანაში, როგორც იოგა,
ტრანსშია ჩემი ბილიკები. მზემდე შორია.
მე პოეზიამ ღრუბლებამდე ამაწიოკა
და ღრმა დუმილში დავიუფლე ეიფორია.
დამდევს ცერბერი. ვეგებები. დავეძებ ვარსკვლავს,
მაგრამ არ არის, არა და არ. მეძებოს თვითონ!
მე იქ ვიცხოვრე, სადაც ძილი ცხოვრების არსს კლავს
და როცა მძინავს, მაშინაც კი ვიძინო ვითომ?!

თეთრდება ღამე. დაცლილ დარბაზს შუქი აკლია,
იქ ძველი კიბე, მუნჯი დასი და სპექტაკლია.

კატორღა

28. 12. 2012.

რატომღაც ღამით გამოვცოცხლდი ცხელი სიოთი,
ირგვლივ წყვდიადის კედლებია, რბილი, დრეკადი.
მე არ ვიცოდი, ჯოჯოხეთში თუ მივდიოდი,
თორემ წასვლისას ბელზებელთან გადავრეკავდი!
ცეცხლში ძაგძაგებს მკვდრული სული. მოდის ღამიდან
ხუნდების ჯარი, გისოსდება ზეცა და სივრცე,
შავ ჰორიზონტზე აღვიმართე, ვით პირამიდა,
რომ დასასრულის ზღვის დებიუტს სიცოცხლე მივცე.
ირგვლივ ხმებია, რაღაც ხმები! თითქოს ყეფენ და
გალობენ კიდეც! გადავშალე ჩემი წიგნი და...
მე იქ ვიხილე დავიწყების გონჯი ლეგენდა
და იქ ვიგრძენი, რომ ჭინკები მჭამდნენ შიგნიდან!

ახლა ეს არის ჩემი ბაღიც, ჩემი კატორღაც,
მე კი მიკვირს და გარეთ გასვლას ვლამობ რატომღაც.

ცოდვის ხუნდები

15. 08. 2011.

ბებერი კლდის ქვეშ, სადაც ხევში ჩუხჩუხებს წყარო,
(მე მაგონდება ჩემი სისხლი, დაღვრილი უქმად)
მინდა, საკუთარ კუბოზე რომ მიწა დავყარო,
მინდა, სიბნელე შეიზილოს რიჟრაჟის შუქმა.
ხეპრეთა ხროვას განვერიდო, ბრმებს და საძაგლებს,
უარვყო მიწა, შებორკილი ხოდვის ხუნდებით,
მზე ცოფიანი, რომელიც კაცს კბენს და აძაღლებს
და ბოლოს დამპალ სარეცელზე ღრჭენას ვუნდებით.
დაგვედევნება ლუციფერი ლურსმნების სახრით,
ჩაგვრეკავს დაბლა, სადაც ჩვენი სახლია ბოლო,
იქ მრავალს ვნახავთ ჩვენნაირებს და ფარ-ხმალს დავყრით,
ანგელოზები არ ივლიან ჩვენს გვერდით მხოლოდ.

გვინდა, ვიხაროთ საოცნებო ბაღის ხილებით
და ამ ხილისთვის საკუთარ სულს ვებორკილებით.

ლურჯი შადრევნები

29. 08. 2010.

მე დავიბადე უდაბნოში, სადაც ბაღია,
თვალწინ ბატის ფრთა თეთრ სივრცეში მედგა მთასავით.
ტანჯულს საშველად არავისთვის დამიძახია,
ვუხმობდი მხოლოდ დიონისეს სევდანასვამი.
იკვეთებოდა სქელ ბურუსში სახე რამდენი,
უცხო წალკოტში მელნისფერი შადრევნებია,
ახლა ჩემს სიზმრებს დაედევნა სხვა შევარდენი,
მაგრამ მომავალს უიღბლობა დადევნებია!

სულს ვუმეგობრებ ხმელი წიფლის, მაინც ჩემია
და დამაჭლექებს პოეზიის ეპიდემია,
სადაც ბოდლერი ჰადესია, ვერლენი – პანი.

მე კი იმ ლურჯი შარევნების ვარ ბინადარი,
მაინც მისი ვარ, ჩემი სული ხარბი რად არი,
თუ იმ ლურჯ შხეფებს შევაგებე შუბლი და ტანი?

კუბოსთან

17. 07. 2010.

ღამისთევაზე ჩემს კუბოსთან ყვავილს მიიტან,
არად ჩააგდებ ხალხის კითხვას: „ვინ არის ნეტავ?“
შენ გხვდება გლოვა, დაბრუნებულს ეკლესიიდან
და სიჩუმეში, მთვარის მიღმა, ათინათს ხედავ.
იქ დაბრუნდები, სადაც ღამე უნდა მეთია,
სადაც მიხილე ჭირისუფლის შავი უფლებით,
მე მჯერა: უცხოს მშრალ ღაწვებზე მეტი წვეთია,
სილურჯე, სავსე სინანულით და ალუბლებით.
ნება მომეცი, სასახლიდან ავდგე უფალო!
მიყურებს, ტირის, ჩემთანაა! შფოთი, დებოში!
მივდივარ, სადაც უდაბნოა უალუბალო,
გულგრილობის და დავიწყების შავ სამეფოში!

ძვირფასო, მე გთხოვ, ნუ წამართმევ ბოლო იმედებს
და მარტოობის ვაებისთვის ნუ გამიმეტებ.

ხსნა

05. 06. 2010.

თეთრად მოსილი ქალწულების მღეროდა გუნდი.
ვიდექი ჩუმად, მინისლავდნენ ნიმფები თვალებს,
დაგრეხილ ხელებს ყვლეფდა მათი სინაზის გუნდი,
ჩამქრალი მზერა უარყოფდა მთებს და ტრამალებს.
მე გავურბოდი წარსულის შიშს, შხამს და საუბარს,
ტანში ეკლები მესობოდნენ, სახე ქვაობდა.
(ჟამთა სიავეს მოხრილ ზურგზე ლოდი ჩაუბამს
და განწირული მე ვიდექი მარტო ჭაობთან)

მომიახლოვდა მაგრამ ერთი ფერია-ლანდი
და მის გამოწვდილ ხელებს შეხვდნენ ჩემი ხელები.
ისევ ვიგრძენი ტანში სისხლი, მღვრიე და ბლანტი.

მე ახლა ვცოცხლობ. იმ დღის შემდეგ არ ვემკვლელები
ჩემი სიკვდილის უარყოფას, სიცოცხლის სუნთქვას,
ხელებს გამოწვდილს და უნაზეს ბაგეს რაც უთქვამს.

გარიყული *03.06.2010.*

რაღაც გამირბის სხეულიდან, მგონი იმედი,
ეს აბელივით მომაკვდავი ქალის ფიცია,
ხორცი არწივმა გაიტაცა, ვით განიმედი
და ტირის სული – არ აქვს ტრფობის მას ამბიცია.
მიხმება ლაღი სიყვარულის შავი ძირები,
მე ველრიჯები შავი კარის დარაჯს – იანუსს,
ახლა ავადმყოფ ოცნებებში ჩავიძირები
და ერთად ვანთხევ ყველა გრძნობას, ადამიანურს.
ხრიალებს ხილვა, დამხარხარებს სახე უხორცო,
მუდამ ვისჯები სიყვარულის მსხვრევადი მძივით,
მინდა, ჩემს თვალებს მზის სხვები რომ დავუხოცო
და გავირიყო მეამბოხე ანგელოზივით.

იქ, სადაც უცხო გრძნობის თეთრი კლდეკარებია,
გაქვავდა გული, სხვები ვეღარ ეკარებიან.

კარი გამიღეთ *04. 06. 2007.*

ჩემი მუშტები ქვითინებენ მძიმე კარებზე:
„კარი გამიღეთ, მე მგზავრი ვარ ყორნისფერ გზების!
ჩემი სიცოცხლის წინააღმდეგ მოასპარეზე...
ჯერ არ მქონია დრო მშვიდ ძილთან გაალერსების.
მიიღე ლოცვა; გაგეღება სამოთხის კარი
და შიგნით ლაღად შეაბიჯებ ცოდვის გარეშე:
– თანამგზავრი ვარ მტრედისფერი დილის ცისკარის,
ძაღლური ყოფის თანამგზავრი, ბრმად მოთარეშე!
ვაიმე, ჩემი მნახველია ყველა სტიქია,
ჩემს წინააღმდეგ რა მძიმეა მისი ილეთი!
რაც მე მინახავს, არც ღმერთს, არც მე, არ შეგვიქია:
ჩემი ხვედრია ულევი გზა და ტკივილეთი.

მე, შენ, მდიდარი, უპოვარი, მოკლედ, ყველანი
ვახსოვართ ფურცლებს, რადგან გვხატავს ჩემი მელანი.“

უჟმური *25. 02. 2011. / 15. 03. 2011.*

I

ეს ამბავი მომხდარა ძველად. ერთ-ერთ კერიას
შეეძინა პატარა. უხარიათ, მღერიან,
ცოლ-ქმრის უჟმურ ყოფაში სხივი გამოერია,
სასთუმალში ღიღინებს დედა... ცოტას, განა ბევრს,
მეტი არ შეუძლია, მაგრამ მუდამ იღიმის,
კაცი გაუტაცია ფიქრებს რწმენის ციმციმის,
ცოლ-ქმარს ვეღარ აშინებს ეს ცხოვრება სიმძიმით,
სულის ჭიშკარს უღებენ ნიავს, ღვთისგან დანაბერს,
ახლა სამნი არიან, არ უკრთიან სიმძიმილს,
პასუხობდა ქვეყანა მაგრამ ოჯახს არაფერს,
ახლა სიმსუბუქეა წყვილთა შორის, სინაზე,
იბრძვიან და ფიქრობენ ბიჭზე, პაწაწინაზე,
ეს ფიქრი და ბრძოლა მათ ღმერთთან გაათანაბრებს.

II

იზრდებოდა პატარა, იმ ოჯახის ალერსი,
კაცი შრომობს, ხმალს იქნევს, მძიმე ლოდზე ალესილს,
ქალი სახლში ფუსფუსებს – დღეა უანკარესი,
სახლში ბავშვი იზრდება, დედ-მამასთან, ძლიერთან,
მაგრამ მერე რა არის უჩვეულო ამაში?
არ აღელვებს პატარას ბრძოლა, მხოლოდ თამაში,
არ იცის, რომ ჩაწვება ისიც ცივ აკლდამაში,
ბევრი რამ აქვს საერთო ოჯახს ღმერთის იერთან,
ცხოვრებაშიც ასეა, როგორც სპექტაკლ-დრამაში,
– გაჩენისთვის სიკვდილი, სიკვდილისთვის გაჩენა,
სახლში ბავშვი იზრდება, სტიმულია მშიერთა,
თუმცა, ყოფა ოჯახის, ბრძოლის ზღვამ შეიერთა,
თუმცა, ოჯახს მუდმივი შრომა ეგანაჩენა.

III

გაიზარდა პატარა, ახლა უკვე კაცია,
მისმა მხრებმაც ცხოვრების მძიმე ტვირთი აწია,
ისიც ამა ცხოვრების ტალღებს გაუტაცია,
ცხოვრება აქვს პაწია, ფანტაზია – ვეება,
უცნაური რა არის ამ ამბავში ნეტავი...
ჯვარის თრევა კაცთათვის დაადგინა ნეტა ვინ?
არ არსებობს ამქვეყნად ტანჯვის კარის მკეტავი,
ისიც ამა ცხოვრების ველურ ტალღებს შეება,
ისიც დადგა უჟმური, ხისტი და გამბედავი,
პატარაა ცხოვრება, მისი ჯვარი – ვეება,
ჯვარცმა – სივრცე უსაზღვრო, ცოდვა – მკვლელი კატორღა,
არ ჩანს შველა არასდროს და მოჩანან რატომღაც
ვარსკვლავები – კენჭებად, მთვარეები – კლდეებად.

IV

ვერც პატარა გაექცა ზრდის უმწარეს მარწუხებს,
მუდამ რაღაც აწვალებს, მუდამ რაღაც აწუხებს,
მან არ იცის თუ რატომ, ვერ პოულობს პასუხებს,
ტანჯვა სიდიდეშია! გვირგვინია იარის,
შემეცნება სულისთვის ჭრილობაა მარადი,
ვისთვის – სიტყვა ლიტონი, ვისთვის – სველი ბარათი,
ვისთვის – დრამა-სპექტაკლი, ვისთვის – ბალ-მასკარადი,
ღვთის კაცისთვის – სულის ხსნა, მისი ლოცვის ზიარი,
მცირე რწმენის კაცისთვის – ტანჯვა კუბოს კარამდის,
ვირისათვის ნაგავი, რაღაც ხურმის პიარი,
ვისთვის – სულის სარკეა, ვისთვის – ბედის ჭაობი,
ვისთვის – ქონა სიმდიდრის, ვისთვის – არარაობის,
ზოგს კი სახეს არგუნებს მკვდარის, თუ მგლოვიარის.

V

გაიზარდა უჟმური, ის ცხოვრებამ უარყო,
ყველაფერზე კანკალებს, როგორც ლოთი უარყო,
ვერ ამჩნევენ ვერაფერს, გრძნობებს მუდამ უარყოფს,
მუდამ ტირის შიგნიდან, გარეთ მუდამ მშვიდია,
წიფელივით მარტოა, ესმის ვაჟას ჩურჩული,
თვითონ მიწის მტვერია, მიწა – ქვეყნის ურჩხული,
მოხუცივით მოძრაობს, ავი და დაკრუნჩხული,
მას და ქვეყანას შორის მხოლოდ ბეწვის ხიდია,
შვლის ნუკრივით მარტოა, ესმის მგოსნის ჩურჩული,
ეშმაკივით იღიმის, გულზე ჯვარი კიდია,
ფიქრობს: „ნეტავ რატომ ვარ, რისთვის ვცხოვრობ მე მაშინ,
მხოლოდ სულის გლოვაში, მხოლოდ ხორცის გვემაში?“...
მას და სამყაროს შორის, ალბათ, აღარც ხიდია...

VI

რატომ არის ღვთის შვილი მუდამ ჯვარის მზიდველი,
უბედური – მდიდარი, ბედნიერი – ტიტველი,
თუ არასდროს არ მოდის ბედი, შემდეგ ვით ველი
ბედის ღიმილს? არასდროს არ დაგვტოვებს სიშავე,
არ გვტოვებენ არასდროს უმძიმესი ლოდები,
გაგვაცილებს კუბომდე ხარხარით და გოდებით
მხოლოდ მეფე-სიკვდილი და შვებას ველოდებით,
მაგრამ არც იქ არ არის შვება, იქაც თიშავენ
მზერას დაბლა დაყრილი სველი ვერცხლის ზოდებით,
იქაც რჩება ხრიოკი ყრუ ხრიოკის ქვიშავედ,
ვერც იქ მეფობს სიმშვიდე, იქაც წყევლა-წიოკი,
ვერასოდეს იქცევა ოაზისად ხრიოკი,
არც იქ გვტოვებს მათრახი, გვდევნის, თეთრ კანს გვიშავებს.

VII

ყველგან მეფობს სიკვდილი! – ადრე იყო ჰეროდე,
ახლა არის აბორტი, ბავშვებს გვიკლავს, გვჯეროდეს,
განა არის დროება, სიკვდილი არ მღეროდეს?
უსინჯავენ ცოდვილნი სიკვდილს გემოს, ვნებიანს,
თვით დუმილშიც გაისმის სასიკვდილო არია,
მიწის ყველა მტკაველზე ცოდვილები არიან,
უცოდველი ვინ არის? თვით სიწმინდე მკვდარია!
გავუსინჯავთ ყველანი სიკვდილს გემოს, ვნებიანს,
სული ჩვენი სხეულის მხოლოდ პატიმარია,
უცოდველი ვინ არის? ყველგან დემონებია,
ჯოჯოხეთის კედლებმა ეშმაკები დაგვრიეს,
მიუწვდება ხელები ყველგან მიქელგაბრიელს,
ყველგან ცოდვას, სიბილწეს, ღალატს ემონებიან.

VIII

მუდამ ქუფრი ამინდი, მუდამ თოში, ქარცივი,
მცირე რწმენაც თავს იკლავს, ჩუმად არის, არ წივის,
ილეწება სივრცეში ფრთები თეთრი არწივის,
ყანაც კარგავს სიმწვანეს, უმალ იცვლის ყანა ფერს,
თუკი მასში სიავის დამპალ თესლებს ჩაყრიან,
არყოფნაში იდეას ხედავს მხოლოდ აზრიანს,
მხოლოდ მაშინ იღიმის, როცა დანა ბასრია,
(მზის შუქზეც კი შავია, როდი იცვლის დანა ფერს?)
პატარაა ქვეყანა, დიოგენეს კასრია,
ის ერთადერთ ბინადარს იტევს მხოლოდ, განა ბევრს?
გადაირბენს რიჟრაჟზე სხეულს მცირე ლახვარი,
ქვეყნის სახეს სიწითლის არ ექნება საზღვარი,
მაგრამ რას უპასუხებს მას ქვეყანა? არაფერს.

IX

ბლაგვ იარაღს უშველის მხოლოდ მისი სალესი,
კაცის ნატანჯ სიცოცხლეს – სასიკვდილო ალერსი,
დუმილს ავსებს ხრიალით ხმები მოხრიალესი,
ვეღარაფერს პასუხობს ტვინში ჩაჩრილ ნარ-ეკალს,
ეხუჭება თვალები, დაღლილი და ნოტიო,
სასაფლაო ეძახის: „გიპატრონებ, მოდიო,“
თვალწინ მხოლოდ სატანის აღრენილი ნოტია,
მალე სასაფლაოზე გლოვის ზარი დარეკავს,
ახლა – რეკენ ზარები, მუდამ უმელოდიო,
ემსგავსება მზე წყვდიადს, მთვარე – მოელვარე ქალს,
ახლავს აღარაფერი ადრე ნაშობ იმედებს,
ახლა სიკვდილს უმღერის და სიცოცხლეს იმეტებს,
უფსკრულეთში სულ მალე მზე ვარსკვლავებს ჩარეკავს.

X

თავის ირგვლივ მუდამ გრძნობს ყინულეთის დედოფალს,
ორგულს და ორსახოვანს უკვე უთვლის შენდობას,
აღარავის მეგობრობს, აღარავის ენდობა,
ესალმება არწივებს, მის საფლავზე ასაფრენს,
უკვე ხორხში გაისმის განდეგილის არია,
ის და მისი სხეული გარიყულნი არიან,
(მარტოსულის გონება დაიფარე, მარიამ!)
ეს ცხოვრება მის გზაზე მუდამ საფრთხეს ასაფრებს
და მის დამფრთხალ ბნელეთში უკვე სხვა სიზმარია,
არ მოუთმენს ცხოვრებას, თავს ეკლებზე არ ათრევს,
იგი უნდა გაიქცეს! თავში მოსდის იდეა:
ვერ იცხოვრებს იქ, სადაც სულის სიღარიბეა!
...და ღარიბი ქვეყანა რას პასუხობს?... არაფერს.

XI

მან არ იცის, თუ რატომ, ტანჯავს ყრუ დეპრესია,
ისიც უკვე შავია, რაც კი უთეთრესია,
ეს ცხოვრება რაღაა, ისიც თუ ხეპრესია?
აქეთ-იქით აწყდება, სულის ბეღლებს ეხლება,
გზააბნეულ ცხვარივით მიეხლება ქაოსებს,
ვერაფერი აშინებს, ვერაფერი აოცებს,
ნატანჯ სხეულს არყოფნის რკინის კეტით აოსებს,
ბრწყინავს, რასაც სიკვდილის შავი ხელი ეხლება,
ტოვებს ტვინის უჯრედებს ფიქრი სააქაოზე,
ამ ფიქრს მხოლოდ არყოფნის თეთრი ყინვა წყურია,
ესახება საფლავი სულის ურყევ კარებად,
თმაში თოვლი გამეფდა, ღიმილს ვერ ეკარება,
გარიყული, დევნილი, კენტი და უძლურია.

XII

ცივ ფოლადზე გაურბის მუდამ ცივი თითები,
ბინდებია რიჟრაჟი, რიჟრაჟია ბინდები,
აკლდამაში უხმობენ მოკლე ლაბირინთები,
მწვერვალებზე დაფრინავს, ვაკეზე გრძნობს ქარაფებს,
მისი თეთრი შავია, წყვდიადს ხედავს რძესავით,
მის მინდორზე არ არის ღმერთი იღბლის მთესავი,
ერთი შერჩა ქვეყანას აკრძალული ხესავით,
მისი დისკო უშორეს თოვლზე იცვლის ჩქარა ფერს,
არავინ ყავს ამქვეყნად სულის მონათესავე,
მზის სხივები დაეცნენ და თვალები განაბეს,
მარტო შერჩა ნამდვილად მისი ნავი მწვერვალებს,
ალიონი გაშავდა, შუაღამე ელვარებს,
გულგრილია ქვეყანა, ის არ ამბობს არაფერს.

XIII

სარკე მხოლოდ დაღია, ბაღი არის გადაღმა,
ბაღის აქეთ ყოველი ჩამოჭკნა და გადახმა,
ყველა სარკე იმსხვრევა, ვერ იდაღა სხვა დაღმა,
ახლა ანარეკლია მოზიარე ყოველის,
იგი დგება სარკის წინ და ანარეკლს საუბარს
ის ღრიალით გაუბამს, (ან სილაღის რა უგავს?)
ამ ცხოვრებას მის მხრებზე მძიმე ჯვარი ჩაუბამს,
ეუბნება ანარეკლს დაღლილი და ცხოველი,
მხოლოდ სარკის მეგობარს ის საუბარს გაუბამს:
„სული ცარიელია, როგორც სახლი უქალო,
მახინჯია ცხოვრება, მუდამ სევდის მღეჭველი,
მუდამ ცივი, ბოროტი, ნაღდი და უეჭველი,
მიწას უნდა გავექცე, შემიწყალე უფალო!

XIV

შველა აღარ არსებობს! გავიქცევი მიწიდან,
ვნახავ უცხო სავანის წყვდიადს, როგორც იზიდას,
უკვე ვნახე ხილული, არნახული მიზიდავს,
ვნახავ სხვა გალაქტიკის მკაცრ, ტალღოვან ქარაფებს,
თვალს მოვავლებ საკუთარ მიწას – ოქროს აკალუსს,
ავითვისებ ბილიკებს, ჩემით ჩემთვის გაკვალულს,
გავშორდები ჭაობებს, მყრალს და მანიაკალურს,
გავექცევი ამ ქვეყნის შფოთს და დავიდარაბებს,
კაცთა ფანტაზიებში დავაარსებ აკალუსს,
შევისუნთქავ გრიგალებს, უცხო ცისგან დანაბერს,
თავზე არ მოეხვიო დედას, შავო თავშალო,
მე მინდა, რომ ზეცაში თეთრი ფრთები გავშალო,
რას დაკარგავს ქვეყანა ჩემი წასვლით? არაფერს.

XV

რისთვის გავჩნდი არ ვიცი, სად მივდივარ – ვიცი მე,
მტერი არის ჰაერი, მეგობარი – სიმძიმე,
ციდან მთვარე მეძახის, ნაზი და მოციმციმე,
მხოლოდ მთვარე მპირდება საალერსო საუფლოს,
უხილავში ვპოულობ სამუდამო სავანეს,
აღარ მინდა, ვუცქირო, რუხ და პირქუშ თავანებს,
ვეღარაფერს ვპასუხობ ეკლებს, ტვინში მჩხავანებს,
დუმილისკენ მივილტვი, ვეღარაფერს ვსაუბრობ,
ის, რაც იყო ამაყი, ვერ იამპარტავანებს,
უფსკრულისკენ მიილტვის რადგან უფრო და უფრო,
მე გავურბი მწვერვალებს, ვეუფლები ნაპრალებს,
ჩემი გვამი სიცოცხლეს თავსაც ვერ შეაბრალებს,
მხოლოდ არყოფნაშია ჩემი ტკბილი საუფლო!“

XVI

ხელი ფოლადს წაავლო, კანკალებს და ჩურჩულებს:
„მიუტევე უფალო, თვითმკვლელებს და ურჩხულებს,
დაოთხილებს ეშმაკთან და ცოდვით დაკრუნჩხულებს,
თუმცა, ვიცი, ეს ლოცვა არ მიშველის არაფერს,
მე უდიდეს ცოდვებში რადგან პირველს ვაპირებ,
მაგრამ ვერ გაახარებს ჩემი სისხლი ვამპირებს;
წითელ ჩანჩქერს ფოლადის პირი მოინადირებს!
სიოს სისინს მოვუსმენ, დარაბებში დანაბერს,
ამ ცხოვრებას დავტოვებ და მის მიერ ნატირებ
ავ ნიავს შემოვუშვებ, არ დავკეტავ დარაბებს!“
თქვა და ხელზე დაისვა დანა, მუდამ თანმდევი,
დაანახა ქვეყანას რკინა-ხორცის ტანდემი,
ქვეყანა კი რას იტყვის ამის შემდეგ? არაფერს!

თინათინური

17.04. – 26.04.2014.

(თინათინ მღვდლიაშვილს)

რაც თავი მახსოვს, სადიდგორე სტრიქონებს წერდი,
ლექსებს ისროდი შადრევნებად, თოფში დატენილს,
ყვებოდი, როგორ მიუშვირეს სატანას მკერდი
და დავითს როგორ გვიგინებდნენ მოღალატენი.
მაღლა, ზეცისკენ მიიწევდა კალამი შენი,
კალამი-ლომი, უფრო მკაცრი ჟამთა სრბოლაში,
პოეტისათვის ღარიბია ცხოვრების ძღვენი,
მდიდარი – უფლის განსაცდელის შავი კოლაჟი.
ყვებოდი, როგორ გაგვიწყალდა სისხლი ღალატით,
როგორც ის წყარო, რომ შეგასვა რაღაც ძალამ და
არ გაახარე რომელიმე შენი ჯალათი
და ცხრაკლიტულშიც მეგობრობდი უფლის კალამთან.
დროდადრო ჩანდა სიბნელეში სხვა ათინათი,
სხივი გმირების, მოწამეთა, ღმერთის, მამულის,
მაგრამ გარშემო გულგრილობის ზღვაა თინათინ,
ამაყ ქალს სახე ჩუმი ცრემლით გაქვს დანამული.
მზესუმზირები დარაჯობდნენ მეშვიდე საკანს,
შენ კი იჯექი სიჩუმეში და თრთოდა ბნელში
ლილიფარებში მოფარფატე იმედის საგა
და რწმენა იყო სიავესთან სიკეთის ელჩი.
შენ მზად იყავი, რომ პატიმრის ტვირთი გეზიდა,
ოცდაათ ტყვიას უგზავნიდი უძღებ სატანებს,
განთიადს ფხრეწდი უდაბნოთა ასპარეზიდან,
ანგელოზებმა სიზმრიდან რომ გამოგატანეს.
ყვებოდი, როგორ დაგილახვრეს ეგ გული ისევ,
რომ ანგელოზმა დაგაწაფა ცივ წყაროს პეშვით,
რომ უარყოფდით პოეტები პილატეს ქისებს,
რადგან იესომ თქვენში ჩადო ციური ფესვი.
ვერცხლს გულგრილობდი, რადგან გედო სიტყვის რკინა წინ,
რადგან ამ სიტყვით შეგეჭედა ფარი და ხმალი,
ვაზებს და ტაძრებს უგალობე ლექსად თინათინ,
რადგან გტკიოდა საქართველოს ტკივილი ხვალის!

შენი დუმილი ღალატია; არასდროს დუმდი!
ენგურს გადაღმა გაკრეფინეს იქნებ სხვა რთველი?
იქნებ, მოგდევდა დამშეული თევზების გუნდი?
მაგრამ, გარბოდი? არსად გარბის რადგან ქართველი!
მამულიშვილებს უმღეროდი და გისოსს მიღმა
ქალი-პოეტი ღმერთს მადლობდი, იდექი მაგრად,
იდექი ისე, ძირს ვერ დაგცა ეშმაკის მჯიღმა,
ციხეც დატოვე და ამაყიც წახვედი მათგან.
თვალებით ეძებ: სად არიან მხედრები ურჩი?
(მზემ გააღვიძა თეთრ სარკმელზე თეთრი კამეა)
მარადიული ჩაგჩურჩულებს ზმანება ყურში,
რომ ღამეებში დარდიანი სიკამკამეა!...
კვლავ კანკალებენ გარეწრები ქრისტეს წინაშე:

ხმლებს ლესავ ლექსით, ლექსით გვიქსოვ ჯაჭვის პერანგებს!
ჭრელ ქარვასლაში მიიჩქარი ისევ თინათინ,
რომ კვლავ ვიმღეროთ უკანასკნელ სიტყვის ბგერამდე!
მოაქართულებ ჩვენს ძარღვებში სისხლივით სტრიქონს
(არსთა გამრიგემ ლექსის წერის მოგცა დასტური)
ღრუბლებს უყურებ და ვერ ხედავ ქვევით რუბიკონს
და ჩვენს ყანწებში კვლავ კამკამებს ალადასტური!
როგორ უხდება გალექსილი სიგიჟე არაგვს,
როგორ გითრევდა ღრმა მორევში რითმა გალასი,
სადაც მწვერვალებს დასასრული არასდროს არ აქვს
და ვერცხლის წკრიალს ცვლის მხედრული ხმები ხალასი!
თითქოს თითებით ცის გუმბათებს ეხები მუდამ,
ეჰეი! ფეხქვეშ მოღრიალე თერგია ახლა!
ნაღდი მტრის გემო არ იცოდა არასდროს ცუდამ,
მაგრამ კარგებმაც არ იციან არასდროს დაღლა!
შენ სულდგმულობდი მკრთალი სხივით, პაწაწინათი,
რომ სინათლე ზე გახვიდოდი... გახვედი კიდეც!
ჩვენ მამათა და შვილთა ლექსებს გვიქმნი თინათინ
და ქედმოხრილი ტაშს დაგიკრავ, როგორც უდიდესს.

ჯვაროსნები 22. 12. 2013.

მოხეტიალე დერვიშია ჩემი სიზმარი.
ის არ ეშვება ჯიუტ კაკუნს ყრუ კაცის კარზე.
აღარ მგონია, უიღბლობა მეფობდეს ქვეყნად.
ხელების ნაცვლად გამოვიდნენ მხრებიდან ფრთები;
ფრთები ბატისა. მელანია შიგნით ზღვასავით.
რას არ ზიდავენ უჯრედები: თოვლისფერ ყუთში
ორი დუჟინი მომლოცველი ვისხედით ერთხელ.
მიგვაგორებდა თოვლისფერი ყუთი ტაძრისკენ.
იგი შეჩერდა, გადმოვედით, შევედით სახლში
სტუმართმოყვარე; იქ ხატები აფრქვევდნენ ლოცვას.
ძველ ისტორიებს გვიყვებოდნენ რუხი კედლები.
ღმერთო დიადო, საშინელი იყო სიცივე
და სხეულებში ცეცხლი გვენთო ჩაუქრობელი.
შემდეგ წავედით მამაოსთან, რადგან მიგვეღო
ქრისტეს ხორცი და ქრისტეს სისხლი,
შემდეგ კი მაღლა, ღრუბლებისკენ წავედით ტყეში.
უმწყემსო ცხვრები დავიქსაქსეთ და დავრჩით ხუთნი.
შორს ხმა ისმოდა ჩვენიანების
და მივიწევდით ჯიქურ, წინ, სულ წინ.
მზე დაგვეკარგა, ველარ ვხედავდით.
იქაურობა დიდებული იყო ბინდბუნდშიც.
გაუთავებელ ტალახს ზელდნენ უდასასრულო
აღმართებისკენ ჩვენი ხელ-ფეხი,
წინ მივდიოდით ჯიხვებივით,
პატარ-პატარა უფსკრულებში ვიჩეხებოდით,
ვცვიოდით მღვრიე ღელეებში, ეკალ-ბარდებში,
წინ მივდიოდით და ფეხებიც ცურავდნენ ყველგან,
ცა მოგვენატრა, ჩაიკარგა იგი ტოტებში,
ხელში მეჭირა შუბოსანი ხატი მებრძოლის.
სასონარკვეთამ ჩვენ კინაღამ დაგვრია ხელი,
მაგრამ გამოჩნდა ელექტრონის სხივები სადღაც.
გავედით ტყიდან! ანათებდა ავტომობილი.
ის, რაც მაშინვე მოვითხოვე:
ლუდი, ასანთი, სიგარეტი (რა პატარა ვარ!...)

შემდეგ წავედით მონასტერში რადგან მიგვეღო
ისევ სისხლი და ისევ ხორცი.
მიგვიღო ბერმა, გრძელი სუფრის გავხდით სტუმრები.
ჩვენი სულები იყვნენ დაღლილნი. და წამოვედით.
და იმ დღის შემდეგ ვემსახურები აუხსნელ ქაოსს,
ჩემში მიმოქრის მოგონების სახით რომელიც.

განთიადი სივრცეში

29. 08. 2013.

ოჰ, ღმერთო! დილით მე მიცქერია,
როგორ მისდევდა ბორბალი ბორბალს,
როგორ ხმებოდა ხასხასა ველზე
ბალახი მწვანე, ნაზი და ქორფა,
როგორ იდგამდნენ ვირები გვირგვინს,
ხალხს არაფერი სადაც ებადა,
ვნახე დაცემა ანგელოზების,
ვნახე ეშმაკის გაღმერთება და
ისიც კი ვნახე, როგორ მიიღო
ქათამმა მეფე-არწივის სახე,
ვნახე სამოთხის შერყევა ცაში
და ჯოჯოხეთის ხარხარი ვნახე!
გულს მისერავდა ცხვრების ბღავილი,
მსხვრეპლის წათრევა სამსხვერპლო ქვაზე,
ყელის გამოჭრა ზნეობისათვის,
ნოეს კიდობნის ჩაძირვა ზღვაზე!
მომისმენია გომბეშოების
კონცერტებისთვის, როცა ღეჭავდა
ჟირაფი ჰალსტუხს, თხების ზეიმიც
და აღზევებაც ვნახე ბეჩავთა!
ახლა განთიადს ვხედავ სივრცეში,
მზეს, საქართველოს ცაზე შეფენილს,
მეფე მოკვდა და მეფე აღზევდეს,
დრონი მეფობენ, არა მეფენი!

ეს იყო მაშინ

04. 05. 2013.

(სალომეს)

ეს იყო მაშინ, ეს იყო მაშინ,
ფოთლები ნიავს როცა მინებდა,
როცა იჯექი ფიქრების ზღვაში
და საუბრობდი თეთრ ჟასმინებთან.
ბაასი ქონდათ გაბმული შენთან
წითელ ვარსკვლავებს – ღამის მეზობლებს,
როცა მიხვედი თმებჩამოყრილი
და ჭრელ ყვავილებს მიედედოფლე.
ჩემო სიცოცხლევ და სიყვარულო,
შენთვის რამდენი ჯვარი მიზიდავს,
ცაში რამდენჯერ გიხილე ადრე
შავი სიზმრების ღაღადისიდან,
ან ასეთ წუთებს, თბილს და საყვარელს,
ღმერთო, რამდენი ხანი ველოდი,
რამდენი ხანი ვიყავი ნეტავ
გარშემორტყმული უცხო მდელოთი...
ან როგორ ავხსნი ღამეებს, როცა
შენს ფანჯრებს ჩემი მზერა ეკვროდა,
როცა წვიმის წვეთს ეცეკვებოდა
ზარების რეკვა ძველ სამრეკლოდან?
შენ იცოცხლე და მე მოვკვდე დაე,
ჩემს გულს დაგიდებ, ცხელს და ვნებიანს,
მაგრამ ვერ ავხსნი მე შენს სიყვარულს:
სასწაულები არ იხსნებიან!

ჩვენი სიცოცხლე

16. 04. 2013.

შევდივარ ოთახში. შიგნით სიბნელეა.
ცენტრში სასახლეა, დიდი, ყორნისფერი.
სხედან თმაგაშლილი ქალები გარშემო
და მაშინ ვიგრძენი
– რამდენიც არ უნდა ვიცოცხლოთ ამქვეყნად,
მაინც პატარაა ეს ჩვენი სიცოცხლე.

კანუდოსიდან *23. 04. 2013.*

ფიქრების ზღვაში დავცურავ ახლა
და უამრავი დამდევს დინება,
მე ვარ უსაჭო და უგემბანო
და ქვეყნის სუნთქვა მეღებინება,
მეგრაგნებიან ზემოთ ტალღები,
ზღვათა ღრიალი თავზე დამახმა,
„მე ვარ პატარა და ვიღუპები!“
– შეძრულმა უფალს ვუხმე ამაყმა!
ზღვის ფსკერი ჩემი სარეცელია
და ზღვის ფსკერია ჩემი აკვანი,
არ მესაქმება აქ არაფერი,
მე ჯოჯოხეთში ვარ ჩასაყვანი!
ხმა მესმის ცივი, ქვებზე და ველურ
კუნძულებს შორის დამათრევს ის ხმა;
ვიპოვე ღმერთი მიღმა ხილულის
და საკუთარმა დამკარგა ზიზღმა!
არ დაეზარა ცხოვრებას შრომა,
ყველა ზღვის ქაფი ჩემში მოზიდა...
მშვიდობა კვდება ახლა კედლებში,
ერთად დავიძრათ კანუდოსიდან!

ჩემი ტროპარი *27.10. 2010.*

მზე. ცა. რიჟრაჟი. პეიზაჟი გიჟმაჟი.
ქრება ის; უარი მტრობას, სადმე თუ არი!
ირეკება ზარები! ცრემლებს ვეზიარები!
მონარნარებს მშვიდობა! ქრება უამინდობა!
ჩვენს გარშემო რამდენი ნესტიანი გზებია!
ახლა ჩვენი ფიქრები ერთხმად ილექსებიან.
გენაცვალე ღმერთის შვილო, არაბო, თუ ზანგო!
ხმალო, უნდა დაისვენო, უნდა დაიჟანგო!
აღარ გვინდა ბრძოლა, არა! ვარ სანთლების ტყეში;
კმარა ომი, კმარა სისხლი და ცრემლების თქეში!
ყველას გადავეხვიოთ, მოკვდეს მტრობა, შური,

უფლის კალთის ქვეშ გავტეხოთ ჩვენი ძმობის პური!
უფალს მივუახლოვდეთ, არ იქნება გვიან!
„გვიან, ვიდრე არასდროს“ – ამას სიბრძნე ქვია!
ერთდებიან გულები, იფანტება ბურუსი,
კაი კაცი იყოს ოღონდ, იყოს ფრანგი, თუ რუსი!
აღარ არის ტყვიების დრო, დე, დამთავრდეს ქაოსი!
ერთად ვიყოთ ჩვენ, აფხაზი, ებრაელი და ოსი!
მზე, ბზა, ბილიკი, დამარცხდება ქილიკი.
არ სისინიებს გველი... მე მშვიდობას ველი.

ყვითელი ყვავები *17.01. 2011.*

მინდორზე ცეკვავენ ყვითელი ყვავები.
განა მიზეზები არა აქვთ თამაშის?
მათი ჩხავილები მიწას განაგებენ,
მართავენ ქვესკნელებს, მართავენ ყველაფერს,
თვითონ ღრუბლებამდე ქმნიან ატმოსფეროს.
ყვავებში ხალხია, საბრალო კაცები,
ყვავები ცეკვავენ, ცეკვავენ იქამდე,
ვიდრე არ გაძვრებათ სპირიტი ცოდვილებს.
მერე განაგდებენ ცოდვილთა სპირიტებს,
ფრთებს დაიფერთხავენ, რომ ისევ დაბრუნდნენ
ბუდეში დილამდე, დილით კი დაიწყონ
ცეკვა და თამაში,
როგორც კაცთა მოდგმის წამება უსაზღვრო.
ასეა ქვეყანა, ასეა ცხოვრება.

ყვითელი ფოთლები *08. 01. 2011.*

დაქრიან ფოთლები, ყვითელი ფოთლები.
მე დამიჯერეთ, არ მაღელვებს ლექსის ხარისხი.
არ ვიცი რატომ, მეტირება, მე მეტირება.
ჩემი თხოვნაა – მე როცა წავალ,
მანდილოსნებო, იკისკისეთ, კაცებო, თქვენი კაცური მოთქმა
გადააქციეთ ამაღლებულ სიცილის ფესვად,

ხე დარგეთ, ქვა ქვას დაადეთ მძიმედ,
შუბლზე აკოცეთ საყვარელ ხალხს,
ღმერთს უგალობეთ, ღვინო შესვით და კვლავ იცოცხლეთ,
თქვენგან წასულმა თქვენთან ერთად ვიცოცხლო რადგან.

უცნობი

06. 01. 2011.

კაცი უხორცო. ის შედგება ხაზებისაგან.
მას არ აქვს ძვლები, სული, სისხლი – ცარიელია.
დაოთხილია, ვერ დგება ფეხზე.
მისთვის უცხოა ყველაფერი, რაც გამოსახავს
ღიმილის სითბოს, იმედს, რწმენას, სხივს და სინათლეს,
სახე აქვს ცრემლით დასერილი, პირზე ატყვია
ათასწლეულის აუხსნელი ტანჯვის მწვერვალი,
მარადი ღრენის გამართლება, ბორკილის სიტკბო,
წყევლის გვირგვინი, ხმა წყვდიადის, შუქის ჭაობი,
უდაბნოს სიბრძნე, სისხლის ტბები და უნდობლობა.

მიშველეეთ!

04. 07. 2009.

მიშველეეეთ! ვიღუპები! უბედურება!
მივექანები უფსკრულისკენ, მივექანები
მთვარის სიღრმეში, არ არსებობს ის, რაც მიყვარდა!
აღარაფერი არ არსებობს სიავის გარდა,
ბოროტებაა ეს ცხოვრება! რად ვსუნთქავ ღმერთო?
თუკი არსებობს სიყვარული, განა ოდესმე
ყოფილა იგი თავმოკლული და გასისხლული?
ყალბღიმილიანს ველარ ვიტან სახეებს, ველარ!
საშინელია დათაფლული სიტყვები შიგნით!
ბედნიერია ნუთუ მართლა თვალახვეული
ხალხის ღიმილი? ახლა ჩემთვის მზეც კი ცივია!
უბედურება! მოღრიალე უბედურება,
ყველგან, ყოველთვის, საშინელი უბედურება!

ვოდევილები *29. 04. 2008.*

ვბოდიალობდი. სად? არ ვიცი. მე ვიცი მხოლოდ:
მსურდა, მეხილა საქართველო საქართველოში.
იყოს ისეთი იდუმალი, ამოუცნობი,
ის დღე, როდესაც გადავწყვიტე, გავსულიყავი
სახლიდან, რადგან, ასე იყო საჭირო მაშინ,
ოღონდ, არ ვიცი, რატომ, თუმცა, ვიცი რატომაც.
ოცდამეერთე საუკუნის წელი პირველი
იდგა, როდესაც ჩავიფიქრე, ეს მომხდარიყო.
ჩაფიქრებიდან ერთ საათში მე ვარ თბილისში.
მარტია, ვლპები, ვიჟღინთები წვიმის სიმდიდრით.
რკინის ფრეგატის ბინადარი გავხდი მე მაშინ,
მეორე ბოლოს ჩამიყვანა რომელმაც ქვეყნის მეორე დღესვე. **101**
ჩემმა ფეხებმა წამიყვანეს სამხრეთისაკენ
და სწორედ მაშინ დამაკავეს მესაზღვრეებმა.

II
„ჯაშუშო თურქეთის, დაეგდე საკანში!“
მე მტაცეს ხელები ხელებში, უილბლოს,
შემაგდეს ოთახში, იქ, სადაც არ იყო
არც მზე და არც მთვრე, მხოლოდ მდუმარება.
(სულის სილრმეში მეჭრებოდნენ ვოდევილები
ჩემი ცხოვრების)
„წადიო, – მე მითხრეს – აქედან, შორს, შორს, შორს!“
წავედი, გავრბოდი მარტით გაჟღენთილი.
მაგრამ სად? არ ვიცი. დავფიქრდი და მივხვდი!
სახლისკენ, სახლისკენ!
შევჩერდი. მე? რისთვის?
არც მაშინ, არც ახლა, არ ვიცი ნამდვილად,
მაგრამ ერთი რამე მე მახსოვს რა კარგად:
მომწყურდა და წვიმის გუბეს დავუჩოქე.
შიგნით დავინახე ამ ქვეყნის ცრემლები,
ცრემლები, წვიმამ რომ ჩაღვარა გუბეში.
ნუგეში მომეცით წვეთებო, ნუგეში!
(ლავა იღვრებოდა ლურჯი ღრუბლებიდან)

III
ჩამოწვა ბინდი. დგას ამინდი აბსურდული და ნეგატიური.
ცა გატყვიისფრდა და ღრუბლების ცივი ორკესტრი
უკრავს და უკრავს.
(ყოველთვის ოქრო ვერ იბრწყინებს, ოქროა მაგრამ)
ვბოდიალობდი, სად? არ ვიცი. მე ვიცი მხოლოდ ერთი რამე:
მე დავდიოდი, საქართველო რომ დამენახა საქართველოში.
როდესაც წვიმა წამოვიდა ორკესტრებიდან, მე განცდა მქონდა
ისეთი, რომ მე მოვდიოდი ღრუბლებიდან თხევადი სახით
და ასიათას წვიმის წვეთად, მდუღარე წვეთად ვიქეცი თითქოს.
ჩემი ცხოვრების მე წინ მქონდა ხუთი გრძელი და ნესტიანი დღე.
მე იმ ხუთ დღეში მოვიარე საქართველო და
მივხვდი: როდესაც ჩამოვედი, ეს მოხდა ისე,
არც კი ვყოფილვარ სადმე წასული,
საქართველოში საქართველო ვერ ვნახე რადგან,
რომ დავიბადე, იმავე დღეს რაღაც სიზმრები
მესტუმრნენ თითქოს თვალებგახელილს;
შთაბეჭდილების ქვეშ ვარ ახლაც იმ სიზმრების და
მთელი ცხოვრება მათ ამოხსნას ვცდილობ ჯიუტად.

ვიგონებ მერმისს

10. 05. 2008.

თუ მოხდებოდა დაბადება ჩემი ათასი,
ათიათასი წლის შემდეგ ანდა,
წავიკითხავდი ათასი, ან ათიათასი
წლის წინ დაწერილ ლექსის სტრიქონებს.
ვიგონებ მერმის: წუხელ ვნახე იგი სიზმარში
და ინტერესით ვუყურებ წარსულს,
ვერ გამიცვნია რადგან მე იგი
და მაგონდება ფრაზა, მისთვის უფრო სათქმელი,
ვიდრე ის ფიქრობს:
„მე ძლიერ მინდა, დანაშაულს როცა მივხვდები,
თუნდაც, ეს იყოს სიკვდილის წინ – არ იყოს გვიან.“

პოეტის ზიზღი

19. 09. 2009.

ავსახე შიშველ სტრიქონებში პოეტის ზიზღი
ყოველდღიური ყოფისადმი; ჯვარია იგი!
აჰა, მომპარეთ ეს ლურსმნები, გაძლევთ ოთხივეს!
მე როცა ვდუმვარ, ვდუმვარ განა? სულში ჩამხედეთ!
კლდეების ნგრევას იხილავთ იქ, წარღვნას, ქარიშხალს!
მე ვარწყევ ჭაობს, როცა ვხედავ, რომ იყიდება
„გაუყიდველი“ სიყვარული, სინდისი, ძმობა!
მე მეზიზღება ზიზღის ზიზღი ამ ყოფისადმი!
აა! სტიგმები მიკაწრავენ შიგნიდან სხეულს.

ფარვანა

20. 07. 2011.

მე გავიქცევი აქედან! სად დავიბადე და რატომ?
ცხოვრებავ, რატომ გინდა, რომ წყვდიადი გამიმარადო?!
როდემდე ვიყო ცხოვრების ბინძურ ტალახში ნაფლობი?
მიჯაჭვული ვარ მწვერვალზე, ველარ ვიხილე დაბლობი!
როდემდე უნდა გვმართავდნენ ვილაც ბრმები და ყრუები?
შევეგუები გასაჭირს, სიავეს ვერ ვეგუები!
ვღრიალებ, არ ჩანს საშველი, ვიწვი და არ ჩანს მარაო,
ყველას თავისი გზა ელის, თავისი სააშკარაო!
მინდა, ავუშვა ხომალდზე მარადი თალხის აფრები,
ტკბილია ჩემი სიკვდილი, არასდროს დავიზაფრები!
ცეცხლი ანთია ჩემს სულში, სატანა შეშას უკეთებს,
ვერ ვნახავ სულის სიმშვიდეს, ველარც ცხოვრებას უკეთესს,
ჩემს ალში დავიფერფლები, როგორც უგონო ფარვანა,
მღვრიე თვალებში ტკივილმაც სიბნელე დამისავანა,
მუდამ გაისმის მიწაზე გოდება, ვაი და ვიში,
დაუსრულებლად თამაშობს ხილვებში შავი კლავიში,
სიმშვიდის ალაყაფები, ვერ ვხვდები, რად არ იღება,
აღარ მაღელვებს არც ჩემი სიკვდილის დათარიღება!
აღარც იმედი არ მინდა, ფლიდი არის და ამაო,
მინდა, უდროოდ გეახლო, შემინდე, წმინდა მამაო!

მორჩილება

24. 08. 2013.

ვთლი შანდალს. ოთახს აკლია ფანჯრები, სითბო, ბნელა და
რომ მცივა, ჩემი ნაკლია, დგას მაგიდაზე ხელადა.
იმ ხელადაში მისხია ცეცხლი, ყინული, სიავე,
სარკეში ქვეყნის ზიზღია, სიო ქრის მოავნიავე,
ავდივარ მაღლა, ცაში და ვგრძნობ, ილუზიამ გრძნობები
იმსიმაღლეზე აზიდა, რომ მიწას ვემშვიდობები,
იმსიმაღლეზე ავედი, მინდა, დაგხედოთ ზეციდან,
პოეტის სისადავეთი თითქოს, სამოთხე მეზიდა,
თითქოს, ამქვეყნად ნისლი და სიმარტოვეა მარადი,
(დღეს ხელისგულზე მიშლიდა მზე, რამდენიმე კარატი)
ხან ვინახავდი იმედებს, ხან კი მინდოდა, მომეკლა,
მაგრამ მაინც ვერ მიმეტებს იმედი დასატოვებლად,
რა არის ჩემი ზრახვები? საითაც ღმერთი ინებებს,
იმ სოფლისაკენ გავყვები მის გამოგზავნილ დინებებს,
ვინ ვარ? არავინ! და ისიც მინდა, სხივები ვყარო და
დილად მეჩვენოს დაისიც, მოსული სხვა სამყაროდან,
იმან დამისხას ზედაშე, ვინც ჭეშმარიტი გიდია,
მახსოვდეს, მაღლა, ზეცაში, მხოლოდ მართალნი მიდიან!

მირაჟი

18. 09. 2011.

მე მინდა სიკვდილზე მეფობა, მას უნდა დავადო ხუნდები,
ეს გული შუაზე მეპობა, როდესაც ფიქრებში ვბრუნდები.
მე მინდა მუსიკის სამეფო, მოცარტი, რაველი, შოპენი,
ტკივილი მაჩუქეთ გამებო, სახეზე სიცოცხლის მომფენი!
მე ვიღაც ყასბობას მაბრალებს, მახრჩობენ წითელი ლანდები,
დავყურებ კლდეებს და ნაპრალებს და ლექსთა ციხეში ვბრძანდები.
დავეძებ ნირვანის საათებს, მხოლოდ ვწერ, აღარ მაქვს მე ენა,
ჩემს ხელებს ბორკილებს დაადებს შავი პოეზიის გეენა.
დავეძებ მეშვიდე საღამოს, ურჩხულის ცხედარი მამუნჯებს,
სადა ხარ ნაცნობო ბალღამო, ნუ მართმევ უხილავ საუნჯეს.
ანგელოზს ვხატავდი სილაზე, ჩემს თვალწინ იშლება მირაჟი
და ენით უთქმელი სინაზე ვიხილე დუმილის კვირაში.

მოახლოება

26. 07. 2011.

ვიწვი! სარკიდან თქრიალებს მოშავო სისხლის ჩანჩქერი,
ავად ვარ, ვითვლი სიცოცხლეს, დღეებს და თითებს დავცქერი,
ახლა ცხოვრების სურვილი ხან ძვირია და ხან ხშირი,
გული აღარ მაქვს, დაიწვა, მკერდშია მხოლოდ ნახშირი,
ჩემი ფერადი ხილვები წყვდიადმა შავად შეღება,
ცოცხლად ვიგრძენი შიგნიდან დემონის ხელის შეხება,
ვუსმენ სიბნელის ხარხარს და დილას, წარღვნებით ნატირებს,
ველარასოდეს ვიხილავ ჩემი იმედის ნაპირებს,
ცხოვრება სისხლს მწოვს, ვიცლები, გარშემო ვამპირებია,
თითზე სათვლელი დღეებიც ტკივილებს დამპირებიან,
მიშველეთ! ფერიც წამერთვა, თვალებს აეკრათ ნისლები,
გეპატიჟებით საფლავზე, ახლა სისხლისგან ვიცლები!
ჩემი სული და სხეული განწირულები არიან,
ხატებს კელაპტრებს დავუნთებ, შენ დამიფარე მარიამ!

ბოროტი მუზა

08.10. 2013.

ღამემ ოთახი შებურა გრძელი, მსუსხავი სხივებით,
ტახტზე ვიჯექი მეფურად, არეულ სხივებს მივები.
წყლად ავირჩიე შხამი და ძვლებით ვამზადე შუბები,
ცრემლები ცვივა ღამიდან, თვალებში დანაგუბები.
ცა გამწარებით ბღაოდა, ვიცი, მომიტანს ნალექსაც,
ჩემი ჭა იქცა ჭაობად, ქარმა ხარხარი გალექსა!
ღმუოდა მკვდარი ფუღურო, გაბმული მიწის ბადეში,
მინდა, ბოლომდე ვუყურო მთვარეს, დილაზე დაგეშილს!
წყვდიადი თვალებს აცეცებს, მინდა, შევღებო სიშავე,
ვიდრე ჭოტები საცეცებს კივილით გამითიშავენ.
მასველებს ხელი. დავხედე წვიმების თითებს კოტიტა,
მტკივა კალამი თავხედი, მან მითხრა: "ჩემთან მოდი და
ჩემთან იყავი ბოლომდის!" ცოდვა დამცინის დენდური,
ბური ბარბაცებს ბოროტი, მე კი სინათლეს ვემდური!
მშვიდად პოეტო! ავ კალამს ასწავლე ჭკუა ადრევე!
თოვლში ბილიკებს გავკვალავ, ვიდრე მუზები მათრევენ!

ნახატი, ნალეწი ქვაზე 06. 05. 2013.

ეს დილაც გათენდა მშვიდი, ვუსმენდი საყვირის ყვირილს,
ეშმაკთა აბორტებს ვთვლიდი, გალობდა ფლეიტა ძვირი.
წეროებს ეშლებათ ფრთებად ნახატი, ნალეწი ქვაზე,
წყვდიადში წყვდიადი კრთება, სიბერე ერევათ ვაზებს.
ჩემსა და ასპიტებს შორის ზამთარი დაძვრება ლანდად,
ღმუოდნენ ღრეები შორი, ჭრილობას სიცილი მბანდა.
კბილებით მიჭირავს ტყვია, სიკვდილის ნასროლი ადრე,
ჩემს კუბოს სასახლე ქვია, ჩემს საფლავს ურჩობა ვკადრე!
აქ წივის შიმშილი ცივი, მე ვეძებ სარეცლის ნაფლეთს
და თითქოს იმედის სხივი დაჩეხეს, დაწვეს და დაფლეს...
უარი გამარტყა ბაღმა სახეში... ამეწვა სახე...
მდინარეც აკვამლდა, გახმა, იმ ბაღში ვიხილე სხვა ხე!...
გადმოდუღს გველების გროვა, ძარღვებში სისინებს ლავა,
ახ, ახლა სიგიჟე მოვა და აღარასოდეს წავა!

ყორნების ბენდი 09. 08. 2011.

უკრავდა ყორნების ბენდი, უჟმური, მკაცრი და უნდო,
რა მდუმარებაში ღრენდი, ჯიუტი აზრების გუნდო?
მხედარი ალაყაფს აღებს, ურჩხულის ცხედარი ყარდა,
შუქის და წყვდიადის ბაღებს ქვესკნელში ეხდება ფარდა!
სიბნელე ეშვება ციდან, მიწიდან ამოდის ელფი,
თავო, ყრუ ტკივილებს იტან, სულში გაქვს ვულკანის ღველფი.
ესხმევათ ბრინჯაოს ფრთები შარაზე გიშრისფერ კატებს,
გრიგალი ქროდა და ვკრთები: ის ლანდთა მასკარადს ბადებს!
უყეფენ ლაბირინთს გიშრის მხეცები, ღამე კი მხეცებს,
მე წარღვნა იალქნებს მიშლის და უდაბნოეთში მეძებს.
მღვიმეში ჩონჩხები ყრიან, მეც მათკენ ავიღე გეზი,
ვუსმენდი ქარიშხლის ღრიალს, წიოდა წვიმების წესი.
ხარხარებს აფთარი მწარედ, ჩამიწყდა ჩაკლული კრინტი,
ვკოცნიდი სიცოცხლის თარეშს, მკოცნიდა სიკვდილის ბინდი.

არფა და ორფევსი

11. 03. 2012.

დარბაზი, სიბნელე. არფა და ორფევსი. წვიმის სანაპირო.
ღრუბლების სონატა, სკამი ერთადერთი, გიჟი დირიჟორი.
ჩემი ყურთასმენა მინდა, დირიჟორის ჯოხით ვანადირო,
ახლოა და არ ჩანს ჩემი დედამიწა და ნაპირი შორი.

მე ვზივარ იმ სკამზე! ირგვლივ წკრიალია. მუსიკა არფასი.
გარშემო არავინ, გარშემო არავინ! სინათლის ფობია!...
ბნელა, დუმილეთი. თუ არა? ღრიალებს და ბრწყინავს დარბაზი,
ყველა იმედები, ყველა სტრიქონები ირგვლივ ისპობიან!

ველოდი სიმშვიდეს, ველოდი ტკბილ ღამეს, ველოდი განთიადს,
მაგრამ არ არიან!... თავში შერყეული მრევლის ცრემლებია...
ხრიალებს რიჟრაჟი, დარბაზში წყვდიადის მწვერვალი ანთია,
ვდგავარ ცეცხლის წრეში, ირგვლივ დემონები ცეკვით მევლებიან!

წვიმების წიალი

19. 05. 2013.

იწივლა წვიმების წიაღმა, საღამო წამოდგა ფეხზე.
ცას ცივი სხივები მიახმა, ღამეა, სიფხიზლევ, მეხსენ.

ბოროტი აჩრდილი ბარბაცებს თვალებში, გონჯში და ყრუში,
სიბნელე აყეფებს დარბაზებს, ღრიალებს ღრუბელი მრუში.

ვესტუმრე კუპრის ტბის მიკიტანს (ისევ მარტოობას ვჩივი)
პოეტო, კუბომდე მიგიტანს წარსულის ჯიუტი სხივი.

შევდივარ ოთახში ცარიელ, სატანის ხორხოცებს ხორცი,
ჭიქებმა საღამო არიეს და ვსუნთქავ დალორწილ ქორწილს!

წამები გადიან ტაატით, ერთ ადგილს ტკეპნიდა წუთი,
აქ საუკუნეა საათი, აქ დედამიწაა ყუთი.

არ მყოფნის სამყარო! თეთრია ყველა დღე და ღამე ჩემთვის...
მინდოდა, სიკვდილი მეთრია, სადაც მზე ჯოჯოხეთს ერთვის!

ეშმაკის ვოკალი

30. 04. 2013.

ისმოდა ეშმაკის ვოკალი, ჯიუტი, გონჯი და მეძავი.
მე ყველა დუმილი მოვკალი, ჰაერიც გაჩუმდეს ნეტავი.
ხეებზე იზრდება მკვდარი თმა, თითები ტოტებზე დარბიან,
გრიგალმა გრიგალი გარითმა, ამ დილის მანდილიც ყალბია!
დასისხლულ ცრემლებად ვედები მუქშავი ფოთლების კლავიშზე,
ჩემს ღაწვებს ღეჭავენ წვეთები, წითელი წინწკლებით ავივსე!
მთებიდან გორავენ გუნდები, შავი და შიშების მლეწავი,
მე ისევ მთვარისკენ ვბრუნდები; ის მაინც მანახა ნეტავი...
ეშმაკებს სიმღერებს დავაჭრი, რომ აღარ იმღერონ არროდეს...
ახ, მათი ბინძური ნავაჭრი ზეციდან მიწაზე კმაროდეს!

განცდა

09. 08. 2011.

მდინარე წაღმა დიოდა, უფსკრულში ჩადის დინება
და სული საიქიოდან მწვერვალებს ეპოტინება.
ბილიკს მივყვები ჯიუტად, მინდა, ღრუბლებში ვმღეროდე,
ქვესკნელს ანგრევენ იუდა, ამირანი და ჰეროდე.
ცაში ტირილი გაისმა, დილა მიყვება მკვდარ ქარებს,
თავი მოიკლა მაისმა და იანვარი ხარხარებს.

წყვდიადის ფარი

29. 03. 2011.

ამქვეყნად იმდენი ვიარე, მეყოფა სამასი წელი,
ვითვლიდი სხეულზე იარებს, მკორტნიდა ნისკარტი მკვლელი.
შავია ველი და კორდები, სიმწვანე არ არის, აღარ...
აღმართის ქვას ველარ ვშორდები, მიყურებს უფსკრულის ხახა.
ვუყურებ წიგნების გარეკანს, იგი ხომ სარკეა ჩემი...
გრიგალი თეთრ ღრუბლებს გარეკავს ვეება ტორების ცემით.
მე მინდა მაღალი ტახტები, სამების სიმართლის დარი...
მაგრამ მე ვიცი, რომ გავხდები მარადი წყვდიადის ფარი.

სარჩევი

ბუნების სიმღერა 3
სულის თამაში 3
კატალოგები 4
ოცნების პირამიდა 5
მარტოობის სავანე 6
უფსკრული 7
თოვლის სხივებს 7
კელაპტრები 8
ჩანჩქერები 8
პოეზიის ელდორადო 9
ის იმედი 10
ავგაროზები 11
ცეცხლი 12
კლავიშების გოდოლი 13
უცნაური კოლაჟი 13
შავ-თეთრი სურათები 14
დაისი 15
პოეტების ავკარგი 15
გაღვიძება 16
მეწამული სხივები 17
დაისების ალმური 17
კვამლი და ქაოსი 19
ანარეკლი 19
კერპი და ილუზია 20
გრძნობის კატალოგი 21
არწივების ირაო 21
რექვიემი 22
დუმილის ანარქია 23
თითების თეატრში 24
ღამის გუბე 24
ალაყაფის შიგნით 25
ბნელ დერეფნებში 26
გრძნობის იერარქია 26
ლექსების რევატა 27
უკანასკნელი თხოვნა 27
უდაბნოში 28
უცხო ბილიკი 28

ფიქრის ფრეგატი 29
ჯარის კაცური 30
აპოკალიფსი 30
დღე-ცხოვრება 31
ედემი უდამოდ 32
რომ დავბერდები 32
სიცივის მთა ზე 33
ლოცვა 34
ტუჩების მილმა 34
ლაბირინთები 35
ჩემი ბილიკი 36
ბრძოლა 36
სიბნელე... შუქი! 37
ათინათი 38
აკაკის 38
ლოდების ანარქია 39
არაკაცები 40
ადამიანო 40
ქროდნენ წამები 41
მუსიკა ბაღში 41
ვრცელი მორევი 42
შეშლილის სიმღერა 43
შუაღამის ანაბეჭდები 43
პირამიდაში 44
საწამლავი 44
არჩევანი 45
რეინკარნაცია 45
ეტლები 46
ზღვა 46
ბოლოსიტყვა 47
ამპარტავანი დედოფალი 47
ჩემი სარკე 48
თეთრი ფურცელი 48
რუხი აურა 49
როგორც ღვთის ნაყოფი 50
ნავში 50
ფიქრი და ფრენა 51
თეთრი არემარე 51
დუმილის სიტყვა 52
აპატიე სიკვდილს 52
მოწყენილობა 53

ცხოვრება 54
ხუნდების ბალადა 55
ზეციურ ველებზე 56
ჩემი ამალა 56
ბავშვობაში 57
წითელი საყურე 57
პეიზაჟი 58
ვატერლოოდან 58
შავი კეტები 59
შავი კარნავალი 60
ომს ვიწყებ! 61
ობოლი ობობა 61
ზამთარი, ბურუსი 62
ჩრდილის დევნა 62
ვალსი და ფიქრი 63
ზღვარი 63

ცხოვრება ხეა 64
ჰაერიდან 64
ერთხელ, ზღვისპირას 65
შენი სილუეტი 65
ცნობიერების ცდომილი 66
ყვითელი წიგნი 66
შიმშილი ღამით 67
კონტრასტი 68
სხივი 68
სავანესთან 69
ხვამლი და ტკივილი 70
ნადიმის შარავანდედი 71
საკუთარ თავზე ნადირობა 72
სინანულის ნიშნად 73
აგვისტოს წვიმა 73
სიტყვის მუსიკოსი 74
ანგელოზის სოლო 74
მკვდრის სიცოცხლე 75
ილუზიის ჩრდილში 75
ღანვების წვიმა 76
ემიგრანტი ქალის ტირილი 76
lacrimosa 77
ილუზიის ჯურღმულებში 77
შემოდგომის სონეტი 78
შენ და პეიზაჟი 78

შევალ ტაძარში 79
სამება და შვიდი კუბო 79
ვიდეოკამერა 80
მეძავის მონოლოგი 80
დარბაზში 81
კატორღა 81
ცოდვის ხუნდები 82
ლურჯი შადრევნები 82
კუბოსთან 83
ხსნა 83
გარიყული 84
კარი გამიღეთ! 84
უჟმური 85
თინათინური....93
ჯვაროსნები.... 95
განთიადი სივრცეში 96
ეს იყო მაშინ 97
ჩვენი სიცოცხლე 97
კანუდოსიდან 98
ჩემი ტროპარი 98
ყვითელი ყვავები 99
ყვითელი ფოთლები 99
უცნობი 100
მიშველეეეთ! 100
ვოდევილები 101
ვიგონებ მერმისს 102
პოეტის ზიზღი 103
ფარვანა 103
მორჩილება 104
მირაჟი 104
მოახლოება 105
ბოროტი მუზა 105
ნახატი, ნალეწი ქვაზე 106
ყორნების ბენდი 106
არფა და ორფევსი 107
წვიმების წიაღი 107
ეშმაკის ვოკალი 108
განცდა 108
წყვდიადის ფარი 108